# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 19 ნოემბერი 2002 №220 (1742) | ფასი 50 თეთრი


# რასაცა გასცემ, შენია

## თავი მეოთხე: დინამო VS ლოკომოტივი

საქართველოს ჩემპიონატის ბოლო ტურები ისე მიდის, რაღაცით წინა სეზონის მიწურულს წააგავს — ხომ გახსოვთ, „ლოკომოტივი" და „დინამო" ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ რომ შეასკდნენ და ქუთაისის „ტორპედო" ჩემპიონად გაეპარათ? რაღაც ამის მსგავსი ახლაც ხდება, ბოლო ორი ტურია, თბილისი დერბებით დუღს, „ვიტ ჯორჯია" „დინამოს" ქულებს ართმევს, „ლოკომოტივი" კი ორივეს ერთად, ამასობაში კი ლიდერად „ტორპედო" გაიჭრა.

შაბათს ვაკეში, ბოლო ორ კვირაში რიგით მესამე თბილისურ დერბიში, „ლოკომოტივი" „ვიტ ჯორჯიას" შეხვდა. თამაშით და საგოლე მომენტების სიმრავლით ვეტერინარებმა იმარჯვეს, მაგრამ როდის იყო, ქულებს მომენტების შექმნისთვის წერდნენ. ხოლო რისთვისაც წერენ, იმით „ლოკომოტივმა" იმარჯვა.

ჩვენს ჩემპიონატში კი ღმერთი ოთხობითაა, ანუ დღეს თბილისში ზედიზედ მეოთხე დერბია — „დინამო" და „ლოკომოტივი" გადადებულ მატჩს გამართავენ. ფრე, მოგება ხომ თავისთავად, „დინამოსია", რაკი გაუთავებელ დერბებში დაკარგულ ლიდერობას დაიბრუნებს, თუ არა და, „ლოკომოტივს" ქულებით გაითანაბრებს. საერთოდ კი, ნებისმიერი შედეგის მიუხედავად, ჩემპიონატი კიდევ უფრო დაიძაბება. ხოლო, თუ მაინცდამაინც პროგნოზებზე მიდგა საქმე, ლუის ცაკარიასის პირით რომ ვთქვათ, ვეტერინარებთან ნათამაშები ფეხბურთით „ლოკომოტივს" „დინამოსთან" შანსი არ ექნება. მაგრამ მწვრთნელისავე თქმით, „ლოკოს" შანსი სწორედ რომ აქვს, რადგან დღეს რკინიგზელები სულ სხვა ფეხბურთს ითამაშებენ.

ჩვენც ეგ არ გვინდა? გამართულ ფეხბურთს ვგულისხმობთ.



ლოკომოტიველი მურთაზ ბურნაძე ვიტელებმა ილეაში მოაქციეს

# ლეიტონ დიდი

## მოუგე ბედს და იქნები პირველი



ლეიტონ ჰიუიტი

რიგიანად დაწყებული შანხაიური მასტერსთასი — წლევანდელი სეზონის შემაჯამებელი და საგვირგვინო ტურნირი — შაბათს ბრწყინვალე ნახევარფინალებით გაგრძელდა, ხოლო კვირას შეუდარებელი ფინალით აღესრულა. გამარჯვებულისთვის კუთვნილი 700 ათასი დოლარი და მერსედეს-ბენცის უახლესი მოდელი მსოფლიოს უპირველესმა მეჩოგნემ, 21 წლის ავსტრალიელმა ლეიტონ ჰიუიტმა ირგუნა. ჰიუიტი მასტერსთასის შარშანდელი გამარჯვებულიც გახლდათ. ასეთი რამ კი — ანუ წლის დამაგვირგვინებელი ეპური ტურნირის ზედიზედ ორჯერ აოხრება აქამდე მხოლოდ პიტ სამპრასს მოეხერხებინა 1996-97 წლებში

იხილეთ მეთოთხმეტე გვერდი



ხუან კარლოს ფერერო

საქართველოს უმაღლესი ლიგა ჩემპიონატი პირველი ეტაპი 14

# 17 ტური

# ეგეთეზი მინახავს?

## ვიტ ჯორჯიას კარი აერია და ლოკომოტივს დაერია



ჩხუბი იყო გუნდური

თბილისი. 16 ნოემბერი. 15 საათი. ლოკომოტივი. 1 000 (ტევადობა 25 600)

### ლოკომოტივი 2:1 ვიტ ჯორჯია

1:0 ორბელაძე (1), 1:1 მელქაძე (27პ), 2:1 ლ. მერებაშვილი (84ა.გ.)

ლოკომოტივი: ლომაია, ბალაშვილი, სალუქვაძე, ორბელაძე, გ. ონიანი, გ. ბურნაძე (ქიქვეიშვილი 46), სირაძე (ხოსელია 66), კვარაცხელია, ზ. ლაცაბიძე, გალიარდო, ზ. ჯანაშია (გოშაალეჯა 72)
სათადარიგონი: იგარდავა; რ. ონიანი, კაიდარაშვილი, გილაური
მწვრთნელი: ლუის ცაკარიასი

ვიტ ჯორჯია: მერლანი, კობიაშვილი, ლ. მერებაშვილი (ვ. მერებაშვილი 89), იანკოველი, გველესიანი, ლ. ნოზაძე, დილმელაშვილი, ციტაიანი (გ. გოჩაშვილი 77), ქოჩიაშვილი (დ. დოლიძე 77), ადამია, მელქაძე
სათადარიგონი: მამარდაშვილი; მუჯირი, ფეიქრიშვილი, ბერელიძე
მწვრთნელი: ჯანი კარნევალი

გაფრთხილება: სალუქვაძე (26), გალიარდო (88), ქიქვეიშვილი (88)

გაძევება: კობიაშვილი (88), ლაცაბიძე (88)

მსაჯები: მ. მალალურაძე; ლ. სილაგავა, მ. ელიკაშვილი (სამივე თბილისი); კ. მესხი (ზუგდიდი)

სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი

ჯარიმა: 11-36; კუთხური: 4-7; კარისკენ დარტყმა: 3-8; კარში დარტყმა: 4-4; თამაშგარე: 7-0

**კახა შალამბერიძე** ზესტაფონიდან

**ცოტა არ იყოს,** უცნაური თამაში გამოდგა და აი, რატომ: „ვიტ ჯორჯია" ბევრად უკეთ გამოიყურებოდა, მისმა მწვრთნელმა ჯანი კარნევალიმ კი ნამატჩევს თქვა, დიახაც, უნდა წაგვეგოო, ხოლო ლუის ცაკარიასმა, ძალიან ცუდად ვითამაშეთ, მაგრამ დამსახურებულად მოვიგეთო.

საქმე ის გახლავთ, რომ ორივე მწვრთნელმა, იტალიელმაც და პერუელმაც თავიანთი კომენტარები ზოგადსაფეხბურთო დაუწერელი კანონის საფუძველზე გააკეთეს — ვერ გაიტან, გაგიტანენ. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ „ვიტ ჯორჯიამ", რომელმაც აურაცხელი თუ არა, სამი მართლაც ასპროცენტიანი შანსი ქარს გაატანა, დამარცხდა და მოიგო გუნდმა, რომელიც არ ბრწყინავდა, მირზა მერლანის კარს გაჭირვებით უახლოვდებოდა, მაგრამ მარგი ქმედების კოეფიციენტი უკეთესი ჰქონდა, მოიგო.

სხვა მხრივ კი, არცთუ ცოტა წუნის მიუხედავად, საქართველოს ჩემპიონატის კვალობაზე, მატჩი დაძაბული გამოდგა და რა არის ამაში გასაკვირი? ორივე გუნდი ჩემპიონობის მაძიებელია, წინა ტურებში ორთავემ „დინამო" დაამარცხა და ბოლოს და ბოლოს, დერბი იყო.

...მსაჯმა მატჩის დაწყების ნიშნად ჩასტვინა და „ლოკომოტივიც" იერიშზე გადავიდა. ბურთი ზაზა ჯანაშიამ მიიღო, მაგრამ სანამ საჯარიმომდე ჩააღწევდა, მოცელეს. ბალაშვილმა ბურთი ჩაჰკიდა, ამ დროს, სად იყო და სად არა, ორბელაძე მცველებს დაუსხლტა და ძლიერი თავურით ანგარიში გახსნა.

ზემოთაც მოგახსენეთ, ვეტერინარებს ბლომად ჩინებული მომენტი ჰქონდათ, ერთხელაც საქმე იქამდეც მივიდა, დაუცველ კარში დაარტყეს და ბურთი... თავისიანს გაარტყეს, მასპინძელ მცველთა შეცდომებს ვერ იყენებდნენ, ხოლო ის ერთი გოლი მელქაძემ პენალტით შეაგდო.

დრო იწურებოდა და საქმე ფრისკენ მიდიოდა, ყოველ შემთხვევაში, თუ რომელიმე გუნდი გამტანი იყო, ისევ „ვიტ ჯორჯია". ამ დროს კი, თითქოსდა უწყინარ სიტუაციაში, მარჯვენა ფლანგიდან შორეულ დარტყმას ლევან მერებაშვილი უხერხულად გაეხახუნა და მერლანმაც ბურთს ულონოდ გააყოლა თვალი.

თამაშის დამთავრებას თითქოს აღარაფერი უკლდა, როცა მოედანზე ჩხუბი ატყდა. კობიაშვილმა გალიარდოზე გაიწია, პერუელს ჭიჭვეიშვილი გამოექომაგა, მერე კი გუნდი გუნდზე გარჩევა დაიწყო. საბოლოოდ ყველაფერი მშვიდობიანად კი დამთავრდა, მაგრამ მერაბ მალალურაძეს ბლომად ყვითელ-წითელი ბარათების ფრიალი დასჭირდა. ნამატჩევს ლუის ცაკარიასმა ამ ინციდენტზე თქვა, სამხრეთამერიკელ კაცს მოედანზე ჩხუბი ვერ გააკვირვებს და მსაჯის კრიტიკაც არ მჩვევია, თუმცა არბიტრის მომზადების დონე თანამედროვე ფეხბურთის ტემპს არ უნდა ჩამორჩებოდესო. დავძინოთ, რომ იმ ეპიზოდში მალალურაძე აშკარად დაბნეული ჩანდა და თამაში აშკარად ხელიდან გაექცა.



ვიტელი დავით ქოჩიაშვილი და რკინიგზელი გიგი კვარაცხელია

ზუგდ. 16 ნოემბერი. 15 საათი. ცენტრალური. 800 (ტევადობა 8 230)

### დილა 0:1 ბათუმი

0:1 მოდებაძე (14)

დილა: თ. ილურიძე, გ. ჩიტაია, ლომიძე, გ. ზ. რევაზიშვილი, დავითაძე, საყვარელიძე (ჯობაძე 54), ფეხუაშვილი (რ. ხაჭაპურიძე 46), სულთანიშვილი, ხორგუაშვილი, ა. ხმალაძე (ბ. ჩიტაია 69), ძოძუაშვილი
სათადარიგონი: ნასყიდაშვილი; სომხიშვილი, რაზმაძე
მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე

ბათუმი: ტოგონიძე, ხუჯაძე, მაჭუტაძე, არჩვაძე, მინდაძე, მახარაძე, თურმანიძე, კობიძე, დარჩიძე, ტულუში, გ. მოდებაძე
სათადარიგონი: ი. ბალაძე; ცინარიძე, კუჭულია, ბეჟანიძე, ნემსაძე, ხუციშვილაძე, ჟულეგიშვილი
მწვრთნელი: ასლან ბალაძე

გაფრთხილება: ხორგუაშვილი (14), არჩვაძე (18), გ. ჩიტაია (69), მოდებაძე (88), ტოგონიძე (90)

მსაჯები: პ. დოგრაშვილი; კ. გაბრიაძე, ნ. რუხაშვილი; ა. შალამბერიძე (ყველა ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი

ჯარიმა: 29-21; კუთხური: 6-1; კარისკენ დარტყმა: 6-2; კარში დარტყმა: 5-4; თამაშგარე: 6-4

# ჰა, შენ ფული და... მოიგე

**კახა შალამბერიძე** გორიდან

**ფული,** ფული, ბევრი ფული... რასაც ნიშნავს თანამედროვე ფეხბურთში „ხელის ჭუჭყი", ყველამ კარგად იცით. „ბათუმი" ამით ყოველთვის განებივრებული გახლდათ და სხვა გუნდებისგან განსხვავებით, არაფერს უჩიოდა. ამიტომაც იყო, თითქმის ყოველ წელს საპრიზოებში რომ ამოჰყოფდა თავს. თასის ფინალი ხომ ერთი პერიოდი საერთოდ ზღვისპირელთა გარეშე წარმოუდგენელი იყო.

ეს ჩემპიონატი კი „ბათუმმა" სხვაგვარად დაიწყო. გუნდის მომავალი ბურუსით იყო მოცული და ასლან ბალაძის ბიჭებიც, ფაქტობრივად, მოუმზადებლად შეხვდნენ სეზონს. შედეგიც შესაბამისი მიიღეს — კარგა ხანს „ბათუმი" სატურნირო ცხრილის ბოლო საფეხურს ტკეპნიდა. ახლა კი გუნდში სხვა ვითარებაა. ფინანსური მდგომარეობა გამოსწორდა და ნისლიც თანდათან გაიფანტა. ფეხბურთელებიც უფრო მონდომებულნი ჩანან...

ასე იყო გორშიც. ზღვისპირელები მედგრად ეომნენ მასპინძლებს და საჭირო სამი ქულაც შემატეს აქტივს. არადა, მატჩი ისე დაიწყო, ბევრს „დილას" დამარცხება წარმოუდგენლად მოეჩვენა. პირველივე წუთზე რევაზიშვილის შორეულ პასს მაჭუტაძის შეცდომის შემდეგ მერაბ ძოძუაშვილი დაუხვდა, ბურთი ერთი შეხებით მთლად ხეირიანად ვერ დაიმორჩილა, თუმც მეკარესთან პირისპირ კი დარჩა — გორელთა სამწუხაროდ, მისი დარტყმული ზემოდან გადასცდა კარს.

„ბათუმს" ნერვიც არ ასტოკებია, ისე გააგრძელა თამაში. წინ ერთადერთი თავდამსხმელი, გიორგი მოდებაძე აქტიურობდა, რომელსაც გამოცდილი თემურ ტულუში უმაგრებდა ზურგს.

პირველი გოლიც მალე გავიდა. თითქოს საფრთხე არსაიდან ჩანდა, თუმც საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთს გორელთა კაპიტანმა ლომიძემ ვერ ამოსცხო, თანაგუნდელის დასახმარებლად მეკარემაც გაიწია, მაგრამ ორივეს იქვე ჩასაფრებულმა მოდებაძემ დაასწრო და ანგარიშიც გახსნა — 0:1. გოლმა მასპინძელთა უსაფუძვლო უკმაყოფილება გამოიწვია. მათი პროტესტი ნაღდად გასაკვირი იყო.

მოდებაძემ მთელი მატჩის განმავლობაში საკმაოდ ბევრი თავსატეხი გაუჩინა მცველებს. მისი მისამართით გაგზავნილ ყველა პასს ადგილზე ხვდებოდა და უფრო მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინა, კიდევ გაიტანდა.

პირველი ტაიმის ბოლომდე ბევრი სახიფათო მომენტიც არ შექმნილა. „დილა" მეტოქის კარს კი მიაწვა, მაგრამ კუთხურების გარდა ვერაფერს გამორჩა. ერთადერთი ზურაბ ხორგუაშვილის დარტყმული უნდა აღვნიშნოთ, ბათუმელთა მეკარემ ნიკა ტოგონიძემ სასწაულებრივ რომ მოიგერია.

მეორე ნახევარში ვლადიმერ ხაჩიძემ შეცვლებსაც მიმართა, თუმც აქედანაც ვერაფერი ხეირი ნახა. „ბათუმი" მშვიდად იცავდა თავს და დროის გაყვანასაც არ ერიდებოდა.

ამის მიუხედავად, „დილას" მაინც შეეძლო ანგარიშის გათანაბრება. ჯერ ხორგუაშვილს აული ორიოდ მეტრიდან თავური ტოგონიძემ, ცოტა ხანში კი ლომიძემ გააცუდა მომენტი.

ეს იყო და ეს. საფინალო სასტვენმა ბათუმელებს შეტევაში მიუსწრო. „დილამ" გადამწყვეტი შტურმის განხორციელებაც ვერ შეძლო, სტუმრებმა კი მნიშვნელოვნად გამოისწორეს სატურნირო მდგომარეობა და ახლა გადამწყვეტი ბრძოლებისთვის ემზადებიან.

ქართლელებმა მართლაც რომ საწყენი ქულები გაფლანგეს.

## იტალია

სერია B. XII ტური

კატანია 2:0 პალერმო

სერია C1/A. XII ტური

პიზა 2:1 ლუკეზე

## ჩეხეთი

XV ტური

ბრნო 1:0 იაბლონეცი

## გერმანია

II ბუნდესლიგა
XIII ტური

ზანქტ პაული 2:3 კიოლნი

## პორტუგალია

I ლიგა. XI ტური

ბოავიშტა 0:1 ჟილ ვისენტე
მორეირენსე 0:1 პორტუ


**იყიდება**

მუხიანში კინო-თეატრის შენობა ეზოთი.
შენობის ფართი 1000 მ², ეზო 3500 მ²
ალ. გობრონიძის ქუჩა №10
☎ 34 38 12, 899 16 08 37



**რეკლამა სარბიელ-ში**

Tel: 39 40 08,
93 16 08; Fax: 94 33 80

საქართველოში პირველი სპეციალიზებული სალონი-მაღაზია

**ბილიარდის სახლი**

რუსული პირამიდა, პული, სნუკერი

**აქსესუარები** Zeus ზევსი

- კია 42 GEL
- ბურთები 178 GEL
- მაუდი 112 GEL
- მაგიდის ბანდები 101 GEL
- კიის თარო 24 GEL
- თაროები ბურთებისთვის 47 GEL
- შალითები კიისთვის 19 GEL
- ცარცი, რეზინი 1.3 GEL




დახმარება საბილიარდოს გახსნისას. კონსულტაცია. გარანტია. ფასდაკლება

ტ: 95-57-75; ტ/ფაქსი: 95-88-46
თბილისი. ჟღენტის ქ. 2 (ყოფ. კამოს)
11.00-19.30 სთ-მდე კვირის გარდა

# დინამომ თავი დაიჯერა



თემურ მახარაძემ თამაშგარე დაინახა

დავით თავართქილაძე

„ორი წაგების შემდეგ ეს მნიშვნელოვანი, რთული მატჩი იყო. თამაშს სრულად ვაკონტროლებდით. სწრაფი გოლის გატანა კი გვინდოდა, მაგრამ ვერ შევძელით და ამან ჩემი ფეხბურთელები ცოტა აანერვიულა. მეორე გოლიც გვესაჭიროებოდა — ალექსიძემ და დარასელიამ ასპროცენტიანი შესაძლებლობები გააცუდეს. მოწინააღმდეგემ კი კარგად ითამაშა და ძალიან რთული და მძიმე ბრძოლა გადავიტანეთ. ეს გამარჯვება ჩვენი გუნდის სტაბილიზაციისკენ გადადგმული ნაბიჯია" — აი, ასე შეაფასა ეს შეხვედრა დინამოელთა დამრიგებელმა იგო შუშაკმა და ვერც ვერაფერში შეეწინააღმდეგება კაცი.

ხორვატმა სპეციალისტმა გადასხვაფერებული შემადგენლობა გაიყვანა „სიონთან" — გიორგი ვაშაკიძის და არჩილ სახვაძის ნაცვლად ოთარ ხიზანეიშვილი და ილია კანდელაკი ათამაშა. შუშაკის თქმით, ვაშაკიძეს და სახვაძეს ფსიქოლოგიურ-ფიზიკური დასვენება სჭირდებოდათ და მათი შეცვლა გუნდის ძალების გადანაწილებითაც გახლდათ გამოწვეული.

ბოლნისის „სიონი" კი მართლაც კრეკეტი გუნდი ჩანს. ქვემოქართლელებმა მატჩის დასაწყისში აშკარად დაცვითი ვარიანტი არჩიეს და „დინამოც" შებოჭილი ჩანდა.

პირველი ხიფათი მასპინძლებმა 30-ე წუთზე შექმნეს — ლადო ბურდულს მარჯვენა ფლანგზე სივრცე შეექმნა და კარგადაც დაუგორა ბურთი ვიტალი დარასელიას, რომლის დარტყმულსაც ბოლნისელი მცველები შმაგად გადაეფარნენ.

როგორც კი „დინამოს" სწრაფი იერიში გამოუვიდა, საგოლედაც მაშინ გაისროლა — რატი ალექსიძემ ერთი შეხებით გაითამაშა „კედელი" ილია კანდელაკთან, რომელმაც 8-9-მეტრიდან შერდულივით შეარჭო ბურთი კარში.

შემდეგ გიორგი აწჩაბაძემ სცადა ბედი, მაგრამ მისი ოციოდე მეტრიდან დარტყმული ზურაბ ბათიაშვილმა კუთხურზე მოიგერია.

მეორე ტაიმში ზემოხსენებული ორი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა „დინამომ" — ხიზანეიშვილის ჩაწოდებულზე ალექსიძეს გაუცუდდა თავური, ხოლო დარასელიამ მარჯვენათი მოინდომა ფაქტობრივად ცარიელი კარის დალაშქვრა, მაგრამ ბურთი ძელს მოხვდა.

ბოლნისელები ამის შემდეგღა გამოცოცხლდნენ. მათგან აქტიურობით ლევან შავგულიძე გამოირჩა, რომელზეც შუშაკმა თქვა, ეს ფეხბურთელი ჩვენგანაა „სიონში" განათხოვრებული და მისი წარმატებული თამაში ყოველთვის გამიხარდებაო.

„სიონიდან" საუკეთესო შანსი ალბათ ზაზა კვეკვესკირს ჰქონდა — ის თითქმის პირისპირ აღმოჩნდა ზოიძესთან, მაგრამ ბრძოლაში დაარტყა ჭვინტით და ბურთი ხარიხას გადაავლო.

მერე დავით გოდერძიშვილმა დაუგდო თავით ბურთი შავგულიძეს, მაგრამ ლევანმა მიზანი ვერ გაასწორა.

იგივე დაემართა კახა დაუშვილს, ხოლო დავით დათვაძეს კარიდან გამოსულმა ირაკლი ზოიძემ შეუშალა ხელი.

მაგრამ, როცა „დინამომ" მეორე გაიტანა, თამაში მყისვე დამშვიდდა, თუმც „სიონი" კაცნაკლული დარჩა. შეცვლაზე შესული გიორგი მიქაძე ბათიაშვილს იოლად გაუსწორდა და ისე შეაგორა ბურთი მეტოქის კარში, ბოლნისელები აღშფოთდნენ, თამაშგარე იყოო. სწორედ ამას ედავებოდა გიორგი ირემაშვილი მატჩის არბიტრ დავით სანაიას და ოდენ წითელ ბარათს გამორჩა.

ნამატჩევს „სიონის" დამრიგებელმა თემურ მახარაძემ კი განაცხადა, ამ ეპიზოდს კარგად ვხედავდი, ასპროცენტიანი თამაშგარე გახლდათო.

ასე იყო თუ ისე, „დინამომ" ორი მარცხის შემდეგ მოიგო და დღეს გაცილებით პრინციპული მატჩი ელის „ლოკომოტივთან", რის თაობაზეც შუშაკმა მოგვახსენა, ამ გამარჯვების შემდეგ ჩემი ფეხბურთელები „ლოკომოტივთან" თავდაჯერებულები გამოვლენო.



ილია კანდელაკს ახლოდან გოლის გატანა არ გასჭირვებია

## დინამო 2:0 სიონი

თბილისი. 16 ნოემბერი. 15 საათი. დინამოელი. 200 (ტევადობა 70 900)

| | |
|---|---|
| 1:0 კანდელაკი (41), 2:0 მიქაძე (86) | |
| დინამო: ზოიძე, ხიზანეიშვილი, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, კვირკველია, კანდელაკი, გოგიბერიშვილი, აშჩაბაძე (ი. სამხარაძე 70), ბურდული, დარასელია, ალექსიძე (გ. გ. მიქაძე 84) სათადარიგონი: გვარამაძე, ა. სახვაძე, მ. ბობოხიძე, მაზიაშვილი, ვაშაკიძე მწვრთნელი: იგო შუშაკი | სიონი: ბათიაშვილი, სიდამონიძე, ირემაშვილი, ზ. ცქიფურიშვილი, (დათვაძე 79), გოგიტაძე (კრავეიშვილი 66), გ. ჩხაიძე (კვეკვესკირი 46), დაუშვილი, გაბისკირია, შავგულიძე, ბაქრაძე, დ. გოდერძიშვილი სათადარიგონი: ფოლკოვი, კაციაშვილი, ხუჭუა მწვრთნელი: თემურ მახარაძე |
| გაფრთხილება: სიდამონიძე (31), ხიზანეიშვილი (64) | |
| გაძევება: ირემაშვილი (87) | |
| მსაჯები: დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); მ. მასიურაძე (თბილისი) | |
| სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია | |
| ჯარიმა: 8-9; კუთხური: 4-2; კარისკენ დარტყმა: 6-4; კარში დარტყმა: 5-1; თამაშგარე: 11-1 | |



დინამოელი რატი ალექსიძე და სიონელი კახა დაუშვილი

## კოლხეთი 0:2 ტორპედო

ფოთი. 16 ნოემბერი. 15 საათი. ფაზისი. 800 (ტევადობა 6 000)

| | |
|---|---|
| 0:1 დიდავა (7), 0:2 იონანიძე (87) | |
| კოლხეთი: ჩემია, გორიოზია, მ. ქობულაძე, ქუტიძე, სვანაძე, ნარსია, ფანჩულიძე, კრასოვსკი (ხაჭამია 83), ი. გვასალია, გაგუა, გოჩჩორია სათადარიგონი: მ. გვასალია, ხურცილავა, ბაზილავა მწვრთნელი: სოსო ფილია | ტორპედო: ქანტურია, ლ. ქილაძე, ხვადაგიანი, ქემოკლიძე, ავოფიანი (მახვილაძე 86), დიდავა, ბაბუნაშვილი, კვეტენაძე, პოროშინი (ჩომახიძე 77), ასათიანი (ახალკაცი 80), იონანიძე სათადარიგონი: სტურუა, გამეზარდაშვილი, ზვ. ქუთათელაძე, გ. ჩხეტიანი მწვრთნელი: ალექსანდრ შტელინი |
| გაფრთხილება: გორიოზია (9), ასათიანი (24) | |
| მსაჯები: ა. შილაკაძე; ზ. მჟავანაშვილი, ი. შალამბერიძე (სამივე თბილისი); ჯ. ხუიშვილი (ქათუბა) | |
| სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში | |
| ჯარიმა: 15-32; კუთხური: 8-3; კარისკენ დარტყმა: 4-0; კარში დარტყმა: 4-4; თამაშგარე: 1-5 | |

# ჩვენი ხარ, გივი!

იუზა კაციტაძე ფოთიდან

**კოლხები** ამჯერადაც შესუსტებული შემადგენლობით დაუხვდნენ მეტოქეს. ტრავმირებულ გრიშიკაშვილს, ლონდაძეს და წიტაიშვილს (კობა ერთ-ერთ ბოლო ვარჯიშზე ისევ დაშავდა) დისკვალიფიცირებული გაბიდაურიც დაემატა. მიუხედავად ამისა, „ფაზისის" ბინადარნი იხტიბარს არ იტეხდნენ, ჩემპიონს ქუთაისურ მატჩში ხ6-სთვის სამაგიეროს გადახდას უპირებდნენ, თუმც წინასწარ ვიტყვით, „კოლხეთმა" კი მოინდომა, შემართებით იბრძოდა, მაგრამ მაინც ვერაფერი დააკლო მეტოქეს „ტორპედომ" ჰაერივით საჭირო გამარჯვება მოიპოვა.

სტუმრებმა აქტიურად დაიწყეს თამაში და, ფაქტობრივად, პირველსავე შეტევაში შექმნეს გოლი. პოროშინმა მოედნის ცენტრში მიიღო ბურთი, ერთი მიიხედ-მოიხედა და ღია დერეფანში უზუსტესი გადაცემა გაუკეთა თავის კაპიტანს, წინ გაჭრილი დიდავას შეჩერება კი ხელოვნურ ოფსაიდზე დაგეშილ კოლხ მცველებს უკვე აღარ შეეძლოთ და გივიმაც ისარგებლა შანსით, საჯარიმოში შეღწევისთანავე ჩემიასგან მარჯვენა დაბალ კუთხეში გაიტანა.

ამის შემდეგ „ტორპედოს" ანგარიშის გაზრდის ორი შესაძლებლობა ჰქონდა, მაგრამ ჯერ ჩემიამ არ დააცალა დიდავას დუბლის შესრულება, მეორედ იყო და ასათიანმა მოისუსტა, იმის ნაცვლად რომ იონანიძის პასი შეერგო და კარში დაერტყა, მცველის მოტყუება მოინდომა და კარგი მომენტი ქარს გაატანა. ამასობაში ფოთელებმა ძალა მოიკრიბეს და თამაშიც გათანაბრდა, ეგ იყო მასპინძელთა ყოველი ცდა „ტორპედოს" კარზე იერიშის მისატანად უნაყოფო იყო. ქუთაისელთა დაცვა ხვადაგიანის თავკაცობით კოლხებს საჯარიმოში არ აჭაჭანებდა. მხოლოდ ერთხელ, ფლანგური გადაცემის შემდეგ ელდარ გვასალიამ დასწრებაზე ითამაშა და კარისკენ დარტყმა მოახერხა. საერთოდ, შესვენებამდე ჭანტურიას ერთხელღა მოუხდა კარის ჩარჩოში დამიზნებულის აღება. გაგუამ საჯარიმოდან „კედელში" ხვრელი მოძებნა, მაგრამ დარტყმას ძალა ვერ დაატანა და ქუთაისელთა მეკარე იოლად დაეუფლა ბურთს.

საგოლე მომენტების სიუხვით არც მეორე ტაიმი გამოირჩეოდა. ტორპედოელები, რატომღაც, თამაშის გამწვავებას ერიდებოდნენ, კოლხებს კი მეტოქის დაცვის გასარღვევად ოსტატობა არ ჰყოფნიდათ. თამაშის ბოლოს აკოფიანმა იხსნა თავისიანები, რომელიც ქობულაძის დარტყმულს გადაელობა. ეს მომენტი იყო და სტუმრებმა სწრაფი კონტრშეტევა განახორციელეს. საოცრად პასიური ასათიანის შემცვლელმა ახალკაცმა მარჯვნიდან შეუტია და ჩომახიძეს უპასა ზუსტად. ამან ერთი შეხებით კარის ხიახლოვეს გაგზავნა, სადაც იონანიძემ ისარგებლა ქუტიძის შეცდომით და ლამის ბადე გაარღვია.

**ალექსანდრ შტელინი, „ტორპედოს" მწვრთნელი:** „ქუთაისური მატჩისგან განსხვავებით ფოთელთა თამაშში დადებითი ძვრები შეინიშნება. სამი ქულა ბრძოლაში გვერგო. ცოტა გაგვიმართლა კიდეც. დიდავა შემოქმედი ფეხბურთელია. მიხარია, ასეთი მოთამაშე რომ მყავს გუნდში. ასათიანისგან, თქვენი არ იყოს, მეც მეტს ველოდი. ჩვენს ფორვარდებს რაც შეეხება, ქუთათელაძე თანდათან შედის ფორმაში და მას, ცხადია, მომავალ მატჩებში გამოვიყენებთ. ზირაქაშვილმა მენისკის ოპერაცია გაიკეთა და ორ-სამ კვირაში შეუდგება ვარჯიშს.

**სოსო ფილია, „კოლხეთის" მწვრთნელი:** „ტორპედომ" საშემსრულებლო ოსტატობით გვაჯობა, დაცვაში დაშვებული შეცდომები არ გვაპატია. მარცხის მიუხედავად, ბიჭების თამაშით უკმაყოფილო არა ვარ. ყველა ღონეს ვიხმართ ზედქსელში მოსახვედრად, დანარჩენი მერე გამოჩნდება.



გივი დიდავა

# დამსამარებელი რუსთაველიდან

გურჯაანი. 16 ნოემბერი. 15 საათი. დავით ყიფიანი. 500 (ტევადობა 3 000)

## მილანი 1:3 გორდა

0:1, 0:2 გოცირიძე (36, 58), 1:2 შელეგია (70), 1:3 გოცირიძე (73)

| | |
|---|---|
| მილანი: მამალაძე, ეცადეიშვილი, ჯაბუა, აკობია, მ. სამხარაძე, ვართაგავა, ჯაფარიძე, ეგაძე, დანელია (შელეგია 67), ჭალიაშვილი, ქარჩავა (ლულუნაძე 63)<br>სათადარიგონი: ახლანაძე, ლამბაშიძე, გიორგაძე, დათუაშვილი<br>მწვრთნელი: ალექსანდრე არევაძე | გორდა: ბედიაშვილი, არსოშვილი, ა. ბურნაძე, ბერიძე, ზ. ლაბაძე (წოხელი 49), ჯ. თავბერიძე, მიქავა, ზაზაშვილი (შიოშვილი 90), გოცირიძე, სოხაძე, კ. ალადაშვილი<br>სათადარიგონი: ჩლაიძე, პაპაშვილი, ლეჩხიანი<br>მწვრთნელი: გია გეგუჩაძე |

მსაჯები: ა. ორდენიძე (ონი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ზ. ხუციშვილი; ი. კახიანი (ორივე თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ზ. პეტრიაშვილი

ჯარიმა: 12-24; კუთხური: 4-3; კარისკენ დარტყმა: 5-6; კარში დარტყმა: 4-5; თამაშგარე: 3-8

**ვაჟა ხუციშვილი** გურჯაანიდან

**მატჩი** მასპინძელი ჯაბუას შეცდომით დაიწყო. მისი დარტყმული ბურთი ახლოსვე მდგომმა გოცირიძემ მოიხელთა და საჯარიმოს წინა ხაზიდან ჩარბენილ მიქავას მიაწოდა. მიქავამ ფეხი უშნოდ მოუღერა ბურთს, რომელიც ისევ მილანელთა უკანახაზელებს დარჩათ. მალევე ოციოდ მეტრიდან ალადაშვილმა მამალაძეს საჯარიმო დაურტყა — მეკარეს არ გასჭირვებია ზუსტად, მაგრამ სუსტად დაკრულის მოგერიება.

მეტოქეს ქარჩავამ სახიფათოდ უპასუხა. საკუთარი ნახევრიდან ჩაიშრიალა „გორდას" სანახებში, მცველებმაც თითქმის მეკარის ბაქნამდე მიაცილეს, თუმცა ქარჩავამ ყველას გაცურება მოინდომა და არ გამოუვიდა. ქარჩავას ერთხელ ეგაძემაც მიბაძა. მისი რეიდიც ბოლო მცველის ფეხებთან დასრულდა.

სტუმრები დროდადრო პრესინგს მიმართავდნენ, რაც არცთუ ურიგოდ გამოსდიოდათ. კაპიტანი ალადაშვილი კაპიტნობდა, მითითებებს აძლევდა თანაგუნდელებს. მოედნის შუანაწილში მჭიდროდ თამაშის ხარჯზე რუსთაველებმა საკმაო უპირატესობა მოიპოვეს. წინ გოცირიძე-სოხაძე-მიქავა ერთურთს კარგად უგებდნენ და მთლიანობაში გვარიანად აწუხებდნენ მასპინძლებს.

წნორელებს ჟინი არ დაეწუნებათ. ისინიც მოედნის სწრაფად გავლას ლამობდნენ, თუმცა მათი ფორვარდები უმეტეს შემთხვევაში კარისკენ ზურგით მდგომნი კარგავდნენ ბურთს.

ნახევარი საათი იყო გასული შეხვედრის დაწყებიდან, ჭალიაშვილმა რომ ქარჩავას „დაულეჭა", მაგრამ ზედმეტად ტექნიკურმა ქარჩავამ ბოლო წამს ჩვეულად ფინტის გაკეთება მოისურვა და მცველებმა ხიფათი განმუხტეს. ორიოდ წუთში სამხარაძე კინაღამ პირისპირ შეხვდა ბედიაშვილს, რომელმაც წამით დაასწრო და ბურთი ხელებში მოიგდო. დაახლოებით ხუთწუთიანი მონაკვეთი მასპინძელთა აქტიურობით გამოირჩა. მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთს ჯაფარიძემ და ჭალიაშვილმა ერთად მოუქნიეს ფეხი, თუმც ჭალიაშვილი უკეთეს პოზიციაში იმყოფებოდა და ჯაფარიძემ დარტყმაში ხელი შეუშალა.

იმ დღეს საკმაოდ მონდომებულმა გოცირიძემ ვერგამოყენებული მომენტების გამო „მილანი" დასაჯა. ჰეთ თრიქს სათავე პირველი ტაიმის მიწურულს დაუდო, როცა საჯარიმოში მყოფმა მამალაძეს შანსი არ დაუტოვა. შესვენების შემდეგ რუსთაველი მეგოლე რამდენჯერმე გადაეყარა „მილანის" მეკარეს. პირველ ცდაზე კარს ააცილა, რის გამოც ტრიბუნიდან სტვენა დაიმსახურა, მაგრამ მეორედ უკვე ზუსტად დაჰკრა. „მილანის" ფანობა განრისხდა, რადგან ჩათვალეს, რომ გოლი თამაშგარე მდგომარეობიდან გავიდა. ვფიქრობ, მკითხველისთვის უკვე დაძველდა ის ამბავი, რომ გულშემატკივრები ასეთ დროს რისხვას გინებ-გინებით გამოხატავენ.

მატჩის გადასარჩენად მასპინძელთა მწვრთნელმა ორი შეცვლა გააკეთა — ქარჩავას და დანელიას ლულუნაძე და შელეგია ჩაუნაცვლა. შელეგია კარგად ჩაერთო თამაშში. მალე მისი უზადო თავურით „მილანმა" სხვაობა შეამცირა, მაგრამ გოცირიძემ იქვე მესამეც გაიტანა და წნორელთა მდგომარეობა უიმედო გახადა.

დარჩენილ დროში ცდა არ დაუკლიათ მასპინძლებს, ჯიქურ[illegible] მეტოქის კარზე თუმც [illegible] საქმე ვერ მიიყვანეს.



რუსთაველმა რევაზ გოცირიძემ კახურ „მილანს" ხელი ჰეთ თრიქით მოუთავა

# ნაცნობია და ვიზიარებ თქვენს მწუხარებას

თერჯოლა. 16 ნოემბერი. 15 საათი. ცენტრალური. 100 მაყურებელი

## მეტალურგი 0:3 მერანი

0:1, 0:2 ჩილვინაძე (20, 29), 0:3 კოშკაძე (72პ)

| | |
|---|---|
| მეტალურგი: ა. ლაბაძე, კობაიძე, გურეშიძე, მაღლაკელიძე, გაბრიჭიძე (შველიძე 29), მ. ლონდაძე (ორმოცაძე 46), ენდელაძე (კ. თავბერიძე 46), სულაკაძე, სუხიაშვილი, ფოფხაძე, ი. ხაჭაპურიძე<br>სათადარიგონი: მერკვილიშვილი, ნიშნიანიძე, გოგაძე<br>მწვრთნელი: ზურაბ ბოჭორიშვილი | მერანი: ნაჭყეპია, გუჯაბიძე, დევიძე, გ. ილურიძე, ქინქარაული, მესხი, ბაჯელიძე, კოშკაძე (მართია 77), ფირცხალაიშვილი (ქადაგიძე 74), ი. შენგელია (მ. ნოზაძე 76), ჩილვინაძე<br>სათადარიგონი: გ. გაბელია, ადუაშვილი, თუთარაშვილი, მაზანიშვილი<br>მწვრთნელი: ოთარ გაბელია |

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ზ. ჯვარიძე, ლ. ფანიაშვილი (ორივე თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე

ჯარიმა: 7-19; კუთხური: 6-4; კარისკენ დარტყმა: 6-4; კარში დარტყმა: 3-7; თამაშგარე: 2-5

**მამუკა კვანტალიანი** თერჯოლიდან

**ერთი თვის** წინ ზესტაფონის „მეტალურგმა" „მერანს" „სინათლეზე" მოუგო. მაშინ იმერულ გუნდს თითქმის არაფერი უჭირდა, აქტივში რამდენიმე გამარჯვებაც მიეთვალა და ზეექვსეულში მოხვედრას ლამობდა.

იმ დროს ავჭალელებს არ ულხინდათ, აულებელი, დიდი ხნის ნანატრი ხელფასპრემიები თავის ტკივილად გადაქცეოდათ და შედეგიც შესაბამისი ჰქონდათ.

ფინანსური „ჯოჯოხეთი" „მერანმა" უკვე უკან მოიტოვა, მსგავსი პერიოდი „მეტალურგს" ახლა უდგას, ჰოდა, შაბათს თერჯოლაში შედეგიც ვითარების შესაბამისი დაფიქსირდა. ოთარ გაბელიას შეგირდებმა უთავკაცოდ დარჩენილი მასპინძლები სამი უპასუხო გოლით, უპრობლემოდ დაამარცხეს.

„მეტალურგის" მთავარ მწვრთნელ ზაურ ჩუბინიძის თერჯოლაში არყოფნის მიზეზი რომ ვიკითხე, მაღალმა წნევამ შეაწუხა, მომიგეს. იქნებ მწვრთნელს სულაც არაფერი აწუხებდა და უბრალოდ, უიმედოდ მყოფი შეგირდებისთვის თვალებში ჩახედვისა მოერიდა. ფაქტია, „მეტალურგს" შაბათს არაფრისა ეიმედებოდა, ფეხბურთელებიც უხასიათოდ, ნაძალადევად აგორებდნენ ბურთს და მოედანზეც დაქსაქსულები ჩანდნენ.

თერჯოლაში თავისი საუკეთესო მატჩი არც სტუმარს ჩაუტარებია, მაგრამ გუნდობა „მერანს" უფრო ეტყობოდა, დაცვიდან შეტევაზეც უფრო დალაგებულად გადადიოდა და გაცილებით მეტის გატანაც მართებდა.

მასპინძელთა არეული დაცვა ორჯერ ათლეტურ ჩილვინაძეს ვერ გაუმკლავდა. ავჭალელთა ფორვარდმა მეოცე და ოცდამეორე წუთებზე „მეტალურგის" უკანა ხაზი გაანგრია და მეკარე ლაბაძეც უშანსოდ დატოვა. ეს იყო პირველ ტაიმში, მეორეში კოშკაძემ პენალტით ანგარიში გაასამა და ინტერესიც საბოლოოდ გაანელა.

„მეტალურგს" საგოლე შანსი ერთხელ, პირველ ტაიმში ჰქონდა. ფოფხაძემ ავჭალელთათვის მოულოდნელად, მახვილი კუთხიდან კარში ჩაახვია ბურთი, რომელიც ჯერ ძელს მოხვდა, მერე მეკარე ნაჭყეპიას და მცველებმაც დაძაბულობა განმუხტეს.

პირველი ტაიმის შუაწელიდან კი უფლება რომ მიგეცათ, თითოეული მასპინძელი სიამოვნებით მიატოვებდა თამაშს. ზოგს სირბილის თავი აღარ ჰქონდა, რამდენიმემ კი ფეხი აიტკივა.

თერჯოლის სტადიონზე ასამდე გულშემატკივარი ძლივს მოგროვდა. წაგებას თითქმის ყველა თავიდანვე იყო შეგუებული. მხოლოდ ერთი მათგანი არ ისვენებდა, ფედერაციას და ჟორდანიას მალიმალ ტკბილი სიტყვებით ამკობდა, მერე ერთი-ორჯერ სტუმრებსაც რომ გადასწვდა, გვერდით მსხდომებმა და წესრიგის დამცველებმაც შეუბღვირეს და იქაურობას გაეცალა.

დღეს ფედერაციაში ჟორდანიას და მისი ამალის მაგივრად სხვა რომ მჯდარიყო, ვითომ უკეთეს დღეში იქნებოდა „მეტალურგი" და ფული დაათოვდა? ანაც სტუმარმა რაღა დააშავა და გაუგებარია, რატომ იმსახურებდა გინებას? თუმც იმ გაგიჟებული ქომაგისაც გვესმის, რომელიც ზესტაფონიდან თერჯოლაში გაჭირვებით ჩავიდა და იქ საყვარელი გუნდის საცოდაობას უცქერდა.

ყველაზე საკვირველი ამბავი კი შუა თამაშისას მოხდა. მოედნის თავზე ღრუბლის ოთხმა ნაგლეჯმა ჯვარი გამოსახა, არადა, ცა სულ მოწმენდილი იყო. ნანახმა ფეხბურთელები ისე გააკვირვა, რომ ერთხანს ცას თვალი ვერ მოსწყვიტეს. ვისთვის გადმოიხედა ზემოდან უფალმა, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 17 | 13 | 2 | 2 | 37:11 | 41 |
| დინამო | 16 | 13 | 1 | 2 | 39:5 | 40 |
| ლოკომოტივი | 16 | 12 | 1 | 3 | 29:8 | 37 |
| ვიტ ჯორჯია | 17 | 12 | 1 | 4 | 29:11 | 37 |
| სიონი | 17 | 8 | 2 | 7 | 23:22 | 26 |
| კოლხეთი | 17 | 7 | 2 | 8 | 19:27 | 23 |
| მერანი | 17 | 5 | 3 | 9 | 19:30 | 18 |
| მეტალურგი | 17 | 5 | 1 | 11 | 10:35 | 16 |
| ბათუმი | 17 | 3 | 5 | 9 | 12:23 | 14 |
| გორდა | 17 | 4 | 0 | 13 | 15:31 | 12 |
| დილა | 17 | 3 | 3 | 11 | 9:24 | 12 |
| მილანი | 17 | 3 | 3 | 11 | 9:30 | 12 |

პირველ ტურში „მერანს", „მეტალურგს", „გორდას" და „მილანს" ჩაეთვალათ 0:3 წაგება.
მეცხრე ტურში „მეტალურგს" „ვიტ ჯორჯიასთან" ჩაეთვალა წაგება 0:3.
მეთორმეტე ტურში „მერანს" „გორდასთან" ჩაეთვალა წაგება 0:3.
მეთექსმეტე ტურში „მეტალურგს" „ტორპედოსთან" ჩაეთვალა წაგება 0:3.

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 11 - იონანიძე | ტორპედო |
| 10 - მელქაძე | ვიტ ჯორჯია |
| 9 - დარასელია | დინამო |
| 8 - შაშგულიძე | სიონი |
| 7 - გოდერძიშვილი | სიონი |

# ლაზიკამ უმაღლესი გაიფიქრა

გურჯაანი
17 ნოემბერი
15 საათი
დავით ყიფიანი
200 (ტევადობა 3 000)

## ალაზანი 1:5 ლაზიკა

0:1 ლიპარტია (18), 0:2 თოდუა (32), 0:3 ფიფია (36), 1:3 საბაშვილი (47), 1:4 მებონია (70), 1:5 ლიპარტია (86)

ალაზანი: დ. ყალაბეგაშვილი, ძამაშვილი, ე. ალადაშვილი, გოლეთიანი (მჭედლიშვილი 46), ოქროშიძე, კვანტალიანი, ი. ყალაბეგაშვილი, სხირტლაძე, დ. ბურდული, ნათობიძე, კუპრაშვილი (საბაშვილი 37)
სათადარიგონი: კიქნაველიძე, კაციაშვილი
მწვრთნელი: დავით მაჭარაშვილი

ლაზიკა: მ. ნაყოფია, გვაზავა, ქითანავა, ფიფია (იოსავა 79), ჯაბუა, ა. ნაყოფია, მებონია, ლიპარტია, თოდუა, გვიჩია (ჯოჯუა 67), ბაკარანძე (მერტაია 67)
სათადარიგონი: გოგიაა; ქირია, ქეთია
მწვრთნელი: ბესიკ შეროზია

მსაჯები: გ. ახვლედიანი (ქარელი), გ. ვადაჭკორია, კ. ტიეშაძე (ორივე თბილისი), ა. ორდენიძე (ონი)

გაფრთხილება: ძამაშვილი (21), ჯოჯუა (67), გვაზავა (81), ოქროშიძე (88)

**ვაჟა ხუციშვილი** გურჯაანიდან

**ოდესღაც** ბრინჯაოსან გურჯაანის „ალაზანს" რომ არ ულხინს, არახალია. გუნდს გამარჯვება მონატრებია და ჯიგრითაც ეკვეთა ზუგდიდის „ლაზიკას", მაგრამ ისევ ვერას გახდა — მორიგმა მარცხმა გურჯაანელი ქომაგები, რა თქმა უნდა, გააწბილა, მაგრამ ფეხბურთელებს სურვილს და მონდომებას ალბათ მაინც ვერ დაუწუნებენ. რაც აქამდე უსწავლიათ და იციან, გადაიტანეს მოედანზე, თუმცა ეს არათუ მოსაგებად, ფრისთვისაც არ აღმოჩნდა საკმარისი. „ალაზანი" ძირითადი მეკარისა და თავდამსხმელის გარეშე თამაშობდა, რამაც გუნდი კიდევ უფრო შეასუსტა.

ზუგდიდელები პირველ ტაიმშივე სამი უპასუხო გოლით დაწინაურდნენ, მაგრამ მეორის დასაწყისში მასპინძლები გონს მოეგნენ და საბაშვილმა ერთის გაქვითვა შეძლო. ამ მომენტიდან ხუთიოდ წუთში ნაყოფიასთან პირისპირ გასულ ვეფხია ნათობიძეს მეორეც რომ გაეტანა, ალბათ, „ალაზანი" ფრეზე მაინც იფიქრებდა, მაგრამ „ლაზიკას" მეკარემ სასწაულებრივ მოიგერია ორიოდ მეტრიდან დარტყმული.

სტუმრებმა კონტრიერიშებზე არაერთი საგოლე შექმნეს, რომელთაგან ოდენ ორი გამოიყენეს მეორე ტაიმში.

**„ლაზიკას" მთავარმა მწვრთნელმა ბესიკ შეროზიამ** ნამატჩევს გვითხრა: „ეს ბიჭები ჩემს ხელში არიან გაზრდილნი. გუნდს შეძლებული პატრონი ჰყავს და ქალაქიც გვეხმარება საკუთარი ბიუჯეტიდან. თავიდან მეც არ ვფიქრობდი, რომ ლიდერებში გავერეოდით, მაგრამ ფეხბურთელებმა მოინდომეს და ახლა უმაღლესში აღზევების კარგი შანსი გვაქვს. ვეცდებით, გამოვიყენოთ. თუ ეს ჟინი ჩემპიონატის ბოლომდე გაგვყვება, ჩვენი სურვილი რეალობად იქცევა. შედეგის მისაღწევად შრომა არ მეზარება. სპეციალური ლიტერატურაც კი მოვიძიე და პარალელურად ვსწავლობ".

მოკლედ, ბესიკ შეროზია იმედიანადაა, მით უმეტეს, რომ მას გუნდში ისეთი ორი მეგოლე ჰყავს, რომლებმაც გუნდის 30 გატანილიდან 20 თავიანთ ანგარიშზე მიითვალეს — თოდუამ 11, ხოლო ლიპარტიამ 9. მათ კვალში ბაკარანძე მიჰყვება 5-ით. თოდუას და ლიპარტიას საგოლე ალღო და სისწრაფე ნამდვილად არ დაეწუნებათ, რასაც თითქმის ყოველ მატჩში ამტკიცებენ.

საქართველოს პირველი ლიგა 14 ჩემპიონატი წრე

## 13 ტური

**იბერია 2:0 გურია**

**ხობი 1:0 სამგურალი**

**ლოკომოტივი 2 1:0 სამტრედია**

**მცხეთა 0:0 ცხინვალი**

**მერცხალი 1:1 თსუ**

**ქობულეთი 1:0 ლოკო**

**დინამო 2 1:0 ჭაბუკთა ნაკრები**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლაზიკა | 13 | 8 | 4 | 1 | 30:15 | 28 |
| მერცხალი | 13 | 8 | 4 | 1 | 20:6 | 28 |
| ცხინვალი | 13 | 7 | 4 | 2 | 22:11 | 25 |
| ივერია | 13 | 7 | 3 | 3 | 19:14 | 24 |
| დინამო 2 | 13 | 6 | 2 | 5 | 17:13 | 20 |
| სამგურალი | 13 | 5 | 5 | 3 | 16:12 | 20 |
| ჭაბუკთა ნაკრები | 13 | 5 | 3 | 5 | 19:14 | 18 |
| მცხეთა | 12 | 4 | 5 | 3 | 16:11 | 17 |
| ქობულეთი | 13 | 5 | 1 | 7 | 8:15 | 16 |
| თსუ | 13 | 4 | 4 | 5 | 9:11 | 16 |
| გურია | 13 | 4 | 3 | 6 | 11:16 | 15 |
| ლოკო | 12 | 4 | 2 | 6 | 10:16 | 14 |
| ლოკომოტივი 2 | 11 | 3 | 5 | 3 | 10:8 | 14 |
| სამტრედია | 13 | 3 | 2 | 8 | 10:19 | 11 |
| ხობი | 13 | 2 | 3 | 8 | 8:19 | 9 |
| ალაზანი | 13 | 0 | 4 | 9 | 9:34 | 4 |

# მახო მოსულა!
## ცალკარა და ძველი ლიდერი

### ინგლისი
**პრემიერლიგა. XIV ტური**

**ვესტ ბრომვიჩი 0:0 ასტონ ვილა**
ვესტ ბრომვიჩი: ჰოულტი, დ. მური, ჯილქრისტი (ა. ჩემბერსი 77), სიგურდსონი, ბალიში, მაკინესი, ნ. ჯონსონი, გრიგენი (დიჩიო 71), კლემენტი, რობერტსი, დობი (ლ. ჰიუზი 67)
მწვრთნელი: გარი მეგსონი
ასტონ ვილა: ენქელმანი, დილანი, მელბერგი, იონსენი (სტონტონი 39), ჯ. სამუელი (ლ. ჰენდრი 60), ლეონჰარდსენი, ა. ტეილორი, ჰიცლსბერგერი, ბერი, დაბლინი, ალბეკი (ვასელი 60)
მწვრთნელი: გრემ ტეილორი
გაფრთხილება: გრიგენი, დიჩიო, იონსენი, ტეილორი, ბერი
მსაჯი: გალაჰერი
27 091 მაყურებელი

**ნიუკასლი 2:1 საუთჰემპტონი**
0:1 ბიტი (2), 1:1 ამეობი (41), 2:1 ჰიუზი (54)
ნიუკასლი: გივენი, გრიფინი, კოლდველი, ობრაიენი (დაბიზასი 78), ა. ჰიუზი, დაიერი, ჯენასი, სპიდი, ვიანა (ბერნარი 82), შირერი, ამეობი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
საუთჰემპტონი: ნიემი, მაიკლ სვენსონი, ლუნდეკვამი, დოდი (ტელფერი 69), ბრიჯი, ა. სვენსონი (მარსდენი 82), ოკლი, მარსდენი, ფ. ფერნანდესი, ბიტი, ორმეროდი (დელგადო 56)
მწვრთნელი: გორდონ სტრაკანი
გაფრთხილება: შირერი, მ. სვენსონი, ბრიჯი, ორმეროდი
მსაჯი: უილკისი
51 812 მაყურებელი

**მანჩესტერ სიტი 0:1 ჩარლტონი**
0:1 ბარტლეტი (79)
მანჩესტერ სიტი: შმაიხელი, ჯიხაი, რ. დანი, მეტომო, რაიტ-ფილიპსი, ბერკოვიჩი (ბენარბია 74), ფოუ (ჰორლოკი 47), ტიატო, ნ. იენსენი, ანელკა, გოტერი (მაკენი 73)
მწვრთნელი: კევინ კიგანი
ჩარლტონი: დ. კილი, როუეტი, ფიში, რუფუსი, იანგი, პარკერი (კონჩესკი 90), კიშიშევი, დ. პაუელი, იუელი, ბარტლეტი (ლისბი 86), ჯ. იონსონი
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
გაფრთხილება: პარკერი, იანგი, რუფუსი, კიშიშევი
მსაჯი: ბარბერი
34 455 მაყურებელი

**ჩელსი 1:0 მიდლსბრო**
1:0 ბაბაიარო (47)
ჩელსი: კუდიჩინი, მელხიოტი, გალასი, დესაი, ბაბაიარო, ჯ. მორისი (გრონკიერი 46), ლამპარდი, ე. პეტი, ლე სო (ტერი 85), გუდიონსენი (ჰასელბაინკი 76), ძოლა
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
მიდლსბრო: შვარცერი, პარნაბი (კედრუ 67), ეჰიოგუ, საუთგეიტი, ვიდმარი, ჯერემი, ჯ. ბოატენგი, გრინინგი, ჯობი, ნემეტი (ბოკშიჩი 71), მაკარონე (უილსონი 71)
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
გაფრთხილება: პეტი, მელხიოტი, ბოატენგი
მსაჯი: დოუდი
39 064 მაყურებელი

**არსენალი 3:0 ტოტენჰემი**
1:0 ანრი (13), 2:0 ლიუნგბერგი (55), 3:0 ვილტორდი (71)
არსენალი: შიმანი, ლორენი, ს. კემპბელი, ციგანი, ეშლი კოული, ვილტორდი, ჟილბერტო სილვა, ვიეირა (ვან ბრონკჰორსტი 78), ლიუნგბერგი, ანრი (ჯეფერსი 75), ბერგკამპი (პირესი 26)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
ტოტენჰემი: კელერი, კარი, რიჩარდსი, კინგი, ბუნჯევიჩი, ს. დევისი, რედნაპი (ანდერტონი 65), ფრიდი, ეზერინგტონი (პოიეტი 46), შერინგემი (აივერსენი 64), რობი კინი
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
გაფრთხილება: დევისი, დევისი, პოიეტი
გაძევება: დევისი (27)
მსაჯი: რაილი
38 152 მაყურებელი

**ბირმინგემი 0:0 ფულჰემი**
ბირმინგემი: ვესონი, ტებილი (ბ. ჰიუზი 75), პერსი, კანინგემი, კენა, დევლინი, სევეჯი (კარტერი 82), ა. ჰიუზი, ლაზარიდისი, ჯონი (მორისონი 75), ჰორსფილდი
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
ფულჰემი: ვან დერ სარი, ფინანი, მელვილი, გომა, ბრევეტი, გოლდბეკი (ინამოტო 85), ლეგვინსკი (ჯეტუ 60), კლარკი, მალბრანკი, მარლე ბოა მორტე (ნაითი 71)
მწვრთნელი: ჟან ტიგანა
გაფრთხილება: დევლინი, სევეჯი, ფინანი
გაძევება: ბრევეტი (37), მარლე (79)
მსაჯი: მესიასი
26 164 მაყურებელი


REUTERS ლონდონიდან

ვესტ ჰემი — მანჩესტერ იუნაიტედი. რუუდ ვან ნისტელროიმ ლონდონელთა მეკარე დევიდ ჯეიმს ერთხელ აჯობა

**ბლექბერნი 0:1 ევერტონი**
0:1 კემბელი (19)
ბლექბერნი: ფრიდელი, ნილი, შორტი, ნ. იოჰანსონი, კურტისი (თორნი 69), ტომსონი, დ. დანი, ტუგაი, დაფი, ენდი კოული, ოსტენსტადი
მწვრთნელი: გრემ სუნესი
ევერტონი: რ. რაიტი, ჰაიბერტი, იობო, სტაბსი, ნაისმიტი (რუნი 81), კარსლი, ტიე (უოტსონი 57), გრაველსენი, ანსუორთი, კ. კემბელი, რაძინსკი (ფერი 89)
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
გაფრთხილება: შორტი, იოჰანსონი, ოსტენსტადი, ტიე
მსაჯი: პოლი
26 496 მაყურებელი

**ლიდსი 2:4 ბოლტონი**
0:1 პედერსენი (3), 1:1 სმიტი (4), 1:2 ჯორკაეფი (80), 2:2 კიუელი (84), 2:3 რიკეტსი (89პ), 2:4 პედერსენი (90)
ლიდსი: პ. რობინსონი, ჰ. კელი, მეთიუზი, ლუკიჩი (დაბერი 81), უილკოქსი, სმიტი, ბარმბი, მაკფაილი (მილნერი 68), ბაკე, კიუელი, ვიდუკა
მწვრთნელი: ტერი ვენებლზი
ბოლტონი: იასკელაინენი, ნგოტი (ტოფტინგი 89), კამპო, ბერგსონი, მენდი, ოკოჩა, ფრანდსენი, ნოლანი (რიკეტსი 77), ჩარლტონი, ჯორკაეფი, პედერსენი
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
გაფრთხილება: ბაკე, კიუელი
მსაჯი: უაილი
36 627 მაყურებელი

**ვესტ ჰემი 1:1 მანჩესტერ იუნ.**
0:1 ვან ნისტელროი (38), 1:1 დეფო (86)
ვესტ ჰემი: ჯეიმსი, შემელი, უინტერბერნი, დეილი, ი. პირსი, ტ. სინკლერი, ე. სისე, კარიკი, ჯ. კოული, დეფო, დი კანიო
მწვრთნელი: გლენ როედერი
მანჩესტერ იუნ: ბარტეზი, უესლი ბრაუნი, ბლანი, ოშეი, სილვესტრი, სქოულზი, ვერონი, სოლშეარი, ფორლანი, გიგზი, ვან ნისტელროი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: სისე, ფორლანი
მსაჯი: ბელსი
35 049 მაყურებელი

**ლივერპული 0:0 სანდერლენდი**
ლივერპული: დუდეკი, ბაბელი, ტრაორე, ჰიპია, კარაგერი (რიისე 67), დ. მერფი, ჰამანი, დიაო, შმიცერი, ოუენი, ჰესკი (დიუფი 67)
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
სანდერლენდი: მახო, ბიორკლუნდი, კრადოკი, ბები, მაკარტნი, პროქტორი (მ. სტიუარტი 85), გ. მაკკანი, კილბეინი, გრეი, ფლო (კაილი 72), ფილიპსი (ტორლსვენი 66)
მწვრთნელი: ჰოვარდ უილკინსონი
გაფრთხილება: ბიორკლუნდი
მსაჯი: დურხი
43 074 მაყურებელი

**დიდი** ჩრდილოური დერბი, ლონდონური ფეხბურთის მშვენება „არსენალი“ — „ტოტენჰემი“ შაბათს „ჰაიბერიზე“ გაიმართა და სალაპარაკო და სადავო ბევრი არაფერი დაუტოვებია: „მეთოფეებმა“ თავიანთი უკეთესობა ტიერი ანრის ჯადო-გოლით და მეორე ტაიმში მიყოლებული ფრედი ლიუნგბერგისა და სილვენ ვილტორდის ბურთებით დაამტკიცეს. თითო გოლი ვილტორდმა და ანრიმ მანამდეც გაიტანეს, თუმცა სანტიმეტრული ოფსაიდის გამო არ ჩაითვალა.

ისე კი, ეს თამაში ნამდვილი გიჟური ბრძოლა იყო, ოღონდ 27-ე წუთამდე, როცა შსაჯმა მაიკ რაილიმ მეორე ყვითელი ბარათით გააძევა ტოტენჰემელი საიმონ დევისი და სტუმართა გუნდი ტაიმნახევრით დატოვა კაცნაკლული. დევისი ბურთისთვის ებრძოდა პატრიკ ვიეირას და ხისტი მოქნეულით კინალამ კოჭი მოამტვრია, თუმცა ეს წინასწარგანზრახული უხეშობა არ ყოფილა.

ამ მომენტს თამაშის ბედის განმსაზღვრელი უწოდა გლენ ჰოდლმა, ხოლო არსენ ვენგერმა თქვა: „საუკეთესო თვისებები გამოვავლინეთ და მეტოქე დავჯაბნეთ.“

ამ გამარჯვებით „არსენალმა“ დაიბრუნა ოთხი ტურის წინ დაკარგული ლიდერობა, რადგან „ლივერპულისთვის“ კოშმარული კვირა, რომელიც მიდლსბროში მარცხით დაიწყო, ბაზელში სავალალო ფრით აღინიშნა და გაგრძელდა „ენფილდზე“, სადაც ჰოვარდ უილკინსონის ხელში გამოლეშებულმა „სანდერლენდმა“ უგოლო ფრით ჩამოაგდო ლივერპულელები პირველი საფეხურიდან.

ეს იყო ნამდვილი ცალკარა და შტურმი მასპინძელთა მხრიდან, თუმცა სტუმრებს ჰყავდათ მეკარე იურგენ მახო და სწორად ორგანიზებული მამაცური დაცვა. მარტო ლენი მერფის ისეთები აუღეს, რომ ბარე სამ თამაშს ეყოფოდა, უილკინსონმა კი თქვა: „ბიჭებმა გმირულად ითამაშეს. როცა გუნდს ასეთი განწყობა აქვს, არაფრის შეეშინდება.“

„სანდერლენდს“ არცერთხელ არ დაურტყამს კარში და არც კუთხური ჩაუწოდებია, „ლივერპულმა“ კი 24-ჯერ დაარტყა და აქედან ათი მახომ მოიგერია, 14 კი აცდა.

კვლავ მოიგო „ჩელსიმ“, რომელიც მესამე საფეხურიდან ამასვლას გეგმავს და კვლავ მოიგო „ევერტონმა“, რომელიც უკვე ზედიზედ მეხუთე მატჩია, შინ თუ გარეთ, ახერხებს გამარჯვების გოლის გატანას. ამჯერად დევიდ მოიესის „ტკბილეულებმა“ ბლექბერნში იმარჯვა კევინ კემბელის გოლით. ყრმა უეინ რუნი ბოლო ათ წუთს გამოჩნდა მოედანზე და თანაგუნდელებთან ერთად ანგარიშის შესანარჩუნებლად იბრძოდა. „ჩელსი“ კი ულოცავდა ხელეხსნ ბაბაიაროს, რომელმაც პრემიერლიგაში სამწლიანი თამაშის განმავლობაში პირველად გაიტანა სალიგო გოლი.

ვის თავზე ტრიალებს წისქვილის ქვა და „ლიდსისა“. ტრავმების ეპიდემია და გადაღლილობა ტერი ვენებლზს საშუალებას არ აძლევს, რომ იორკშირულ გუნდს გუნდური სახე მისცეს. „ლიდსმა“ ზედიზედ მეოთხე საშინაო მატჩი წააგო, თან ვისთან — „ბოლტონთან“, რომელსაც იქამდე რვა ტური იყო არ მოეგო და თანაც წააგო ისე, რომ ბოლო ორ წუთში ორი გოლი გაუშვა.

„ჩვენ ვიცოდით, რომ მათ შეიძლო კაცი აკლდათ“, თქვა მატჩის შემდეგ სტუმართა მწვრთნელმა სემ ალარდაისმა. თავად თამაში კი ბურთი ბურთში მიდიოდა: „ბოლტონი“ გაიტანდა, „ლიდსი“ ათანაბრებდა. 89-ე წუთზე მასპინძელთა მეკარე პოლ რობინსონმა მაიკლ რიკეტსი მოცელა საჯარიმოში და წაქცეული იმისთვის წამოდგა, რომ თავისი გუნდი დაეწინაურებინა. ამას ძალიან მალევე მოჰყვა სტიგ ტოფტინგის კროსი და მეორე დანიელმა ჰენრიკ პედერსენმა დუბლი აღასრულა მორგებული თავურით.

„ის, რაც ჩვენს თავს ხდება, ახლა სალაპარაკო არ არის. ყველაფერი ნულიდან უნდა დავიწყოთ“ — თქვა ვენებლზმა.

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ კი მორიგი ფლავი მიირთვა. სერ ალექსის გუნდი მთელ თამაშს უტევდა „ვესტ ჰემს“ „აპტონ პარკზე“ და გროსმაისტერული აპლომბით მიჰყავდა თამაში ბოლომდე, თუმცაღა „ვესტ ჰემი“ არ მოდუნდა და გარეგაც დაუფასდა. ბექჰემთა დის ბოიფრენდმა ჯერმენ დეფომ დი კანიოს წამოწყებული სხარტი კომბინაცია გოლით დაასრულა 86-ე წუთზე. უბედური „მანჩესტერისა“ [illegible] ანი შეტევა გასწია [illegible] იყო, რომ მასპინძელთა მეკარე დევიდ ჯეიმსს გიჟური ნახტომი რომ არ მოეხერხებინა, სტუმრები მოიგებდნენ კიდეც.

ფერგიუსონმა ყველას შეახსენა, რომ დეფომ თამაშგარედან გაიტანა (მართლაც ასე იყო), თუმცა იქვე დაურთო: „ისინი ქულას იმსახურებდნენ, მაგრამ ქულა გვერდიომა შეაჯამა აჩუქა. ჩვენ კარგად ვითამაშეთ.“

„მანჩესტერი“ კი სულ უფრო და უფრო წყდება ლიდერთა ჯგუფს.

**ირაკლი გამყრელიძე**

| № | სულ თ | სულ მ | სულ ფ | სულ წ | სულ ბ | სულ ს | სულ ქ | შინ თ | შინ მ | შინ ფ | შინ წ | შინ ბ | შინ ს | შინ ქ | სტუმრად თ | სტუმრად მ | სტუმრად ფ | სტუმრად წ | სტუმრად ბ | სტუმრად ს | სტუმრად ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 არსენალი | 14 | 10 | 2 | 2 | 31:13 | 18 | 32 | 8 | 7 | 0 | 1 | 19:7 | 12 | 21 | 6 | 3 | 2 | 1 | 12:6 | 6 | 11 |
| 2 ლივერპული | 14 | 9 | 4 | 1 | 24:10 | 14 | 31 | 8 | 5 | 3 | 0 | 14:5 | 9 | 18 | 6 | 4 | 1 | 1 | 10:5 | 5 | 13 |
| 3 ჩელსი | 14 | 7 | 5 | 2 | 24:12 | 12 | 26 | 7 | 4 | 2 | 1 | 14:6 | 8 | 14 | 7 | 3 | 3 | 1 | 10:6 | 4 | 12 |
| 4 ევერტონი | 14 | 8 | 2 | 4 | 17:15 | 2 | 26 | 6 | 4 | 2 | 0 | 10:5 | 5 | 14 | 8 | 4 | 0 | 4 | 7:10 | -3 | 12 |
| 5 მანჩესტერი | 14 | 6 | 5 | 3 | 18:13 | 5 | 23 | 7 | 5 | 1 | 1 | 9:3 | 6 | 16 | 7 | 1 | 4 | 2 | 9:10 | -1 | 7 |
| 6 ნიუკასლი | 13 | 7 | 1 | 5 | 20:17 | 3 | 22 | 7 | 6 | 0 | 1 | 14:5 | 9 | 18 | 6 | 1 | 1 | 4 | 6:12 | -6 | 4 |
| 7 მიდლსბრო | 14 | 6 | 3 | 5 | 16:11 | 5 | 21 | 7 | 5 | 2 | 0 | 12:4 | 8 | 17 | 7 | 1 | 1 | 5 | 4:7 | -3 | 4 |
| 8 ბლექბერნი | 14 | 5 | 5 | 4 | 19:15 | 4 | 20 | 8 | 2 | 3 | 3 | 11:10 | 1 | 9 | 6 | 3 | 2 | 1 | 8:5 | 3 | 11 |
| 9 ტოტენჰემი | 14 | 6 | 2 | 6 | 17:21 | -4 | 20 | 6 | 4 | 1 | 1 | 9:7 | 2 | 13 | 8 | 2 | 1 | 5 | 8:14 | -6 | 7 |
| 10 ლიდსი | 14 | 5 | 2 | 7 | 19:20 | -1 | 17 | 7 | 2 | 0 | 5 | 7:11 | -4 | 6 | 7 | 3 | 2 | 2 | 12:9 | 3 | 11 |
| 11 საუთჰემპტონი | 14 | 4 | 5 | 5 | 14:15 | -1 | 17 | 7 | 3 | 4 | 0 | 9:4 | 5 | 13 | 7 | 1 | 1 | 5 | 5:11 | -6 | 4 |
| 12 სიტი | 14 | 5 | 2 | 7 | 14:20 | -6 | 17 | 7 | 3 | 1 | 3 | 9:11 | -2 | 10 | 7 | 2 | 1 | 4 | 5:9 | -4 | 7 |
| 13 ფულჰემი | 14 | 4 | 4 | 6 | 17:18 | -1 | 16 | 7 | 3 | 2 | 2 | 9:6 | 3 | 11 | 7 | 1 | 2 | 4 | 8:12 | -4 | 5 |
| 14 ასტონ ვილა | 14 | 4 | 4 | 6 | 10:12 | -2 | 16 | 7 | 4 | 1 | 2 | 9:5 | 4 | 13 | 7 | 0 | 3 | 4 | 1:7 | -6 | 3 |
| 15 ბირმინგემი | 14 | 4 | 4 | 6 | 14:18 | -4 | 16 | 7 | 3 | 1 | 3 | 8:7 | 1 | 10 | 7 | 1 | 3 | 3 | 6:11 | -5 | 6 |
| 16 ჩარლტონი | 14 | 4 | 2 | 8 | 11:18 | -7 | 14 | 6 | 1 | 1 | 4 | 5:11 | -6 | 4 | 8 | 3 | 1 | 4 | 6:7 | -1 | 10 |
| 17 სანდერლენდი | 14 | 3 | 5 | 6 | 8:16 | -8 | 14 | 6 | 2 | 1 | 3 | 4:6 | -2 | 7 | 8 | 1 | 4 | 3 | 4:10 | -6 | 7 |
| 18 ბოლტონი | 13 | 3 | 3 | 7 | 16:24 | -8 | 12 | 6 | 1 | 3 | 2 | 7:8 | -1 | 6 | 7 | 2 | 0 | 5 | 9:16 | -7 | 6 |
| 19 ვესტ ჰემი | 14 | 3 | 3 | 8 | 14:24 | -10 | 12 | 8 | 0 | 3 | 5 | 7:13 | -6 | 3 | 6 | 3 | 0 | 3 | 7:11 | -4 | 9 |
| 20 ვესტ ბრომვიჩი | 14 | 3 | 3 | 8 | 10:21 | -11 | 12 | 7 | 2 | 2 | 3 | 5:8 | -3 | 8 | 7 | 1 | 1 | 5 | 5:13 | -8 | 4 |

**XV ტური**
**23 ნოემბერი**
მანჩესტერი — ნიუკასლი
ასტონ ვილა — ვესტ ჰემი
ბოლტონი — ჩელსი
ევერტონი — ვესტ ბრომვიჩი
ფულჰემი — ლივერპული
მიდლსბრო — მანჩესტერ სიტი
საუთჰემპტონი — არსენალი
სანდერლენდი — ბირმინგემი
**24 ნოემბერი**
ტოტენჰემი — ლიდსი
ჩარლტონი — ბლექბერნი

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ძოლა (ჩელსი) | 9 |
| ოუენი (ლივერპული) | 8 |
| ვილტორდი (არსენალი) | 8 |
| შირერი (ნიუკასლი) | 7 |
| ანელკა (მანჩესტერ სიტი) | 7 |
| ანრი (არსენალი) | 7 |

### I დივიზიონი
**XIX ტური**

**ბრაიტონი 1:0 დერბი ქაუნთი**
1:0 მაიო (89)
დერბი ქაუნთი: გრანტი, უ. ბარტონი (ჯექსონი 58), ელიოტი, რიგოტი, ევატი, ლი, ბოერტიენი, ქინქლაძე, ბოლდერი, დ. ბარტონი, კრისტი
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
გაფრთხილება: ელიოტი, კრისტი, ბარტონი
გაძევება: კრისტი (52)
6 845 მაყურებელი

**ქოვენთრი 0:2 ვულვერჰემპტონი**
0:1 ლესკოტი (38), 0:2 რეი (77)

**ჯილინგემი 1:1 შეფილდ უენსდეი**
1:0 ჯონსონი (24), 1:1 ნაითი (90)

**გრიმსბი 3:3 პრესტონი**
1:0 კემბელი (3), 1:1 კრესველი (27), 2:1 ფორდი (59), 3:1 მანსარამი (80), 3:2 ალექსანდერი (84პ), 3:3 ეტუჰუ (88)

**მილუოლი 2:2 ლესტერი**
0:1 ჰითი (1), 0:2 ჯ. სტიუარტი (3), 1:2 რიდი (28), 2:2 უაიზი (81)

**ნორვიჩი 2:0 კრისტალ პალასი**
1:0 მაკვეიგი (9), 2:0 რობერტსი (87)

**ნოტინგემი 3:0 ბრედფორდი**
1:0 ლესტერი (18), 2:0 ჯონსონი (25), 3:0 ლუფინი (36)

**პორტსმუთი 3:0 სტოკი**
1:0 ბერჩილი (49), 2:0 პერიკარი (87), 3:0 ტოდოროვი (90)

**როტერჰემი 0:0 ბარნლი**

**უიმბლდონი 3:2 უოლსოლი**
1:0 მაკანუფი (25), 1:1 ხუნიორი (42), 2:1 შიპერლი (69პ), 2:2 სონერი (80პ), 3:2 ფრენსისი (90)

**უოტფორდი 0:2 იფსვიჩი**
0:1 ა. არმსტრონგი (61), 0:2 კლეპამი (67)
შეფილდ იუნაიტედი — რედინგი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტსმუთი | 19 | 14 | 3 | 2 | 40:17 | 45 |
| ლესტერი | 18 | 11 | 5 | 2 | 29:16 | 38 |
| ნორვიჩი | 19 | 10 | 6 | 3 | 33:15 | 36 |
| ნოტინგემი | 18 | 9 | 6 | 3 | 32:15 | 33 |
| უოტფორდი | 19 | 9 | 4 | 6 | 25:27 | 31 |
| ვულვზი | 18 | 8 | 5 | 5 | 36:20 | 29 |
| რედინგი | 17 | 9 | 2 | 6 | 21:14 | 29 |
| შეფილდი | 18 | 8 | 5 | 5 | 26:23 | 29 |
| როტერჰემი | 19 | 7 | 6 | 6 | 31:23 | 27 |
| ქოვენთრი | 19 | 7 | 6 | 6 | 23:25 | 27 |
| ბარნლი | 19 | 7 | 5 | 7 | 27:32 | 26 |
| უიმბლდონი | 19 | 7 | 4 | 8 | 28:30 | 25 |
| კრ. პალასი | 18 | 5 | 9 | 4 | 28:23 | 24 |
| დერბი | 19 | 7 | 3 | 9 | 21:25 | 24 |
| ჯილინგემი | 19 | 6 | 6 | 7 | 20:26 | 24 |
| მილუოლი | 19 | 6 | 5 | 8 | 21:30 | 23 |
| პრესტონი | 18 | 4 | 9 | 5 | 28:30 | 21 |
| იფსვიჩი | 17 | 5 | 5 | 7 | 21:20 | 20 |
| უოლსოლი | 19 | 5 | 4 | 10 | 28:34 | 19 |
| ბრედფორდი | 19 | 4 | 7 | 8 | 21:32 | 19 |
| გრიმსბი | 19 | 4 | 5 | 10 | 22:37 | 17 |
| სტოკი | 19 | 3 | 5 | 11 | 20:36 | 14 |
| უენსდი | 19 | 2 | 7 | 10 | 15:29 | 13 |
| ბრაიტონი | 17 | 3 | 2 | 12 | 16:33 | 11 |

### ასოციაციის თასი. I ეტაპი
ბათი — მეისტოლდი 2:4; ბაიბრიჯი — ბრისტოლი 0:7; ტრანმერი — კარდიფი 2:2; სოთპორტი — ნოტსი 4:2; ბარნსლი — ბლეკპული 1:4; ბაროუ — მორ გრინი 2:0; ბორნმუთი — დონკასტერი 2:1; როჩდეილი — რანკორნი 0:0; ბური — პლიმუთი 0:3; კარლაილი — ლინკოლნი 2:1; ჩესტერფილდი — მორკემბი 1:2; კოლჩესტერი — ჩესტერი 0:1; დაგენჰემი — ჰასტინგსი 3:2; დოვერი — ოქსფორდი 0:1; ფარნბორო — ჰაროგეიტი 5:1; ჰალი — მაკლსფილდი 0:3; კიდერმინსტერი — რაშდენი 2:2; ლუტონი — გისლი 4:0; ნორთჰემპტონი — ბოსტონი 3:2; ნორსვიჩი — სკანთორპი 0:3; ოლდემი — ბარტონი 2:2; პორტ ვეილი — კრიუ 0:1; როჩდეილი — პეტერბორო 3:2; სკარბორო — კემბრიჯი 0:0; შრუსბერი — სტაფორდი 4:0; საუთენდი — ჰარტლეპული 1:1; სტოკპორტი — სენტ ალბანსი 4:1; სუინდონი — ჰადერსფილდი 1:0; ტორკი — ბორემვუდი 5:0; ვოქსჰოლ მოტორსი — ქუინზ პარკი 0:0; რექსჰემი — დარლინგტონი 0:2; უიკემი — ბრენტფორდი 2:4; იოვილი — ჩელტენჰემი 0:2; ლეიტონი — მარგეიტი 1:1; ჰერეფორდი — უიგანი 0:1; ფორესტ გრინი — ექსეტერი 0:0. იორკი — სუონსი გადაიდო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 618-ე, რომელმაც ჩაძირა ლაუტერნი

## გერმანია

### ბუნდესლიგა. XIII ტური

**ვერდერი 5:3 კაიზერსლაუტერნი**

0:1 ლინკოლნი (10), 1:1 ვერლაატი (14), 1:2 კოხი (18პ), 1:3 ტიმი (53), 2:3 კლოზე (61ს.კ.), 3:3, 4:3 აილტონი (77, 88), 5:3 კლასნიჩი (90)
ვერდერი: ბორელი, ფ. ბაუმანი (კლასნიჩი 72), ვერლაატი, კრსტაიჩი, სტალტერი, ფ. ერნსტი, მიხი (სკრიპნიკი 31), ლისტეში, მიკუ, დაუნი, აილტონი (რაიხი 90)
მწვრთნელი: თომას შაფი
კაიზერსლაუტერნი: ვიზე, კლოსი, ჰენგენი, ჰ. კოხი, სფორცა, რიდლი, ტებერი, გრამოცისი, ლინკოლნი (თ. როიტერი 74), ტიმი, კლოზე (მიქსვუდი 86)
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
გაფრთხილება: კრსტაიჩი, სფორცა, ერნსტი, კოხი, სფორცა, ვერლაატი, ტებერი, გრამოცისი
გაძევება: სფორცა (37)
მსაჯი: კოოპი
28 300 მაყურებელი

**ბოხუმი 0:2 შალკე**

0:1 კალა (48ს.კ.), 0:2 ასამოა (86)
ბოხუმი: ვან დუინჰოვენი (ვანდერი 46), კოლოდინგა, კალა, ფარეზმორისტი, მაიხელბეკი, გუდოიონსონი (მაშემბაბი 78), შინდცილორცა, ფრაიერი, ვოში, ბაკლი, კრისტიანსენი
მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი
შალკე: რეკი, უდე კამფსისი, ჰაიტო, ვან ჰოოგდალემი, მატელანი, ჰოულსენი, კმეტში (ვერმანტი 87), მოლერი, ასამოა, იოდი (მაწკე 84), სანდი
მწვრთნელი: ფრანკ ნოიბარტი
გაფრთხილება: კალა, ვოში, მაიხელბეკი, კმეტში
მსაჯი: კირხერი
32 645 მაყურებელი

**დორტმუნდი 1:0 მიუნხენი**

1:0 ევერტონი (5)
დორტმუნდი: ვაიდენფელერი, ვორნსი, მადუნი, შ. როიტერი, დედე, კელი, რიკენი, როსიცკი (ტორვარტი 90), ჯ. რეინა (ამოროზო 72), ევერტონი (ლეანდრო 90), კოლერი
მწვრთნელი: მათიას ზამერი
მიუნხენი: იენში, ჩერნი, ოტავა, როდრიგეს კოსტა, ჰოფმანი (აგოსტინო 79), შვარცი, მაიერი (ბორიმიროვი 54), ვაისენბერგერი, ჰესლერი, ლაუტი (დ. შუკერი 54), შროტი
მწვრთნელი: პეტერ პაკულტი
გაფრთხილება: მაიერი
მსაჯი: ფანდელი
68 600 მაყურებელი

**ლევერკუზენი 2:2 მიონხენგლადბახი**

0:1 დემო (25), 1:1 ბიროფკა (29), 1:2 კორზინევი (71), 2:2 ბიროფკა (86)
ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, ტოპკოვიჩი, რამელო (კრისტენი 72), ლუსიო, პლასენტე, ბალიტში, ბ. შნაიდერი, შიმაკი (ბაშტურქი 54), ნოივილი, ბიროფკა, ბერბატოვი (ბრდარიჩი 46)
მწვრთნელი: კლაუს ტოპმოლერი
მიონხენგლადბახი: შტილი, ებერლი, პლეტში, ვიტერეკი, ემბერსი, ჰაუსვაილერი, დემო (ვან ჰუტი 61), ულიხი, აიდოო, ფელგენჰაუერი (მლადე 79), ვან ჰუტი (კორზინევი 41)
მწვრთნელი: ჰანს მაიერი
გაფრთხილება: შნაიდერი, ტოპკოვიჩი, ჰაუსვაილერი, შტილი
გაძევება: პლასენტე (75)
მსაჯი: გაგელმანი
22 500 მაყურებელი

**ჰანზა 1:1 შტუტგარტი**

1:0 პრიკა (4), 1:1 კურანი (46)
ჰანზა: შობერი, ვიმერი, იაკობსონი, კოვაჩი, მაული, კონცი (მარში 38), ლანცი, მეგლე (ვორბეკი 86), რიდლევიჩი, პრიკა, სალუ
მწვრთნელი: არმინ ფეჰი
შტუტგარტი: თ. ერნსტი, ჰინკელი, მეირა, ბორდონი, გერბერი, სოლდო, მაისნერი (მუტცელი 46), გლები, ბალაკოვი, ზაიცი (განეა 46), კურანი (რუი მარკეში 80)
მწვრთნელი: ფელიქს მაგატი
გაფრთხილება: კონცი, რიდლევიჩი, მეგლე, მაული, ზაიცი, ბორდონი
გაძევება: მეირა (61), სალუ (61)
მსაჯი: ალბრეხტი
13 800 მაყურებელი

**ჰანოვერი 0:1 ჰერტა**

0:1 გოორი (17)
ჰანოვერი: სივერსი, ჩერუნდოლო, კონსტანტინიდისი, ზურავი, შტიფელი, დე გუზმანი (ლალა 46), ხაიმე (ნკუფო 75), კრუპნიკოვიჩი, შტენდელი (სტაინერი 46), ბობიჩი, იდრისუ
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
ჰერტა: კირალი, ფრიდრიხი, რემერი (მადლუნგი 66), ნენე, ტრეტოკი, მარქსი (პროცე 78), შმიდტი, ჰარტმანი, ალვეში (პინტუ 75), მარსელინიო, გოორი
მწვრთნელი: ჰუუბ სტივენსი
გაფრთხილება: კონსტანტინიდისი, ბობიჩი, ნენე
მსაჯი: შტარკი
38 794 მაყურებელი

**ბაიერნი 1:0 ვოლფსბურგი**

1:0 სანტა კრუზი (27)
ბაიერნი: კანი, სალიჰამიჯიჩი (რ. კოვაჩი 63), კუფური, თ. ლინკე, ლიზარაზუ, იერემისი, ბალაკი, შოლი (ფოიელნერი 68), ზე რობერტო, ელბერი (კ. პიზარო 87), სანტა კრუზი
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, შარპი, ფრანცა, ბილიშკოვი, რაუ (ტ. მარიჩი 79), კარჰანი, დ. მუნტეანუ (პრეგერი 46), ეფენბერგი, მ. პეტროვი, პონტე, კლიმოვიჩი
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
გაფრთხილება: ელბერი, შოლი, ფრანცა, შარპი
მსაჯი: მერკი
44 000 მაყურებელი

**ნიურნბერგი 1:3 ჰამბურგი**

0:1 ბარბარეზი (26), 1:1 ჩირიჩი (40პ), 1:2 მალტრიცი (51), 1:3 რომეო (66)
ნიურნბერგი: კამპა, კოში, პეტკოვიჩი, ნიკლი, პოპოვიჩი, ლარსენი, სანე (ჟუნიორი 70), იაროლიმი, ლ. მიულერი, დრილერი (კაკუ 55), ს. ჩირიჩი
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
ჰამბურგი: პიკენჰაგენი, ფუკალი, ჰოოგმა (ბაური 82), უიფალუში, ჰოლერბახი, მალტრიცი, ვიკი, მაჰდავიკია, კარდოზო (კრისტენსენი 90), რომეო, ბარბარეზი (ბენიამინი 76)
მწვრთნელი: კურტ იარა
გაფრთხილება: მიულერი, იაროლიმი, რომეო
მსაჯი: იანსენი
26 000 მაყურებელი

**კოტბუსი 2:1 არმინია**

1:0 კობილანსკი (8), 2:0 ბეეკი (66), 2:1 კაუფი (72)
კოტბუსი: ლენცი, კალუჟნი, როზგონი, ბეეკი, ტ. როსტი, შროიტერი, ლიონი (ბერბალტერი 43), კობილანსკი, ვაგნერი (რეჯეკამფი 65), რატისბერგერი (იუნგნიკელი 62), ტოპიჩი
მწვრთნელი: ედუარდ გაიერი
არმინია: ჰაინი, რაუვე, რაინჰარდტი, ჰანსენი, დაბროვსკი, კაუფი, ალბაირაქი, ვატა, დამიერი (ბრინკმანი 46), დიაბანგი, ვიშნევსკი (ბოგდანოვიჩი 64)
მწვრთნელი: ბენო მიოლმანი
გაფრთხილება: ტოპიჩი, დამიერი, ბეეკი, ბრინკმანი, ჰაინი, ბეეკი, რაინჰარდტი, ალბაირაქი
გაძევება: ბეეკი (66), დაბროვსკი (90)
მსაჯი: მაიერი
12 628 მაყურებელი

**და კვლავ** წააგო „ლაუტერნმა". გერმანიის ოთხგზის ჩემპიონი ბოლო ადგილზე გადავიდა, რადგან „კოტბუსმა" მოიგო.

„კაიზერსლაუტერნი" მაინც ინარჩუნებს უცნაური გუნდის ეპითეტს — ასეთი ანგარიშით წაგება ყველას ხვედრი როდია. თანაც ერიკ გერეტსის გუნდი სულაც 3:1 იგებდა, მაგრამ „მუსიკოსებს" გზა ხსნისა მიროსლავ კლოზემ დაანახა ავტოგოლით.

გერმანიის 17-გზის ჩემპიონი მიუნხენის „ბაიერნი" კი ისევ ლიდერია — რომც წაეგოთ, ბავარიელები მაინც მიუწვდომელნი იყვნენ.

„ბაიერნი" შტეფან ეფენბერგის „ვოლფსბურგს" მასპინძლობდა. რთული მატჩი გამოდგა და მასპინძლებმა გაჭირვებით მოიგეს — ერთადერთი გოლი პარაგვაელი ჯეელის როკე სანტა კრუზის თავურს მოჰყვა.

ოტმარ ჰიცფელდის გუნდი 53-ე წუთზე გადარჩა — ბულგარელი „მგელი" მარტინ პეტროვი პირისპირ გადაეყარა ოლივერ კანს, მაგრამ მიზანი ვერ გაისწორა.

ერთი სიტყვით, ეფენბერგისა და „ვოლფსბურგის" დაკრეჭილ კბილებს ჩიჩია არ შერჩათ.

ბაიერნელთა მდევარი „დორტმუნდი" მიუნხენურ პროლეტარიატს მასპინძლობდა და მთელი მატჩი მისივე ბატონობით წარიმართა.

ევერტონმა ლარს რიკენის პასით შეაგდო — ღონიერი ცაციათი გააძვრინა ბურთი მეკარე-მცველებს შორის. თუმც 1860-ის გოლკიპერს ნაღდად ვერ ვუსაყვედურებთ — რამონ იენჩი ამ შეხვედრაში უდავოდ კარგად გაისარჯა.

მართალია, მათიას ზამერის სამწყსომ ღრმად შინაარსიანი თამაში ვერ აჩვენა, მაგრამ „მიუნხენ 1860" ხომ ძნელად წასაქცევი გუნდია.

რურის დერბი პატარა ამბავი არ გეგონოთ. ამ მხარეს სამი გუნდი ჰყავს ბუნდესლიგაში, თუმც დორტმუნდელები ამბობენ, ჩვენ ვესტფალენლები ვართ, ინდუსტრიული რურისგან განცალკევებულებიო.

ამჯერად დერბიში „ბოხუმი" და „შალკე" შეიბნენ. სანახაობა იმად გამოირჩა, რომ ანდრეას მიოლერმა სიყრმე გაიხსენა და გოლი შეაგდო — ამ მოგებით გელზენკირხენელები მეოთხე ადგილზე ალზევდნენ.

ამ ბუნდესლიგაში გასვლაზე პირველად მოიგო „ჰამბურგმა" — ჩრდილოელთა მსხვერპლი „ნიურნბერგი" აღმოჩნდა. მასპინძლებმა თავიანთი ყველა შემტევის საშა ჩირიჩის 11-მეტრიანით კი გაათანაბრეს პირველი ტაიმის მიწურულს, მაგრამ შესვენების შემდეგ ვერაფერი მოუხერხეს კურტ იარას გუნდს — მარსელ მალტრიცმა რუდოლფო კარდოზოს მიერ შესრულებული საჯარიმო დარტყმის მერე იხეირა, ხოლო არგენტინელმა ბერნარდო რომეომ თავურით შეაგდო.




ბაიერნი — ვოლფსბურგი. შტეფან ეფენბერგი მიუნხენელ მიხაელ ბალაკის ფეხთ დავარდა

სახლში ვერ მოიგო „ჰანზამ" — უკვე რვა მატჩია, რაც როსტოკელებს გამარჯვების გემო დაავიწყდათ.

ჰანზელი ბაშირუ სალუ სახიფათო თამაშისთვის გააძევეს, ხოლო შტუტგარტელი მცველი ფერნანდო მეირა საპასუხო ძალადობისთვის — ასეთი გახლდათ როსტოკულ-შტუტგარტული დანაშაული და სასჯელი.

უხეშობისთვის მიაბრძანეს მიონხენგლადბახური მინდვრიდან არგენტინელი დიეგო პლასენტე — მისი „წყალობით" ლევერკუზენელები ბოლო 15 წუთი ათნი დარჩნენ, მაგრამ მაინც გაძლეს.

კლაუს ტოპმიოლერის გუნდი დაცვაში უხეშად ცდებოდა და გოლებიც ამად გაუშვა. მაგრამ „ლევერკუზენს" მხსნელად შუახაზელი დანიელ ბიროფკა მოევლინათ.

ქების ღირსია ბერლინის „ჰერტა" — დედაქალაქელებმა ბოლო ექვს შეხვედრაში 13 ქულა მოიხვეჭეს და ახლა მე-5 ადგილზე არიან.

ჰანოვერელებს გამარჯვების გოლი ბარტ გოორმა შეუგდო ახლოდან, პასი კი ბრაზილიელმა ალექს ალვეშმა, როგორც იტყვიან, დაუხატა.

„კოტბუსმა" მეორედ მოიგო და ბოლო ადგილიდან ერთი საფეხურით აინაცვლა. გერმანიაში გამოთვალეს და დაადგინეს, რომ კოტბუსელებს მანამდე 618 წუთი უგოლოდ გაუტარებიათ ბუნდესლიგურ მატჩებში.

ნავსი პოლონელმა ნახევარმცველმა ანდრეი კობილანსკიმ გატეხა — მას საგოლედ ბოსნიელმა ფორვარდმა მარკო ტოპიჩმა თავით დაუგდო ბურთი.

მეორე გოლი გუნდის კაპიტანმა კრისტიან ბეეკმა გაიტანა და იმდენ ხანს იზეიმა, რომ მეორე ყვითელი უჩვენეს და გააძევეს — ტიპიური ბუნდესანომალია.

**დავით თავართქილაძე**

## მეორე ბუნდესლიგა

### XIII ტური

**ფრაიბურგი 1:1 ფიურტი**

1:0 კულიბალი (7), 1:1 ბოლიკულა (18)
ფრაიბურგი: გოლცი, შ. მიულერი, ბ. დიარა (კონდე 64), რიტერი, ბერნერი, ა. ცაიერი (სელიმი 54), ბაირამოვიჩი, ცხიტიშვილი, კობიაშვილი, მეჯერი, კულიბალი
ალექსანდრე იაშვილი ტრავმირებულია, გიორგი კინკაძე და ზაზა ზამთარაძე სარეზერვო გუნდში არიან
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
ფიურტი: რაიხოლდი, სურმანი, ბოი, შლიკე, ბირკი, ვებერი (აზიზი 73), რაიხელი, რუმანი, კალასი (მოლდე 78), როსლერი, ბოლიკულა (ბურსარდტი 73)
გიორგი დეკანოიძე სათადარიგო იყო
მწვრთნელი: ეუგენ ჰახი
გაფრთხილება: ბაირამოვიჩი, კულიბალი, ბირკი, რაიხელი, ვებერი
21 000 მაყურებელი

**ბრაუნშვაიგი 1:0 ალენი**

1:0 ხოჯი (29)

**მაინცი 3:1 ალემანია**

1:0 ვორონინი (20), 1:1 ჰელიშენი (33), 2:1 აბელი (55), 3:1 ბუკე (88)

**უნიონი 1:1 აინტრახტი**

0:1 კრიშალოვიჩი (45), 1:1 ვიდოლოვი (53)

**ტრირი 1:3 ლიუბეკი**

0:1, 0:2 ზანდი (20, 33), 1:2 ბრაჰამი (58), 1:3 ბარჯოლი (63)

**ვალდჰოფი 1:2 დუისბურგი**

0:1 ებერსი (64), 1:1 ვეჩელდი (71), 1:2 ებერსი (83)

**ობერჰაუზენი 3:1 კარლსრუე**

0:1 სიქორა (19), 1:1 ლუგინგერი (35), 2:1 ბელიაკოვი (78), 3:1 სალიფუ (82)

**როიტლინგენი 0:0 ბურგჰაუზენი**

**ზანქტ პაული — კიოლნი**

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფრაიბურგი | 13 | 8 | 2 | 3 | 20:11 | 26 |
| კიოლნი | 12 | 6 | 6 | 0 | 26:13 | 24 |
| აინტრახტი | 13 | 7 | 3 | 3 | 24:12 | 24 |
| ალემანია | 13 | 6 | 4 | 3 | 22:17 | 22 |
| ობერჰაუზენი | 13 | 6 | 4 | 3 | 16:12 | 22 |
| მაინცი | 13 | 6 | 3 | 4 | 20:13 | 21 |
| ფიურტი | 13 | 5 | 6 | 2 | 19:13 | 21 |
| ბურგჰაუზენი | 13 | 5 | 5 | 3 | 22:14 | 20 |
| ტრირი | 13 | 6 | 2 | 5 | 22:16 | 20 |
| როიტლინგენი | 13 | 6 | 2 | 5 | 22:21 | 20 |
| ლიუბეკი | 13 | 6 | 1 | 6 | 24:19 | 19 |
| დუისბურგი | 13 | 4 | 6 | 3 | 16:17 | 18 |
| უნიონი | 13 | 3 | 5 | 5 | 14:27 | 14 |
| ალენი | 13 | 3 | 3 | 7 | 16:21 | 12 |
| კარლსრუე | 13 | 2 | 5 | 6 | 13:22 | 11 |
| ბრაუნშვაიგი | 13 | 2 | 3 | 8 | 14:29 | 9 |
| ზტ. პაული | 12 | 2 | 2 | 8 | 17:30 | 8 |
| ვალდჰოფი | 13 | 1 | 2 | 10 | 12:32 | 5 |

| № | სულ: თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ: თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად: თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ბაიერნი | 13 | 9 | 2 | 2 | 29:14 | 15 | 29 | 7 | 6 | 1 | 0 | 22:9 | 13 | 19 | 6 | 3 | 1 | 2 | 7:5 | 2 | 10 |
| 2 დორტმუნდი | 13 | 6 | 6 | 1 | 19:9 | 10 | 24 | 7 | 3 | 4 | 0 | 9:5 | 4 | 13 | 6 | 3 | 2 | 1 | 10:4 | 6 | 11 |
| 3 ვერდერი | 13 | 7 | 2 | 4 | 27:25 | 2 | 23 | 7 | 5 | 1 | 1 | 17:11 | 6 | 16 | 6 | 2 | 1 | 3 | 10:14 | -4 | 7 |
| 4 შალკე | 13 | 6 | 4 | 3 | 16:11 | 5 | 22 | 6 | 3 | 2 | 1 | 7:3 | 4 | 11 | 7 | 3 | 2 | 2 | 9:8 | 1 | 11 |
| 5 ჰერტა | 13 | 6 | 4 | 3 | 16:12 | 4 | 22 | 6 | 3 | 2 | 1 | 10:6 | 4 | 11 | 7 | 3 | 2 | 2 | 6:6 | 0 | 11 |
| 6 შტუტგარტი | 13 | 5 | 6 | 2 | 21:15 | 6 | 21 | 6 | 3 | 3 | 0 | 12:5 | 7 | 12 | 7 | 2 | 3 | 2 | 9:10 | -1 | 9 |
| 7 ბოხუმი | 13 | 6 | 2 | 5 | 27:21 | 6 | 20 | 7 | 3 | 1 | 3 | 13:9 | 4 | 10 | 6 | 3 | 1 | 2 | 14:12 | 2 | 10 |
| 8 მიუნხენი | 13 | 6 | 2 | 5 | 18:15 | 3 | 20 | 6 | 4 | 1 | 1 | 12:5 | 7 | 13 | 7 | 2 | 1 | 4 | 6:10 | -4 | 7 |
| 9 ვოლფსბურგი | 13 | 6 | 1 | 6 | 15:16 | -1 | 19. | 6 | 5 | 0 | 1 | 9:4 | 5 | 15 | 7 | 1 | 1 | 5 | 6:12 | -6 | 4 |
| 10 ჰამბურგი | 13 | 6 | 1 | 6 | 16:19 | -3 | 19 | 6 | 5 | 0 | 1 | 9:6 | 3 | 15 | 7 | 1 | 1 | 5 | 7:13 | -6 | 4 |
| 11 ლევერკუზენი | 13 | 4 | 4 | 5 | 17:20 | -3 | 16 | 7 | 2 | 2 | 3 | 9:12 | -3 | 8 | 6 | 2 | 2 | 2 | 8:8 | 0 | 8 |
| 12 ნიურნბერგი | 13 | 5 | 1 | 7 | 16:21 | -5 | 16 | 7 | 3 | 0 | 4 | 10:12 | -2 | 9 | 6 | 2 | 1 | 3 | 6:9 | -3 | 7 |
| 13 გლადბახი | 13 | 4 | 3 | 6 | 16:12 | 4 | 15 | 6 | 3 | 2 | 1 | 10:2 | 8 | 11 | 7 | 1 | 1 | 5 | 6:10 | -4 | 4 |
| 14 ჰანზა | 13 | 4 | 3 | 6 | 15:14 | 1 | 15 | 7 | 1 | 2 | 4 | 7:10 | -3 | 5 | 6 | 3 | 1 | 2 | 8:4 | 4 | 10 |
| 15 ჰანოვერი | 13 | 4 | 3 | 6 | 22:27 | -5 | 15 | 7 | 1 | 2 | 4 | 11:17 | -6 | 5 | 6 | 3 | 1 | 2 | 11:10 | 1 | 10 |
| 16 არმინია | 13 | 4 | 2 | 7 | 13:22 | -9 | 14 | 7 | 4 | 0 | 3 | 8:4 | 4 | 12 | 6 | 0 | 2 | 4 | 5:18 | -13 | 2 |
| 17 კოტბუსი | 13 | 2 | 2 | 9 | 7:27 | -20 | 8 | 7 | 1 | 1 | 5 | 3:11 | -8 | 4 | 6 | 1 | 1 | 4 | 4:16 | -12 | 4 |
| 18 ლაუტერნი | 13 | 1 | 4 | 8 | 12:22 | -10 | 7 | 6 | 1 | 2 | 3 | 6:7 | -1 | 5 | 7 | 0 | 2 | 5 | 6:15 | -9 | 2 |

### XIV ტური

24 ნოემბერი

ჰერტა — ვერდერი
ვოლფსბურგი — დორტმუნდი
მიუნხენ 1860 — ნიურნბერგი
ჰამბურგი — კოტბუსი
არმინია — ლევერკუზენი
გლადბახი — ბოხუმი
შალკე — ჰანზა
შტუტგარტი — ჰანოვერი
ლაუტერნი — ბაიერნი

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ელბერი (ბაიერნი) | 10 |
| კრისტიანსენი (ბოხუმი) | 10 |
| ს. ჩირიჩი (ნიურნბერგი) | 9 |
| აილტონი (ვერდერი) | 9 |
| ბობიჩი (ჰანოვერი) | 8 |
| კურანი (შტუტგარტი) | 8 |

### ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

მე-17 ტური: ქელნი — ვერდერი (მ) 5:3; ვატენშაიდი — ბაბელსბერგი 3:1; მიუნსტერი — დინამო 0:2; ქემნიცი — კიოლნი (მ) 2:0; დრეზდენი — ლევერკუზენი (მ) 0:1; კილი — ოსნაბრიუკი 0:1; ჰამბურგი (მ) — იურდინგენი 1:3; ფერლი — პადერბორნი 0:1; დორტმუნდი (მ) — აუე 3:2

### სამხრეთ რეგიონალლიგა

მე-18 ტური: ჰოფენჰაიმი — აინტრახტი (მ) 7:4; [illegible]

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი. X ტური

**ბეტისი 2:1 სელტა**
0:1 ხოსე იგნასიო (63), 1:1 ალფონსო (69), 2:1 ხოაკინი (88)
ბეტისი: პრატსი, ლუის ფერნანდესი, ხუანიტო, რივასი, ტაისი (არზუ 81), ასუნსაო, კაპი, იტო (ფერნანდო 50), დენილსონი, ხოაკინი, კასასი (ალფონსო 50)
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
სელტა: კავალიერო, ველასკო (სერხიო 12), სილვინიო, კასერესი, ბერიზო, მოსტოვოი, ხოსე იგნასიო, ლუქსენი (ჯოვანელა 72), გუსტავო ლოპესი, ხესული (ედუ 56), კატანია
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
გაფრთხილება: რივასი, ხოსე იგნასიო, იტო, ლუქსენი, კავალიერო, ასუნსაო, დენილსონი, ალფონსო, ჯოვანელა
მსაჯი: პერეს ლასა
40 000 მაყურებელი

**რეალი 0:0 სოსიედადი**
რეალი: კასილიასი, სალგადო, პავონი, ი. ელგერა, რობერტო კარლოსი, სოლარი (ზიდანი 59), კამბიასო (გუტი 59), მაკელელე, ფიგუ, რაული, რონალდო (მორიენტესი 71)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
სოსიედადი: ვესტერველდი, არანსაბალი, შურერი, ლოპეს რეკარტე, ხაბი ალონსო, ხაურეგი, დე პედრო (ტაიფური 74), კარპინი, კოვაჩევიჩი, არანბურუ, ნიჰატი (ხოხლოვი 61)
მწვრთნელი: რეინალდ დენუი
გაფრთხილება: ლოპეს რეკარტე
მსაჯი: პერეს ბურული
72 874 მაყურებელი

**ბილბაო 2:1 რაიო ვალიეკანო**
0:1 ბოლო (43), 1:1 ურსაისი (76), 2:1 ლარასაბალი (80პ)
ბილბაო: ლაფუენტე, ლარასაბალი, ლაკრუსი, მურილიო (ტიკო 69), ხავი გონსალესი, ალკორსა, გურპეგი, ესკურო (ი. გურერო 77), ხ. ეჩებერია, ურსაისი, არიაგა (კარანკა 86)
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
რაიო ვალიეკანო: ი. ეჩებერია, კორინო, გრაფი, მორა (მიშელი 67), ონოპკო, მარიო, მაინსი, ასკოიტია, ხულიო ალვარესი, პერაგონი (დორადო 65), ბოლო (ბოლიჩი 70)
მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი
გაფრთხილება: ალკორსა, ურსაისი, პერაგონი, ასკოიტია, მორა, ასკოიტია
გაძევება: ასკოიტია (89)
მსაჯი: პერეს პერესი
30 000 მაყურებელი

**ალავესი 3:0 უელვა**
1:0 რუბენ ნავარო (10), 2:0 მაგნო (16), 3:0 ილიე (30)
ალავესი: დუტრუელი, კარმონა, ტელესი, ჯელი, ლორესი, პაბლო (ლ. ელგერა 70), ასტუდილო, ტერიელი, რუბენ ნავარო, მაგნო (კრუიფი 59), ილიე (ივან ალონსო 73)
მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო
უელვა: სუზარი, ესპინოლა (კაიკუ 46), გალანი, ხავი გარსია, იაგო, იკერ ბეგონია, კუბილიო, ბენიტესი (ალმუნია 55), კამაჩო, ბერმეხო (ბუიზა 63), ხისკო
მწვრთნელი: ლუკას ალკარასი
გაფრთხილება: იაგო, პაბლო
გაძევება: სუზარი (54)
მსაჯი: ტელიეს სანჩესი
15 785 მაყურებელი

**ესპანიოლი 1:2 ატლეტიკო**
1:0 მაქსი (48), 1:1 ლუის გარსია (74), 1:2 გარსია კალვო (88)
ესპანიოლი: არგენსო, დავიდ გარსია, სოლდევილა, ნავასი, ხარკე, მორალესი, რობერი (ველამასანი 80), მაქსი (კრუსატი 81), დე ლა პენია (მარტინ პოსე 58), მილოშევიჩი, ტამუდო
მწვრთნელი: რამონ მოია
ატლეტიკო: ესტებანი, კონტრა, კოლომინი, კაროლსი (ჰიბიჩი 48), გარსია კალვო, ნავარო, მოვილია (ლუის გარსია 62), ი. სტანკოვიჩი, აგილერა, კორეა (ნიკოს 52), ხოსე მარი
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
გაფრთხილება: კორეა, არგენსო, კოლომინი, ხოსე მარი, ტამუდო, მორალესი
მსაჯი: პინო სამორანო
29 000 მაყურებელი

**ვალიადოლიდი 0:0 მალაგა**
ვალიადოლიდი: ბიზარი, პენია, მარკოსი, მარიო, ტორეს გომესი, მესტაია, ოსკარ სანჩესი (ჩემა 59), კოლსა, ფერნანდო სანჩესი, პაჩონი (აგანზო 74), ოლივერა (სოუზა 59)
მწვრთნელი: პეპე მორე
მალაგა: კონტრერასი, როტეტა, ვალკარსე, ფ. სანსი, ხერარდო, ხოსემი, მუსამპა (მიგელ ანხელი 81), რომერო (მანუ 71), სანდრო (ლეკო 71), დარიო სილვა, დელი ვალდესი
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
გაფრთხილება: ხერარდო
მსაჯი: მეგია დავილა
12 000 მაყურებელი

# ვან გაალმა ბლოკნოტში ტყუილი ჩაწერა



REUTERS

რეალი — სოსიედადი. სტუმარ დარკო კოვაჩევიჩს ბურთი უკან დარჩა

**რასინგი 1:2 მალიორკა**
1:0 ისმაელი (33პ), 1:1 იბაგასა (42), 1:2 პანდიანი (54პ)
რასინგი: სებალიოსი, სიეტესი, მორა, ხუანმა, მელიასი (დიეგო ალონსო 61), ისმაელი, მორანი (ბენაიუნი 46), პინედა, ხ. გერერო (მატაბუენა 69), რეგეირო, მუნიტისი
მწვრთნელი: მანოლო პრესიადო
მალიორკა: ლეო ფრანკო, კორტესი, ოლაიზოლა, პოლი, ნადალი, იბაგასა, ნოვო (კამპანო 85), რიერა (მარკოსი 72), აროლდ ლოზანო, ეტოო (ტურუ ფლორესი 88), პანდიანი
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
გაფრთხილება: აროლდ ლოზანო, კორტესი, სიეტესი, ნადალი, ხუანმა
მსაჯი: მორენო დელგადო
15 280 მაყურებელი

**ოსასუნა 1:0 ვალენსია**
1:0 ივან როსადო (7)
ოსასუნა: სანზოლი, იანგუასი, მატეო, კრუჩაგა, რივერო (მუნიაინი 77), ანტონიო ლოპესი, ალფრედო, მოა (განსედო 74), პაბლო გარსია, ივან როსადო (პალასიოსი 84), ალოიზი
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
ვალენსია: კანისარესი, პელეგრინო, ფ. აურელიო, აიალა, კურო ტორესი (ხუან სანჩესი 75), ალბელდა, ბარახა, რუფეტე (ანგულო 46), აიმარი (მისტა 25), კარიუ, ვისენტე
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: მოა, ბარახა, ანგულო, ალბელდა, იანგუასი, აიალა, ვისენტე
მსაჯი: გონსალეს ვასკესი
15 692 მაყურებელი

**დეპორტივო 2:0 ბარსელონა**
1:0 სკალონი (81), 2:0 ლუკე (85)
დეპორტივო: ხუანმა, რომერო, კაპდევილა, ჰექტორი, მაურო სილვა, ფრანი (ვიქტორი 75), სკალონი, სერხიო, ამავისკა (აკუნია 25), მაკაი, ტრისტანი (ლუკე 63)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
ბარსელონა: ბონანო, რაიციგერი, ფ. დე ბური, პუიოლი, ფ. ნავარო, ხავი, კოკუ, მოტა, მენდიეტა (რიკელმე 62), კლუივერტი, სავიოლა (დანი 70)
მწვრთნელი: ლუის ვან გალი
გაფრთხილება: ნავარო, კოკუ, მოტა, კლუივერტი, ფრანი, რაიციგერი
მსაჯი: ლოპეს ნიეტო
34 200 მაყურებელი

**ვილიარეალი 1:0 სევილია**
1:0 ბელეტი (88)
ვილიარეალი: რეინა, ბელეტი, არუაბარენა, ბერუე, კიკე ალვარესი (გიარე 28), ბალესტეროსი, ხორხე ლოპესი, ხოსიკო (კალეხა 79), სენა, პალერმო, ვიქტორი (არანდა 66)
მწვრთნელი: ბენიტო ფლორო
სევილია: ნოტარიო, ხ. ნავარო, დ. კასტედო, პაბლო ალფარო, ოსკარი, გალიარდო (მარკოს ვალესი 74), ფრანცისკო, ხოსე ტომასი (ც. სალასი 62), კასკერო, რეიესი, მოიზესი
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
გაფრთხილება: ოსკარი, არუაბარენა, პალერმო, ხოსე ტომასი, ბელეტი, რეიესი, გიარე, პაბლო ალფარო, სალასი
გაძევება: ბალესტეროსი (86)
მსაჯი: იტურალდე გონსალესი
17 000 მაყურებელი

**ათიოდე** დღის წინ ვწერდით, „რეალ სოსიედადი“ ახლა დაუმარცხებელი კი არის, მაგრამ მალე ეგებ, რამდენიმე წაგება ერთად მიითვალოსო. ასეთ ვარაუდს საფუძვლად სანსებასტიანელთა განრიგის სირთულე ედო, რაკიღა მიყოლებით ხვდებოდნენ „დეპორტივოსა“ და „რეალს“, ორი კვირის მერე კი „ბარსელონასთან“ უწევთ ბრძოლა. ჰოდა, გალიდერებული, მაგრამ გრანდად ვერმიჩნეული გუნდისთვის ამათთან ფეხის დაცდენა რა გასაკვირი იყო.

ახლა ასეა: რაიმონდ დენიის გუნდმა „დეპორტივო“ და „რეალი“ ფრეებით მოიცილა და კვლავ დაუმარცხებელი ლიდერია, თუმცა უახლოეს მდევარს აქამდე სამი ქულით თუ უსწრებდა, ახლა ერთითღაა წინ. „რეალი“ — „რეალ სოსიედადის“ მატჩზე კი იმის თქმა შეიძლება, რომ მეკარეებმა, იკერ კასილიასმა და სანდერ ვესტერველდმა თავი დადეს და გოლი არ გაუშვეს. უგოლო ფრეც მათი ყოჩაღობის შედეგი უფროა, ვიდრე ფორვარდთა უძლურებისა.

დიდი მატჩი იყო „რიასორზე“, სადაც „დეპორტივო“ ზედიზედ ხუთი წელი უგებდა „ბარსელონას“ და სერია გააქვსა. თამაში ისეთი იყო, რომ მასპინძლები სადავეების ხელში მოგდებას ლამობდნენ, რაც გამოუვიდათ კიდეც, კატალონიელებს კი კოჭებშივე დაეტყოთ, რომ ფრეზეც ყაბულს იყვნენ. მატჩი ლუის ვან გაალის ბლოკნოტში ჩანიშნული შედეგისკენ იხრებოდა, როცა არგენტინელმა ლიონელ სკალონიმ დაჰკრა და გაიტანა.

დასასრულამდე რვა წუთი რჩებოდა და ცხადია, „ბარსას“ ტაქტიკა უნდა შეეცვალა, თუმც ამ გადაწყვეტაში მეორე გოლიც გაუშვა შეცვლაზე შესული ალბერტო ლუკესგან. ამგვარად, „დეპორტივომ“ მდგომარეობა რამდენადმე გამოასწორა, ხოლო „ბარსელონა“ ცხრილში აღმა-დაღმა სეირნობას განაგრძობს.

რამდენჯერ გვითქვამს, „ვალენსია“ ბოლო წუთებზე თამაშის შემობრუნების ოსტატიაო. ამ ჯერზე კი ისე მოხდა, რომ მაჩაჩალა „ოსასუნასგან“ ადრიანი გოლი გაუშვა და მთელი მატჩის მანძილზე ვერაფერს გახდა, ეგ კი არა, რაფაელ ბენიტესის ბიჭებს ერთი ხეირიანი მომენტიც არ შეუქმნიათ. ის ერთადერთი გოლი ივან როსადოს თავურს მოჰყვა, ვინაც ვალენსიელ მცველებს უმეთვალყუროდ ჰყავდათ მიტოვებული პაბლო გარსიას საჯარიმო დარტყმა-ჩაკიდებისას. ამ გოლმა „ვალენსია“ მეორე ადგილიდან ჩამოაბრძანა, ხოლო ნავარიელებს ზედიზედ სამი წაგებული თამაშის მერე პირველი ქულები მოაპოვებინა.

„ვალენსიას“ მეორე [illegible] ძვება, ცხადია, ნიშნავს, [illegible]ლაც აძვრა. ეს ვიღაც „მალიორკაა“, რომელზეც დაწინაურება ალალია — კუნძულელებმა ზედიზედ მეშვიდე თამაში მოიგეს. აღსანიშნავია, რომ „მალიორკა“ თავიდან აგებდა, ისმაელმა „რასინგი“ პენალტით დააწინაურა. თუმცა სტუმრებმა პირველი ტაიმის მიწურულსვე შეძლეს გათანაბრება — არიელ იბაგასამ დიდებულად შეასრულა საჯარიმო. მეორე ტაიმში კი სამუელ ეტოო წაიქცა სანტანდერელთა საჯარიმოში რასაც პენალტი და ვალტერ პანდიანის გოლი მოჰყვა. უთუოდ უნდა ვთქვათ, რომ ბოლო სამ მატჩში ეს ყოფილი დეპორტივოელის მეექვსე გოლია.

„ვილიარეალი“ — „სევილიას“ მატჩი ისეთი იყო, გულშემატკივარს სტადიონიდან სახლში მისვლამდე რომ დაავიწყდებოდა. ეს აბსოლუტური მოწყენილობა ბოლო სამმა წუთმა ცოტათი გააქარვა. მთელი მატჩი არაფერი მომხდარა და სერხიო ბალესტეროსიც რომ გაუგდეს მასპინძლებს, რაღა უნდა მოხდესო, იფიქრეს სევილიელებმა. თითქოს მათი აზრი ამოიკითხაო, მარტინ პალერმომ მცველები გააცურა და საგოლედ დაუგორა ბრაზილიელ მსოფლიოს ჩემპიონ ბელეტის, ვინაც სრულიად მოულოდნელი გამარჯვება მოუტანა თავისიანებს.

წლეულს „ბილბაომ“ უკვე მეორე მატჩი გადაარჩინა მიწურულს. თუ გახსოვთ, აქამდე „სელტასთან“ მარცხდებოდა და ბოლო ცხრა წუთში იყოჩაღა. ბასკებმა ამჯერად „რაიო ვალეკანოსთან“ ივარგეს, რომელთანაც ყოფილი თანაგუნდელის, ხუან ანტონიო ბოლოს გოლით მარცხდებოდნენ, მერე კი აიწყვიტეს და სამ წუთში მადრიდელებს ორი გოლი გაუტანეს. „რაიოს“ გასათანაბრებლად ძალაც აღარ ჰქონდა და თან ხორხე ასკოიტია — ახევე ბასკი — გაუძევეს მეორე ყვითელი ბარათით.

მომდევნო ტურის დიდი სუპერკლასიკოს წინ მცირე ბარსელონურ-მადრიდული დაპირისპირება შედგა, რომელშიც „ატლეტიკომ“ 2:1 მოუგო „ესპანიოლს“. ამ მატჩში მაქსი როდრიგესმა და ლუის გარსიამ თითო გოლი გაიტანეს და როცა მატჩის დასრულებას ბევრიც აღარაფერი უკლდა, ფრეების მოყვარულმა „ატლეტიკომ“ მეშვიდე ფრე აღარ ინდომა და ანტონიო გარსია კალვოს ფეხით, იოვან სტანკოვიჩის პასის მერე, მესამე გამარჯვება ჩაიწერა.

**გიორგი დარჯანია**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 სოსიედადი | 10 | 6 | 4 | 0 | 21:13 | 8 | 22 | 5 | 3 | 2 | 0 | 12:8 | 4 | 11 | 5 | 3 | 2 | 0 | 9:5 | 4 | 11 |
| 2 მალიორკა | 10 | 7 | 0 | 3 | 16:12 | 4 | 21 | 5 | 3 | 0 | 2 | 7:7 | 0 | 9 | 5 | 4 | 0 | 1 | 9:5 | 4 | 12 |
| 3 ვალენსია | 10 | 5 | 3 | 2 | 18:7 | 11 | 18 | 5 | 3 | 1 | 1 | 12:3 | 9 | 10 | 5 | 2 | 2 | 1 | 6:4 | 2 | 8 |
| 4 ბეტისი | 10 | 4 | 5 | 1 | 19:11 | 8 | 17 | 5 | 3 | 1 | 1 | 9:3 | 6 | 10 | 5 | 1 | 4 | 0 | 10:8 | 2 | 7 |
| 5 რეალი | 10 | 4 | 5 | 1 | 17:10 | 7 | 17 | 5 | 3 | 2 | 0 | 12:4 | 8 | 11 | 5 | 1 | 3 | 1 | 5:6 | -1 | 6 |
| 6 სელტა | 10 | 5 | 2 | 3 | 13:8 | 5 | 17 | 5 | 2 | 2 | 1 | 6:4 | 2 | 8 | 5 | 3 | 0 | 2 | 7:4 | 3 | 9 |
| 7 დეპორტივო | 10 | 5 | 2 | 3 | 14:13 | 1 | 17 | 5 | 2 | 1 | 2 | 6:6 | 0 | 7 | 5 | 3 | 1 | 1 | 8:7 | 1 | 10 |
| 8 მალაგა | 10 | 4 | 4 | 2 | 17:16 | 1 | 16 | 5 | 3 | 1 | 1 | 11:8 | 3 | 10 | 5 | 1 | 3 | 1 | 6:8 | -2 | 6 |
| 9 ატლეტიკო | 10 | 3 | 6 | 1 | 17:12 | 5 | 15 | 5 | 1 | 4 | 0 | 8:6 | 2 | 7 | 5 | 2 | 2 | 1 | 9:6 | 3 | 8 |
| 10 ბარსელონა | 10 | 4 | 3 | 3 | 17:13 | 4 | 15 | 5 | 3 | 2 | 0 | 13:5 | 8 | 11 | 5 | 1 | 1 | 3 | 4:8 | -4 | 4 |
| 11 ვალიადოლიდი | 10 | 4 | 2 | 4 | 11:12 | -1 | 14 | 5 | 2 | 2 | 1 | 5:5 | 0 | 8 | 5 | 2 | 0 | 3 | 6:7 | -1 | 6 |
| 12 ბილბაო | 10 | 3 | 3 | 4 | 14:21 | -7 | 12 | 5 | 2 | 1 | 2 | 5:7 | -2 | 7 | 5 | 1 | 2 | 2 | 9:14 | -5 | 5 |
| 13 რასინგი | 10 | 3 | 2 | 5 | 10:11 | -1 | 11 | 5 | 1 | 2 | 2 | 5:5 | 0 | 5 | 5 | 2 | 0 | 3 | 5:6 | -1 | 6 |
| 14 ალავესი | 10 | 3 | 2 | 5 | 14:21 | -7 | 11 | 5 | 2 | 1 | 2 | 7:5 | 2 | 7 | 5 | 1 | 1 | 3 | 7:16 | -9 | 4 |
| 15 ვილიარეალი | 10 | 2 | 4 | 4 | 10:11 | -1 | 10 | 5 | 2 | 1 | 2 | 6:5 | 1 | 7 | 5 | 0 | 3 | 2 | 4:6 | -2 | 3 |
| 16 სევილია | 10 | 2 | 4 | 4 | 7:9 | -2 | 10 | 5 | 2 | 2 | 1 | 5:4 | 1 | 8 | 5 | 0 | 2 | 3 | 2:5 | -3 | 2 |
| 17 რაიო | 10 | 2 | 2 | 6 | 13:19 | -6 | 8 | 5 | 1 | 2 | 2 | 10:10 | 0 | 5 | 5 | 1 | 0 | 4 | 3:9 | -6 | 3 |
| 18 ოსასუნა | 10 | 2 | 2 | 6 | 11:18 | -7 | 8 | 5 | 2 | 0 | 3 | 6:7 | -1 | 6 | 5 | 0 | 2 | 3 | 5:11 | -6 | 2 |
| 19 ესპანიოლი | 10 | 2 | 1 | 7 | 8:16 | -8 | 7 | 5 | 1 | 1 | 3 | 4:6 | -2 | 4 | 5 | 1 | 0 | 4 | 4:10 | -6 | 3 |
| 20 უელვა | 10 | 1 | 2 | 7 | 7:21 | -14 | 5 | 5 | 0 | 1 | 4 | 5:12 | -7 | 1 | 5 | 1 | 1 | 3 | 2:9 | -7 | 4 |

### XI ტური

24 ნოემბერი

ბილბაო — ესპანიოლი
ატლეტიკო — ბეტისი
სელტა — ოსასუნა
ვალენსია — ვალიადოლიდი
მალაგა — ალავესი
უელვა — რასინგი
მალიორკა — ვილიარეალი
სევილია — დეპორტივო
ბარსელონა — რეალი
რაიო ვალეკანო — სოსიედადი

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| მაკაი (დეპორტივო) | 7 |
| კოვაჩევიჩი (სოსიედადი) | 7 |
| ხულიო ალვარესი (რაიო ვალეკანო) | 7 |
| ნიჰატი (სოსიედადი) | 6 |
| პანდიანი (მალიორკა) | 6 |

### სეგუნდადივიზიონი

XI ტური

**ტერასა 1:1 ხეტაფე**
1:0 ექტორი (10), 1:1 ხუან კარლოსი (40)
**ალბასეტე 0:0 კორდობა**
**ხერესი 1:1 ტენერიფე**
1:0 კალე (7), 1:1 ჩანიტო (37პ)
**ლეგანესი 0:1 ლევანტე**
0:1 ლიმონესი (77)
**ნუმანსია 2:2 კომპოსტელა**
1:0 სუფო (2პ), 1:1 მაიკელი (17), 1:2 ადრიანი (26), 2:2 სერხიო კრუზი (32)
**პოლი ეხიდო 1:1 სალამანკა**
1:0 პრატსი (11), 1:1 რობერტო (13)
**სპორტინგი 1:0 მურსია**
1:0 ვილია (88პ)
**ეიბარი 0:0 სარაგოსა**
**ელჩე 1:2 ფეროლი**
0:1 მენდესი (27), 1:1 რაულ იგარსი (38), 1:2 კუელარი (56)
**ბადახოსი 0:1 ოვიედო**
0:1 რაულ ისნატა (62)
**ლას პალმასი 2:2 ალმერია**
1:0, 2:0 რუბო (5, 16), 2:1 ხუანლუ (26), 2:2 ორტისი (73)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლევანტე | 11 | 6 | 4 | 1 | 23:13 | 22 |
| ხერესი | 11 | 6 | 3 | 2 | 14:10 | 21 |
| ტერასა | 11 | 4 | 7 | 0 | 14:9 | 19 |
| სარაგოსა | 11 | 5 | 4 | 2 | 12:9 | 19 |
| მურსია | 11 | 5 | 3 | 3 | 12:6 | 18 |
| ალბასეტე | 10 | 4 | 5 | 1 | 10:7 | 17 |
| ეხიდო | 11 | 4 | 5 | 2 | 12:10 | 17 |
| ფეროლი | 11 | 4 | 4 | 3 | 12:12 | 16 |
| ლას პალმასი | 11 | 3 | 6 | 2 | 13:10 | 15 |
| ხეტაფე | 11 | 4 | 3 | 4 | 19:18 | 15 |
| ბადახოსი | 11 | 4 | 2 | 5 | 8:14 | 14 |
| ტენერიფე | 11 | 2 | 7 | 2 | 12:11 | 13 |
| ეიბარი | 11 | 3 | 4 | 4 | 8:11 | 13 |
| ელჩე | 11 | 2 | 6 | 3 | 11:10 | 12 |
| სალამანკა | 11 | 3 | 3 | 5 | 7:9 | 12 |
| კომპოსტელა | 11 | 2 | 5 | 4 | 11:12 | 11 |
| კორდობა | 11 | 2 | 5 | 4 | 6:9 | 11 |
| ნუმანსია | 11 | 3 | 2 | 6 | 11:15 | 11 |
| სპორტინგი | 10 | 1 | 6 | 3 | 4:6 | 9 |
| ოვიედო | 11 | 2 | 3 | 6 | 12:18 | 9 |
| ალმერია | 11 | 1 | 6 | 4 | 11:18 | 9 |
| ლეგანესი | 11 | 1 | 5 | 5 | 7:12 | 8 |

## იტალია

### სერია A. X ტური

**მილანი 2:1 პარმა**

1:0 პირლო (48პ), 1:1 ფილიპინი (63), 2:1 პირლო (70პ)
მილანი: დიდა, შიმინი (მილევსკი 46), ნესტა (კოსტაკურტა 20), მალდინი, კალაძე, ამბროზინი, პირლო, ზეედორფი (დალა ბონა 75), რუი კოშტა, ფ. ინძაგი, რივალდო
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
პარმა: ფრეი, სივილია (ჯილარდინო 82), ბონერა, ფერარი, ჟუნიორი (ბენარივო 69), ბარონე (ბროვშაანო 73), ლამუში, ე. ფილიპინი, მუტუ, ნაკატა, ადრიანო
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
გაფრთხილება: ჟუნიორი, კოსტაკურტა, კალაძე
მსაჯი: ბერტინი
60 000 მაყურებელი

**ტორინო 0:4 იუვენტუსი**

0:1 დელ პიერო (6), 0:2 დი ვაიო (33), 0:3 ნედვედი (52), 0:4 დავიდსი (89)
ფერანტემ ვერ გაიტანა პენალტი (73, მეკარე)
ტორინო: ბუჩი, ლ. გარსია, ფატორი, მეცანო, დე ასენტისი (ბალძარეტი 85), ვერგასოლა, კონტიკიო, მ. კასტელინი, მაგალიანესი (მასპერო 59), ლუკარელი (ოსმანოვსკი 59), ფერანტე
მწვრთნელი: რენცო ულივიერი
იუვენტუსი: ბუფონი, ტურამი (პესოტო 90), ფერარა, მონტერო, ბირინდელი, კამორანესი, ტაკინარდი, დავიდსი, ნედვედი (ზაიოკო 89), დელ პიერო, დი ვაიო (ზალაიეტა 75)
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
გაფრთხილება: ფატორი, ტაკინარდი, მასპერო, ლუკარელი
მსაჯი: დე სანტისი
65 000 მაყურებელი

**რომა 2:2 ინტერი**

0:1 მორფეო (58), 1:1 მონტელა (59), 2:1 ბატისტუტა (73), 2:2 ოკანი (89)
რომა: ანტონიოლი, ძებინა, ვ. სამუელი, ალდაირი, პანუჩი, კაფუ, ემერსონი, ლიმა, დელვეკიო (გიგუ 31), ა. კასანო (ბატისტუტა 69), მონტელა
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, კორდობა, მატერაცი (ფ. კანავარო 21), კოკო (პასკუალე 70), ოკანი, დი ბიაჯო (ემრე 46), ალმეიდა, მორფეო, ვიერი, კრესპო
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
გაფრთხილება: კასანო, პასკუალე, ოკანი, გიგუ, ალდაირი, კანავარო
მსაჯი: რაკალბუტო
68 000 მაყურებელი

**კომო 1:3 ლაციო**

0:1 სიმეონე (18), 1:1 კორენტი (37), 1:2, 1:3 ლოპესი (56, 63)
კომო: ფერონი, გრეგორი, პადალინო, ბრევი, სტელინი, კორენტი, ალეგრეტი, კოე (მ. როსი 61), მუსაჩი (ბენინი 72), გოდეაში, დე ჩეზარე (ბიელანოვიჩი 63)
მწვრთნელი: ლორის დომინისინი
ლაციო: პერუცი, სტამი, ნეგრო (პანკარო 46), მიხაილოვიჩი, ფავალი, ფიორე (დ. ბაჯო 90), სიმეონე, დ. სტანკოვიჩი, სეზარი, კორადი (ს. ინძაგი 84), კ. ლოპესი
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
გაფრთხილება: კორენტი
მსაჯი: ტომბოლინი
8 000 მაყურებელი

**უდინეზე 2:1 კიევო**

1:0 იორგენსენი (13), 2:0 იაკვინტა (27), 2:1 ბირმოვი (48)
უდინეზე: დე სანტისი, კროლდრუპი, თ. მანფრედინი (ბერტოტო 63), სენსინი, ალბერტო, როსიტო (მუნტარი 81), დ. პიზარო, იორგენსენი, პიერი, იაკვინტა (იაკონტა 84), მუცი
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
კიევო: ლუპატელი, ფ. მორო, დანჯელო, დანა, ლანა, დელა მორტე (ბარზოპი 32), პეროტა (მელისიერი 79), კორინი, დ. ფრანჩესკინი, ფ. კოსატო (ნალისი 65), მარაცინა
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
გაფრთხილება: ნალისი, მორო, პეროტა, მუნტარი, მუნტარი
გაძევება: მუნტარი (90)
მსაჯი: ტრენტალანჯე
23 000 მაყურებელი

**ბოლონია 2:1 პერუჯა**

1:0 კრუზი (31), 2:0 სინიორი (37), 2:1 კარაჩოლო (45)
ბოლონია: ჯ. პალიუკა, ძაკარდო, ძანჩი (ფრარა 46), მ. კასტელინი, ნერვო, კ. ამორუზო (მმიტო 84), ოლივე, ლ. კოლუჩი, პარამატი, სინიორი (ბელუჩი 70), ხ. კრუზი
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
პერუჯა: ს. როსი, რეზაევი, დი ლორეტო (ვრიზასი 82), მილანეზე, ზე მარია, ობოდო (ლ. პალიუკა 46), ბლაზი, ფუზანი (ბერეტონი 79), გროსო, მიკოლი, კარაჩოლო
მწვრთნელი: სერსე კოზმი
გაფრთხილება: კასტელინი, ბლაზი, მილანეზე
გაძევება: რეზაევი (90)
მსაჯი: კასტელანი
20 112 მაყურებელი

**ატალანტა 2:0 ბრეშა**

1:0 დაბო (69), 2:0 კომანდინი (73)
ატალანტა: ტაიბი, ნატალი (რუსტიკო 46), კარერა, სალა, გაუტიერი (პინარდი 60), დ. ძენონი, დაბო (ბელინი 74), ბერეტა, ძაური, კომანდინი, ბიანკი
მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი
ბრეშა: მიჩილო, ჯ. მარტინესი, პეტრუცი, დაინელი (შობი 64), გუანა (დელ ნერო 77), აპია, მარეკო, და სილვა, სერინი, რ. ბაჯო, ტარე
მწვრთნელი: კარლო მაცონე
გაფრთხილება: ძენონი, და სილვა
მსაჯი: კოლინა
20 000 მაყურებელი

**მოდენა 1:0 პიაჩენცა**

1:0 მილანეტო (33პ)
მოდენა: ბალოტა, მ. მაიერი, ჩევოლი, პავანი, პონცო, მაური, მილანეტო, ჯ. კოლუჩი (ტალდო 79), ბალესტრი, სკული (ფაბრინი 64), დ. კამარა (ალბინო 70)
მწვრთნელი: ჯოვანი დე ბიაზი
პიაჩენცა: გუარდალბენი, კარდონე, ლამაკა, მანგონე (გურენკო 77), კრისტანტე (სტელა 48; ობოდო 77), რიჩო, მარესკა, დე ფრანჩესკო, ტოსტო, მონტანო, კაჩა
მწვრთნელი: ანდრეა აგოსტინელი
გაფრთხილება: ტოსტო, მანგონე, მილანეტო, ალბინო
მსაჯი: პირონდი
14 000 მაყურებელი

**ემპოლი 4:2 რეჯინა**

1:0 დი ნატალე (3), 1:1 ნაკამურა (7პ), 2:1 დი ნატალე (39), 3:1 როკი (54პ), 3:2 ვარგასი (81), 4:2 დი ნატალე (90)
ემპოლი: ბერტი, ბელერი, კრიბარი, ატცორი, კუპი, ჯამპიერეტი, გროლა (ფიჩინი 86), ბუშე, ვანუკი (კაპელინი 73), დი ნატალე, როკი (ტავანო 81)
მწვრთნელი: სილვიო ბალდინი
რეჯინა: კასტელაცი, ტორიჯანი, ვარგასი, ი. ფრანჩესკინი, მორაბიტო, რასტელი (მესტო 75), პაროდესი, მოცარტი (სავოლდი 53), ნაკამურა, კოცა (ფალზინი 67), დი მიკელე
მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო
გაფრთხილება: ბერტი, მოცარტი, ატცორი, დი მიკელე, ვარგასი
მსაჯი: როზეტი
26 878 მაყურებელი

# უფულოთა საყურადღებოდ


REUTERS რომიდან
რომა — ინტერი. დომენიკო მორფეომ და კრისტიან ვიერომ რომაელთა მეკარე ფრანჩესკო ანტონიოლის მძლავრად შეუტიეს

**ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ** ჩემპიონი საჩემპიონო სიმაღლეზეა — კვირას ტურინულ დერბიში „იუვენტუსმა" „ტორინოს" 4:0 სძლია და ცხრილს სათავეში მოექცა.

მარჩელო ლიპის ქვეშევრდომებმა საუცხოო ფეხბურთი ითამაშეს. მათი შთამბეჭდავი სიმძლავრე ტაბლოზეც ღირსეულად აისახა. პირველ ნახევარში ალესანდრო დელ პიეროსა და მარკო დი ვაიოს გატანილ გოლებს მოგვიანებით თითო პაველ ნედვედმა და ედგარ დავიდსმა დაამატეს.

გეხსომებათ, როგორი ორი დერბი შესთავაზა ფეხბურთის მოყვარულებს ტურინმა გასულ სეზონში — ორი ფრე 3:3 და 2:2, თან ორივეჯერ ერთი გუნდი ისე იგებდა, რომ შეხვედრაში მის წილად გასატანი გოლები უკვე გატანილი ჰქონდა, მეორე კი ნულიდან იწყებდა და ათანაბრებდა.

ამჯერად ისტორია აღარ განმეორდა. „იუვე" მეექვსე წუთზევე დაწინაურდა, როდესაც პაველ ნედვედის მიერ ჯარიმიდან დარტყმულ ბურთს ალესანდრო დელ პიერო ქუსლით წაეშველა და ლუკა ბუჩის კარში შეაგდო.

შემდეგ ნედვედმა მოედნის შუიდან წამოიწყო შეტევა, მარკო დი ვაიოს ჩინებული პასიც გაუგზავნა და შეხედა, რა იოლად და ზუსტად დაარტყა მისმა თანაგუნდელმა.

შესვენების შემდეგ, ექვს წუთში ჩეხმა თავადაც მოახერხა ბურთის ბადეში შეგდება. ამჯერად მან და დი ვაიომ როლები გაცვალეს, ასისტენტობა ნახევარმცველს ფორვარდმა გაუწია, თუმცა, 74-ე წუთზე მოხდა ისეთი რამ, რამაც ხალხს გასული სეზონის ერთ-ერთი დერბი გაახსენა, კერძოდ კი ის, რომელშიც „ტორინო" 0:3-ს აგებდა და 3:3 დაამთავრა. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, „იუვენტუსის" კარში პენალტი დაინიშნა, თუმცა ანგარიშის გათანაბრებას ჯერ პირველი საპასუხო გოლის შეგდება სჭირდება — „ბებერი ქალბატონის" მეკარემ, ჯანლუიჯი ბუფონმა მარკო ფერანტეს დარტყმა მოიგერია.

ამის მერე კი, უკვე ჰოლანდიელი ედგარ დავიდსის ჯერი დადგა. შეხვედრის დასრულებამდე ორი წუთით ადრე ბულტერიერი „ტორინოს" დაცვაში შეიჭრა, მეტოქეებს აჯობა და მეოთხე გოლი შეაგდო.

„ინტერმა" კი რომში „რომას" გაუყო ქულა და იმიტომაც აღარ არის პირველ ადგილზე. გარდა ამისა, ამ შეხვედრაზე რომ ვლაპარაკობთ, აუცილებლად უნდა ვახსენოთ ულამაზესი, შთამბეჭდავი და გაქაჩვა-გამოქაჩვა — თუნდაც, მატჩი ფრედ რომ დასრულდა, უფრო „ინტერს" უნდა უხაროდეს, ვიდრე „რომას".

ანგარიში მილანელებმა გახსნეს — დომენიკო მორფეომ ახლოდან მიაღწია საწადელს, თუმცა ორი წუთის შემდეგ ვინჩენცო მონტელამ გაათანაბრა.

გაბრიელ ბატისტუტა ამ მატჩში გვიან ჩაერთო, თუმცა ბურთთან პირველივე შეხებით დააწინაურა „რომა", მაგრამ საფინალო სასტვენამდე ერთი წუთით ადრე მასპინძლებმა საკუთარ კარში შეაგდეს გოლი და „შავ-ლურჯებს" ქულა უბოძეს.

ახლა „ლაციოზე"— ამ გუნდს ფინანსურად უჭირსო, მაგრამ როგორც ირკვევა, ფინანსები და კარგი თამაში ყოველთვის პირდაპირპროპორციულად არ არის დაკავშირებული. ასე რომ, თუ ვინმეს მოუნდება თავისი ცუდი თამაშის მხოლოდ უფულობით ახსნა, იცოდეს, რომ შეიძლება „ლაციოს" მაგალითი მოუტანონ.

„კომოსთან" შეხვედრაში ანგარიში არგენტინელმა ნახევარმცველმა დიეგო სიმეონემ გახსნა, რის შემდეგაც ნიკოლა კორენტიმ გაქვითა, მაგრამ გოლის გატანა ეგრე არ უნდაო და, ესპანური „ვალენსიას" ყოფილმა მოთამაშემ, კლაუდიო ლოპესმა ორჯერ დაურტყა მასპინძლებს ისე რომ, საპასუხოდ მათ ველარაფერი გააწყეს.

ხოლო „უდინეზემ", რომელმაც წინა ტურში „ინტერს" მოუგო, ახლა „კიევოსაც" აჯობა და ციდან დედამიწაზე დააბრუნა.

**ბაჩუნა ქედია**

| № | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 იუვენტუსი | 10 | 7 | 3 | 0 | 18:5 | 13 | 24 | 5 | 3 | 2 | 0 | 9:4 | 5 | 11 | 5 | 4 | 1 | 0 | 9:1 | 8 | 13 |
| 2 ინტერი | 10 | 7 | 2 | 1 | 21:11 | 10 | 23 | 5 | 3 | 1 | 1 | 7:4 | 3 | 10 | 5 | 4 | 1 | 0 | 14:7 | 7 | 13 |
| 3 მილანი | 10 | 7 | 1 | 2 | 25:8 | 17 | 22 | 5 | 5 | 0 | 0 | 14:1 | 13 | 15 | 5 | 2 | 1 | 2 | 11:7 | 4 | 7 |
| 4 ლაციო | 10 | 6 | 3 | 1 | 18:8 | 10 | 21 | 5 | 1 | 3 | 1 | 8:6 | 2 | 6 | 5 | 5 | 0 | 0 | 10:2 | 8 | 15 |
| 5 კიევო | 10 | 6 | 0 | 4 | 19:12 | 7 | 18 | 5 | 4 | 0 | 1 | 13:5 | 8 | 12 | 5 | 2 | 0 | 3 | 6:7 | -1 | 6 |
| 6 ბოლონია | 10 | 5 | 3 | 2 | 12:8 | 4 | 18 | 5 | 5 | 0 | 0 | 9:2 | 7 | 15 | 5 | 0 | 3 | 2 | 3:6 | -3 | 3 |
| 7 მოდენა | 10 | 6 | 0 | 4 | 11:12 | -1 | 18 | 5 | 3 | 0 | 2 | 5:6 | -1 | 9 | 5 | 3 | 0 | 2 | 6:6 | 0 | 9 |
| 8 რომა | 10 | 4 | 4 | 2 | 21:16 | 5 | 16 | 5 | 2 | 2 | 1 | 11:8 | 3 | 8 | 5 | 2 | 2 | 1 | 10:8 | 2 | 8 |
| 9 ემპოლი | 10 | 5 | 1 | 4 | 18:15 | 3 | 16 | 6 | 1 | 1 | 4 | 9:13 | -4 | 4 | 4 | 4 | 0 | 0 | 9:2 | 7 | 12 |
| 10 უდინეზე | 10 | 4 | 2 | 4 | 8:11 | -3 | 14 | 5 | 3 | 2 | 0 | 5:2 | 3 | 11 | 5 | 1 | 0 | 4 | 3:9 | -6 | 3 |
| 11 პარმა | 10 | 3 | 4 | 3 | 15:14 | 1 | 13 | 5 | 3 | 1 | 1 | 10:7 | 3 | 10 | 5 | 0 | 3 | 2 | 5:7 | -2 | 3 |
| 12 პერუჯა | 10 | 3 | 2 | 5 | 12:19 | -7 | 11 | 4 | 3 | 0 | 1 | 7:4 | 3 | 9 | 6 | 0 | 2 | 4 | 5:15 | -10 | 2 |
| 13 პიაჩენცა | 10 | 2 | 2 | 6 | 8:14 | -6 | 8 | 5 | 1 | 1 | 3 | 5:8 | -3 | 4 | 5 | 1 | 1 | 3 | 3:6 | -3 | 4 |
| 14 ბრეშა | 10 | 2 | 2 | 6 | 13:20 | -7 | 8 | 4 | 0 | 1 | 3 | 4:8 | -4 | 1 | 6 | 2 | 1 | 3 | 9:12 | -3 | 7 |
| 15 ატალანტა | 10 | 2 | 1 | 7 | 10:20 | -10 | 7 | 6 | 2 | 1 | 3 | 8:10 | -2 | 7 | 4 | 0 | 0 | 4 | 2:10 | -8 | 0 |
| 16 ტორინო | 10 | 2 | 0 | 8 | 6:21 | -15 | 6 | 5 | 2 | 0 | 3 | 3:8 | -5 | 6 | 5 | 0 | 0 | 5 | 3:13 | -10 | 0 |
| 17 რეჯინა | 10 | 1 | 2 | 7 | 8:19 | -11 | 5 | 5 | 1 | 1 | 3 | 5:9 | -4 | 4 | 5 | 0 | 1 | 4 | 3:10 | -7 | 1 |
| 18 კომო | 10 | 0 | 4 | 6 | 6:16 | -10 | 4 | 5 | 0 | 2 | 3 | 3:9 | -6 | 2 | 5 | 0 | 2 | 3 | 3:7 | -4 | 2 |

**XI ტური**

**23 ნოემბერი**

ინტერი - მილანი
იუვენტუსი - ბოლონია

**24 ნოემბერი**

ბრეშა - უდინეზე
კიევო - ემპოლი
ლაციო - მოდენა
პარმა - რომა
პერუჯა - კომო
პიაჩენცა - ტორინო
რეჯინა - ატალანტა

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ტოტი (რომა) | 8 |
| ვიერი (ინტერი) | 8 |
| დელ პიერო (იუვენტუსი) | 8 |
| დი ნატალე (ემპოლი) | 8 |
| ფ. ინძაგი (მილანი) | 7 |
| პირლო (მილანი) | 6 |

## სერია B

### სერია B. XII ტური

**ანკონა 1:0 კოზენცა**
1:0 ტარანა (78)

**ბარი 1:1 სალერნიტანა**
0:1 ვინიაროლი (6), 1:1 პალმიერი (49)

**ლივორნო 2:0 ასკოლი**
1:0 ფანუჩი (36), 2:0 პროტი (55პ)

**ნაპოლი 1:1 ლეჩე**
1:0 სტელონე (28), 1:1 ჩევანტონი (34პ)

**სამპდორია 2:1 ჯენოა**
1:0 ბაცანი (13), 2:0 ფლაკო (32), 2:1 დი სანტო (75)

**ტერნანა 1:1 სიენა**
0:1 სკალცო (70), 1:1 ნიკოლა (87)

**ვენეცია 1:2 ვიჩენცა**
0:1, 0:2 შოკი (58, 63), 1:2 ფანტინი (90)

**ვერონა 1:0 ტრიესტინა**
1:0 მელისი (22)

**კალიარი — მესინა**
0:0-ზე შეწყდა

**კატანია — პალერმო**
წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამპდორია | 11 | 6 | 5 | 0 | 16:8 | 23 |
| კალიარი | 10 | 5 | 4 | 1 | 11:7 | 19 |
| ტერნანა | 11 | 5 | 4 | 2 | 11:7 | 19 |
| ანკონა | 11 | 4 | 6 | 1 | 16:11 | 18 |
| ლივორნო | 11 | 6 | 0 | 5 | 13:9 | 18 |
| სიენა | 11 | 4 | 6 | 1 | 11:8 | 18 |
| ტრიესტინა | 11 | 4 | 4 | 3 | 14:11 | 16 |
| ლეჩე | 11 | 3 | 7 | 1 | 13:10 | 16 |
| პალერმო | 10 | 5 | 1 | 4 | 13:14 | 16 |
| ბარი | 11 | 2 | 7 | 2 | 9:7 | 13 |
| ვერონა | 11 | 3 | 4 | 4 | 13:12 | 13 |
| ასკოლი | 11 | 3 | 4 | 4 | 7:9 | 13 |
| ჯენოა | 11 | 3 | 3 | 5 | 11:11 | 12 |
| ვენეცია | 11 | 3 | 3 | 5 | 10:13 | 12 |
| ნაპოლი | 11 | 2 | 5 | 4 | 15:17 | 11 |
| მესინა | 10 | 3 | 2 | 5 | 12:14 | 11 |
| კოზენცა | 11 | 3 | 2 | 6 | 8:12 | 11 |
| ვიჩენცა | 11 | 2 | 5 | 4 | 14:19 | 11 |
| კატანია | 10 | 2 | 3 | 5 | 12:20 | 9 |
| სალერნიტანა | 11 | 2 | 1 | 8 | 9:19 | 7 |

## სერია C1/A

მე-12 ტური: ალძანო — პრატო 1:3; არეცო — ლუმეცანე 1:2; ჩეზენა — ვარეზე 3:0; ჩიტადელა — ალბინოლეფე 2:4; პრო პატრია — პისტოიეზე 2:0; რეჯანა — კარარეზე 2:3; სპეცია — პადოვა 2:0; ტრევიზო — სპალ 1:0. პიზა — ლუკეზე წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე)

## სერია C1/B

მე-12 ტური: ბენევენტო — ლანჩანო 1:1; კროტონე — სორა 2:1; ფერმანა — მარტინა 0:0; აკვილა — ჯულიანოვა 0:0; პატერნო — ვიტერბეზე 0:0; პესკარა — ტორესი 1:2; სამბენედეტეზე — აველინო 1:1; ტარანტო — პეზარო 2:3; ტერამო — კოტბი 2:1

# იტალიის ჩემპიონატი
## მეათე ტურის მატჩი
## მილანი 2:1 პარმა

კახა კალაძე:90 წუთი, გააფრთხილეს





პიდეტომში ნაკატა და კახა კალაძე

# აქტიური შეფასება

„პარმას" კარში მსაჯმა ორჯერ დანიშნა პენალტი, ორჯერვე თერთმეტმეტრიანის ნიშნულთან ანდრეა პირლო მივიდა და სტუმართა ფრანგ მეკარე სებასტიან ფრეისაც ორჯერვე აუღელვებლად გაუტანა — რომ არა პირლოს პენალტები, „მილანს" ეგებ ვერც მოეგო ჩეზარე პრანდელის გუნდისთვის.

მატჩი საინტერესო გამოდგა, „შავწითელთა" 60 ათასი ქომაგის თვალწინ ხუთშაბათს კრაკოვში შერცხვენილი პარმელები („პარმამ" უეფას თასზე პოლონურ „ვისლასთან" დამატებით დროში 1:4 წააგო) რიგ ეპიზოდებში მასპინძლებზე უკეთ ირჯებოდნენ, მაგრამ...

კარლო ანჩელოტიმ ამჯერადაც სათადარიგოთა სკამზე დასვა ანდრეი შევჩენკო, არც მერე ათამაშა, ნამატჩევს კი ასე დაამშვიდა უკრაინელი: „ვიცი, შევჩენკო განიცდის, მაგრამ ნუ იდარდებს, ანდრეი „მილანისთვის" საჭირო კაცია".

მატჩის დებიუტშივე დაშავდა ალესანდრო ნესტა, მან ერთ-ერთი სათამაშო ეპიზოდისას კუნთი გაიჭიმა. „როსონერის" დასტაქრებმა ასეთი დიაგნოზი დასვეს: „ვფიქრობთ, სერიოზული არაფერია, ალესანდროს დროულად ვუწამლებთ და შაბათის დერბისთვის მწყობრში იქნება".

„რამდენჯერმე მცველებმა უხეში შეცდომა კი დაუშვეს, თუმცა მთლიანობაში გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ. გამოვარჩევ პაოლო მალდინის, კაპიტანმა დღეს დიდებულად ითამაშა. მეტოქემ ჯიგრიანად ითამაშა და ბევრი პრობლემაც შეგვიქმნა, ჩვენ კი უმთავრესი, სამი ქულა მივითვალეთ. ახლა კი დროა დავივიწყოთ ყველაფერი და დერბისთვის განვეწყოთ, ბიჭებმა ეს იციან და „ინტერზე" კბილებს ილესავენ" — ენაწყლიანობდა პრესკონფერენციაზე კარლო ანჩელოტი.

კახა კალაძის თამაში „გაძეტა დელო სპორტმა" ასე შეაფასა: „აქტიურობდა პირველ ტაიმში, მეორეშიც ჩვეულად თამაშობდა, თუმცა ბოლოსკენ თავდაჯერებულობა მოაკლდა და ერთიორჯერ შეცდა".

ერთი სიტყვით, „მილანმა" მოიგო. ახლა ანჩელოტის გუნდს ორი უპრინციპულესი მატჩი ელის და ორივე „სან სიროზე": 23 ნოემბერს დერბი „ინტერთან", 26 ნოემბერს სალიგო დუელი მადრიდის „რეალთან".

**გიორგი გუგაძიძე**

# გიორგობისთვე კათოლიკეებისაა
## გოგოლებს გზა აბერდინია

## შოტლანდია
### პრემიერლიგა. XV ტური

**აბერდინი 2:2 რეინჯერსი**

0:1 ნუმანი (24), 1:1 მაკი (56), 2:1 მაკი (74), 2:2 ფერგიუსონი (78პ)

რეინჯერსი: კლოსი, მორის როსი, მალკოლმი, კონტერმანი, ნუმანი, რიკსენი, რ. დე ბური, ბ. ფერგიუსონი, ლატაპი, შ. არველაძე, მოლსი (ნ. მაკკანი 76)

მსაჯი: ალექს მაკლიში

14 915 მაყურებელი

**ჰიბერნიანი 2:1 დანდი**

1:0, 2:0 ბაატელაინენი (12, 49პ), 2:1 ნოვო (90)

დანდი: სპერონი, მაკკი, ჰატჩისონი (ნოვო 61), ხიზანიშვილი, ერნანდესი, რაც სმიტი, ნემსაძე, კაბალიერო, სარა, ლოველი (რობბი 75)

მსაჯი: ჯიმ დაფი

8 870 მაყურებელი

**სელტიკი 4:0 პარტიკი**

1:0 სატონი (10), 2:0, 3:0 ს. პეტროვი (33, 68), 4:0 ლარსონი (90)

**დანფერმლაინი 3:1 ჰარტსი**

0:1 სევერინი (53), 1:1 ნიკოლსონი (65), 2:1 ბოულენი (76), 3:1 კროუფორდი (90)

**კილმარნოკი 2:0 ლივინგსტონი**

1:0 დი ჯაკომო (64), 2:0 მაკქუიგანი (90)

**მაზერუელი 1:2 დანდი იუნ.**

0:1, 0:2 ჰამილტონი (1, 24), 1:2 დ. ლემანი (82)



არტურ ნუმანს გოლი პირველმა შოთა არველაძემ მიულოცა

გეხსომებათ, სექტემბერში „რეინჯერსმა" „სელტიკს" ლიდერობა წაართვა, მაგრამ გლაზგოელი კათოლიკეები ნოემბრის შუაწელში მაინც აცოცდნენ პირველ ადგილზე.

„სელტიკი" რომ შინ ასევე გლაზგოურ „პარტიკს" ძლევდა, გარდაუვალი იყო. გარდაუვალი გახლდათ ისიც, რომ „აბერდინი" შინ მედგრად დაეტაკებოდა „რეინჯერსს" და ასეც მოხდა.

სხვათა შორის წინა შოტლანდიურ პრემიერლიგაში „აბერდინი" ერთადერთი გუნდი აღმოჩნდა, რომელმაც „სელტიკის" დამარცხება შეძლო, ახლა კი „რეინჯერსს" ლიდერობა დააკარგვინა.

არადა, პირველ ტაიმში „აბერდინი" მაგრად გააწამეს „ჩაფრებმა". რასელ ლატაპიმ და შოთა არველაძემ ისე მოხდენილად გაითამაშეს კომბინაცია, რომ მიხაელ მოლსი „აბერდინის" მეკარე დევიდ პრიისს შეატოვეს, მაგრამ ჰოლანდიელმა ფორვარდმა ვერ ივარგა.

მერე არტურ ნუმანის ჯერი დადგა — მოლსის თანამემამულემ ბურთიანად 12 იარდი გაირბინა და ტერფის გარე მხრიდან მოჭრილით გაუტანა პრიისო — იუწყება ბი-ბი-სი.

შემდეგ შოთას უნდა შეეგდო, მაგრამ მისი თავური ზედ კარის ხაზიდან გამოიტანა „აბერდინის" ერთ-ერთმა მცველმა. ხოლო მოლსს ხელმეორედ მიეცა გატანის შანსი და კვლავ ვერ აჯობა მეკარეს.

მეორე ტაიმი დაიწყო თუ არა, „აბერდინმა" ორი ნაღდი საგოლე მომენტი გაატანა ქარს. თუმცა ამან ვერ დათრგუნა და მეტოქეს ორი გოლი მაინც მიართვა. რომ არა შტეფან კლოსი, მეტსაც გაიტანდა, მაგრამ გერმანელი მეკარე სამკვდროდ იდგა. აიბროქსელებმაც მატჩის საუკეთესო მოთამაშედ კლოსი მიიჩნიეს.

„რეინჯერსი" მოლსის ნაცვლად ნილ მაკკანის შესვლამაც გამოაფხიზლა. მაკკანმა კარგად უპასა არველაძეს, მაგრამ ჩვენებურის თავურს პრიისი დაეუფლა. თუმცა ამ მომენტიდან ერთ წუთში ფერნანდო რიკსენმა 11-მეტრიანი მოინადირა და ბარი ფერგიუსონმა გამათანაბრებელი შეაგდო.

ხელი მოეცარა ნემსაძე-ხიზანიშვილის „დანდისაც". თუ იმავ ბი-ბი-სის დავუჯერებთ, დანდელებს დაშავებული ესპანელი ფორვარდი ნაჩო ნოვო რომ ჰყოლოდათ, უკეთ გაირჯებოდნენო.

ქართველებს კი თავი დიდად არ გამოუჩენიათ.

**დავით თავართქილაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 15 | 13 | 1 | 1 | 46:8 | 40 |
| რეინჯერსი | 15 | 12 | 3 | 0 | 45:10 | 39 |
| დანფერმლაინი | 15 | 8 | 2 | 5 | 29:29 | 26 |
| ჰარტსი | 15 | 5 | 6 | 4 | 24:21 | 21 |
| ჰიბერნიანი | 15 | 7 | 0 | 8 | 21:24 | 21 |
| კილმარნოკი | 15 | 5 | 4 | 6 | 16:27 | 19 |
| დანდი | 15 | 4 | 5 | 6 | 16:23 | 17 |
| აბერდინი | 15 | 4 | 5 | 6 | 15:26 | 17 |
| ლივინგსტონი | 15 | 4 | 3 | 8 | 21:23 | 15 |
| დანდი იუნ. | 15 | 3 | 4 | 8 | 13:26 | 13 |
| პარტიკ თისლი | 15 | 2 | 6 | 7 | 11:26 | 12 |
| მაზერუელი | 15 | 2 | 3 | 10 | 15:29 | 9 |

### პირველი დივიზიონი

მე-14 ტური: ალოა — კლაიდი 1:4; ფ[illegible]რკი — როს ქაუნთი 2:0; ინვერნ[illegible] — [illegible] ოფ საუთ 5:3; სტ. ჯონსტონი —ეარი 0:2; სტ. მირენი — არბროთი 2:0

### მეორე დივიზიონი

მე-14 ტური: ერდრი — რეით როვერსი 0:0; ქოუდენბითი — ბრეჩინი 0:1; ფორფარი — დამბარტონი 2:0; ჰამილტონი — სტენჰაუზმური 2:3; სტრენრარი — ბერიკი 1:0

### მესამე დივიზიონი

მე-14 ტური: ალბიონი — მორტონი 2:1; ისტ ფაიფი — ელგინი 4:0; ისტ სტირლინგი — ქუინზ პარკი 0:4; მონტროუზი — სტირლინგი 1:1; პიტერჰედი — გრეტნა 1:1

# ოქროსმაძიებელთა სიმღერა

## რუსეთი
### პრემიერლიგა. XXX ტური

**სპარტაკი 0:1 ტორპედო**

0:1 კორმილცევი (36)

სპარტაკი: ჩორჩოშვილი, მიტრეიკო, აბრამიძე, შეშუკოვი, კოვტუნი, პავლენკო, კუდრიაშოვი (მოგრებნიაკი 39), სამედოვი (სტოლეროვი 79), ნემოვი, ბესჩასტნიხი, დანიშევსკი

ტორპედოელ ილია ცაძოაიას არ უთამაშია

**ურალანი 0:1 ანჟი**

0:1 ბაზაეროვი (22)

ურალანელ სერგეი ომოდაძეს და ანჟელ კახა მჭედლიძეს არ უთამაშიათ

**ალანია 0:1 როტორი**

0:1 ბონდარენკო (81)

ალანიელმა მიხეილ აშვეთიამ 90-ე წუთზე ვერ გაიტანა პენალტი

**სატურნი 0:3 ცსკა**

0:1 ლაიზანსი (47), 0:2 გუსევი (60), 0:3 კირიჩენკო (90)

**ზენიტი 1:2 კრილია სოვეტოვი**

1:0 კარიკე (31), 1:1 ბოშკოვი (39), 1:2 ვინოგრადოვი (79)

**ტორპედო ზილ 2:0 როსტსელმაში**

1:0, 2:0 დ. სმირნოვი (14, 42)

**სოკოლი 1:3 შინიკი**

0:1 ბერკო (24), 0:2 კუჩინოვი (39), 1:2 ბალტიევი (67), 1:3 გერასიმენკო (81)

**დინამო 1:2 ლოკომოტივი**

| 21.00 | 228 | კატოვიცე-პოლონია | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 21.15 | 229 | ლეგია-ზაგლებიე | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 230 | ლეგია-ზაგლებიე 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| 21.15 | 231 | ვისლა-ლეხი | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| | 232 | ვისლა-ლეხი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 | | | |
| | | **24 ნოემბერი** | | | | | | |
| 16.00 | 233 | გროცლინი-ამიკა | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,28 | 1,63 |
| | | **თურქეთი. XIV ტური** | | | | | | |
| | | **23 ნოემბერი** | | | | | | |
| 15.30 | 234 | ტრაბზონი-ანკარაგუჯუ | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 15.30 | 235 | დიარბაქირი-დენიზლი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,54 |
| 15.30 | 236 | ისტანბული-მალათია | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| 19.00 | 237 | ქოჯაელი-ფენერბაჩე | 5,0 | 3,4 | 1,6 | 2,02 | 1,21 | 1,08 |
| 21.00 | 238 | ბეშიქთაში-ადანა | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 239 | ბეშიქთაში-ადანა 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| | | **24 ნოემბერი** | | | | | | |
| 15.30 | 240 | გოზთეპე-გაზიანთეპი | 3,8 | 3,2 | 1,85 | 1,73 | 1,24 | 1,17 |
| 15.30 | 241 | სამსუნი-ალტაი | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 15.30 | 242 | ბურსა-ელაზიგი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 21.00 | 243 | გენჩლერბირლიგი-გალათასარაი | 3,1 | 3,1 | 2,2 | 1,54 | 1,28 | 1,28 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა. XVI ტური** | | | | | | |
| | | **23 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 244 | დანდი-დანდი იუნაიტედი | 2,15 | 3,2 | 3,1 | 1,28 | 1,26 | 1,57 |
| 19.00 | 245 | პარტიკი-მაზერველი | 1,6 | 3,2 | 5,6 | 1,06 | 1,24 | 2,03 |
| 19.00 | 246 | კილმარნოკი-ჰარტსი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| 19.00 | 247 | ჰიბერნიანი-აბერდინი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.00 | 248 | რეინჯერსი-დანფერმლაინი | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| | 249 | რეინჯერსი-დანფერმლაინი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 | | | |
| | | **24 ნოემბერი** | | | | | | |
| 17.15 | 250 | ლივინგსტონი-სელტიკი | 8,0 | 4,4 | 1,3 | 2,83 | 1,11 | 1 |
| | | **დანია. XVII ტური** | | | | | | |
| | | **23 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 268 | ბრონდბიუ-ფარუმი | 1,55 | 3,3 | 6,0 | 1,05 | 1,23 | 2,12 |
| | | **24 ნოემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 269 | აკადემისკი-ორჰუსი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 18.00 | 270 | ოდენსე-მიდტიულანდი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 18.00 | 271 | სილკებორგი-კოგე | 1,9 | 3,4 | 3,4 | 1,21 | 1,21 | 1,7 |
| 18.00 | 272 | ვიბორგი-ესბიერგი | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,44 | 1,27 | 1,35 |
| 20.35 | 273 | ოლბორგი-კოპენჰაგენი | 2,5 | 3,2 | 2,45 | 1,4 | 1,23 | 1,38 |
| | | **ავსტრია. XX ტური** | | | | | | |
| | | **23 ნოემბერი** | | | | | | |
| 18.30 | 274 | კერნტენი-ადმირა | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 18.30 | 275 | პაშინგი-ბრეგენცი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 18.30 | 276 | ზალცბურგი-რიდი | 2,1 | 3,1 | 3,3 | 1,25 | 1,28 | 1,59 |
| 20.15 | 277 | გრაცერი-რაპიდი | 2,05 | 3,2 | 3,3 | 1,24 | 1,26 | 1,62 |
| | | **24 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 278 | აუსტრია-შტურმი | 1,65 | 3,4 | 4,4 | 1,11 | 1,2 | 1,91 |
| | | **შვეიცარია. "A" ჯგუფი. XX ტური** | | | | | | |
| | | **22 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 279 | ბაზელი-თუნი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | 280 | ბაზელი-თუნი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| | | **23 ნოემბერი** | | | | | | |
| 20.30 | 281 | გრასჰოპერი-დელემონი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 282 | გრასჰოპერი-დელემონი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| 20.30 | 283 | ქსამაქსი-ციურიხი | 2,1 | 3,1 | 3,3 | 1,25 | 1,28 | 1,59 |
| | | **24 ნოემბერი** | | | | | | |
| 17.30 | 284 | აარაუ-სერვეტი | 2,5 | 3,2 | 2,45 | 1,4 | 1,23 | 1,38 |
| 17.30 | 285 | ვილი-ლუცერნი | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| 19.15 | 286 | იანგ ბოისი-სტ.გალენი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| | | **შვეიცარია. "B" ჯგუფი. გადადებული მატჩები.** | | | | | | |
| | | **19 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 287 | ლოზანა-ბადენი | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| | 288 | ლოზანა-ბადენი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 | | | |
| | | **20 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 289 | კონკორდია-ივერდონი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| | | **რუსეთი. მატჩი I ადგილისთვის. (ნეიტრალურზე)** | | | | | | |
| | | **21 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 298 | ცსკა-ლოკომოტივი | 2,6 | 2,9 | 2,6 | 1,37 | 1,29 | 1,37 |

| Time | No. | Match | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **პორტუგალია. თასი. IV ეტაპი.** | | | | | | |
| | | **24 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 319 | სანტა კლარა-ბოავიშტა | 3,6 | 3,2 | 1,9 | 1,69 | 1,24 | 1,19 |
| 19.00 | 320 | ნაციონალი-მარიტიმუ | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 19.00 | 321 | ბეირა მარ-შავეში | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| 19.00 | 322 | გიმარაეში-ალვერკა | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| 19.00 | 323 | ვარზიმი-ფარენსე | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| 19.00 | 324 | მაია-ბრაგა | 3,5 | 3,2 | 1,95 | 1,67 | 1,25 | 1,21 |
| 19.00 | 325 | ბენფიკა-გონდომარი | 1,05 | 8,0 | 16,0 | 1 | 1 | 5,33 |
| 19.00 | 326 | ლუზიტანია-სეტუბალი | 8,0 | 4,4 | 1,3 | 2,83 | 1,11 | 1 |
| 19.00 | 327 | ლეირია-ორიენტალი | 1,1 | 7,0 | 14,0 | 1 | 1,01 | 4,66 |
| 19.00 | 328 | პედრასრუბრას-ფოლ ვისენტე | 5,6 | 3,6 | 1,5 | 2,19 | 1,18 | 1,05 |
| 19.00 | 329 | მოსკავიდე-აკადემიკა | 5,0 | 3,6 | 1,55 | 2,09 | 1,18 | 1,08 |
| 19.00 | 330 | პორტუ-ტროფენსე | 1,02 | 9,0 | 20,0 | 1 | 1 | 6,2 |
| 19.00 | 331 | სპორტინგი-ესტარეჯა | 1,02 | 9,0 | 20,0 | 1 | 1 | 6,2 |
| 19.00 | 332 | ფელგეირა-რიბეირაო | 1,1 | 7,0 | 14,0 | 1 | 1,01 | 4,66 |
| 19.00 | 333 | ლურინიანენსე-ბელენენსეში | 12,0 | 6,0 | 1,15 | 4 | 1,04 | 1 |
| 19.00 | 334 | მორეირენსე-ბენედიტენსე | 1,15 | 6,0 | 12,0 | 1 | 1,04 | 4 |
| 19.00 | 335 | მარკუ-მადეირა | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 19.00 | 336 | ოვარენსე-ნაველი | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| 19.00 | 337 | პენაფიელი-ლეშოინესი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| 19.00 | 338 | რიო ავე-ფატიმა | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| 19.00 | 339 | პრაიენსე-კოვილია | 4,0 | 3,2 | 1,8 | 1,77 | 1,24 | 1,15 |
| | | **ჰოლანდია** | | | | | | |
| | | **თასი. I ეტაპი.** | | | | | | |
| | | **20 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 340 | დენ ჰააგი-დე ტრეფერსი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | | **2004 წლის** | | | | | | |
| | | **ევროპის ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **20 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 341 | აზერბაიჯანი-უელსი | 7,5 | 4,0 | 1,35 | 2,6 | 1,14 | 1 |
| 21.00 | 342 | კვიპროსი-მალტა | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| 23.00 | 343 | სან მარინო-ლატვია | 14,0 | 5,6 | 1,15 | 4 | 1,06 | 1 |
| | | **ამხანაგური მატჩები.** | | | | | | |
| | | **19 ნოემბერი** | | | | | | |
| 20.00 | 344 | ს.არაბეთი-სენეგალი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,54 |
| | | **20 ნოემბერი** | | | | | | |
| 14.00 | 345 | სამხრეთ კორეა-ბრაზილია | 4,2 | 3,1 | 1,8 | 1,78 | 1,25 | 1,13 |
| 14.20 | 346 | იაპონია-არგენტინა | 3,5 | 3,1 | 1,95 | 1,64 | 1,25 | 1,19 |
| 16.00 | 347 | რუმინეთი-ხორვატია | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,13 | 1,25 | 1,78 |
| 18.00 | 348 | ესტონეთი-ისლანდია | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 20.00 | 349 | სლოვაკეთი-უკრაინა | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| 20.00 | 350 | ტუნისი-ეგვიპტე | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,28 | 1,63 |
| 20.00 | 351 | ნიგერია-იამაიკა | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 20.00 | 352 | მაროკო-მალი | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 20.30 | 353 | უნგრეთი-მოლდოვეთი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| 22.15 | 354 | დანია-პოლონეთი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 23.00 | 355 | გერმანია-ჰოლანდია | 2,2 | 3,0 | 3,2 | 1,26 | 1,3 | 1,54 |
| 23.00 | 356 | საბერძნეთი-ირლანდია | 2,15 | 3,1 | 3,2 | 1,26 | 1,28 | 1,57 |
| 23.10 | 357 | ჩეხეთი-შვედეთი | 1,9 | 3,1 | 3,8 | 1,17 | 1,26 | 1,7 |
| 23.30 | 358 | ავსტრია-ნორვეგია | 2,25 | 3,1 | 3,0 | 1,3 | 1,28 | 1,52 |
| 23.45 | 359 | იტალია-თურქეთი | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,08 | 1,24 | 1,95 |
| 23.45 | 360 | საფრანგეთი-იუგოსლავია | 1,45 | 3,5 | 7,0 | 1,02 | 1,2 | 2,33 |
| 24.00 | 361 | ჰონდურასი-კოლუმბია | 2,45 | 3,1 | 2,6 | 1,36 | 1,26 | 1,41 |
| 00.45 | 362 | ესპანეთი-ბულგარეთი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| 01.00 | 363 | პორტუგალია-შოტლანდია | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| 01.00 | 364 | ვენესუელა-ურუგვაი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 01.00 | 365 | ეკვადორი-კოსტა რიკა | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| | | **ჰოკეი. რუსეთი.** | | | | | | |
| | | **19 ნოემბერი** | | | | | | |
| 17.30 | 601 | ს.იულაევი-ლადა | 2,25 | 4,7 | 2,15 | 1,52 | 1,09 | 1,47 |
| | | **ჰოკეი. ჩეხეთი.** | | | | | | |
| | | **19 ნოემბერი** | | | | | | |
| 20.00 | 627 | პარდუბიცე-ვსეტინი | 2,9 | 4,2 | 1,7 | 1,71 | 1,07 | 1,21 |
| 20.00 | 628 | ზლინი-ლიტვინოვი | 1,7 | 4,2 | 2,9 | 1,21 | 1,07 | 1,71 |
| 20.00 | 629 | ტრჟინეცი-ბოლესლავი | 2,1 | 4,2 | 2,3 | 1,39 | 1,09 | 1,48 |
| 20.30 | 630 | პლზენი-ვიტკოვიცე | 2,0 | 4,2 | 2,4 | 1,35 | 1,09 | 1,52 |
| 20.30 | 631 | ბუდეიოვიცე-სლავია | 2,3 | 4,2 | 2,1 | 1,48 | 1,09 | 1,39 |
| 20.30 | 632 | კარლოვი ვარი-ლიბერეცი | 1,95 | 4,2 | 2,45 | 1,33 | 1,08 | 1,54 |
| 21.00 | 633 | სპარტა-ზნოიმო | 1,45 | 4,7 | 3,8 | 1,1 | 1,04 | 2,1 |
| | | **ჰოკეი. შვეიცარია.** | | | | | | |
| | | **19 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 648 | ციურიხი-ლოზანა | 1,3 | 5,0 | 5,3 | 1,03 | 1,04 | 2,57 |
| | | **22 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 649 | ამბრი-რაპერსვილი | 2,0 | 4,2 | 2,4 | 1,35 | 1,09 | 1,52 |
| 22.30 | 650 | დავოსი-ბერნი | 1,7 | 4,2 | 2,9 | 1,21 | 1,07 | 1,71 |
| 22.30 | 651 | სერვეტი-ფრიბურგი | 1,85 | 4,2 | 2,6 | 1,28 | 1,08 | 1,6 |
| 22.30 | 652 | კლოტენი-ლოზანა | 1,35 | 5,0 | 4,4 | 1,06 | 1,03 | 2,34 |
| 22.30 | 653 | ლანგნაუ-ლუგანო | 2,2 | 4,2 | 2,2 | 1,44 | 1,1 | 1,44 |
| 22.30 | 654 | ცუგი-ციურიხი | 2,3 | 4,2 | 2,1 | 1,48 | 1,09 | 1,39 |

| Time | No. | Match | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ჰოკეი. გერმანია.** | | | | | | |
| | | **21 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 661 | ისერლონი-შვენინგენი | 1,3 | 5,0 | 5,3 | 1,03 | 1,04 | 2,57 |
| | | **22 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 662 | ნიურნბერგი-კიოლნი | 2,3 | 4,2 | 2,1 | 1,48 | 1,09 | 1,39 |
| 22.30 | 663 | კასელი-მანჰაიმი | 2,4 | 4,2 | 2,0 | 1,52 | 1,09 | 1,35 |
| 22.30 | 664 | ფრანკფურტი-ბერლინი | 1,9 | 4,2 | 2,5 | 1,3 | 1,07 | 1,56 |
| 23.00 | 665 | კრეფელდი-ჰანოვერი | 1,8 | 4,2 | 2,7 | 1,25 | 1,08 | 1,64 |
| | | **23 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 666 | აუგსბურგი-ინგოლშტადტი | 1,8 | 4,2 | 2,7 | 1,25 | 1,08 | 1,64 |
| | | **ჰოკეი. შვედეთი.** | | | | | | |
| | | **19 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 674 | იურგორდენი-მოდო | 1,65 | 4,2 | 3,1 | 1,18 | 1,07 | 1,78 |
| 22.00 | 675 | ლინშიოპინგი-ტიმრო | 1,85 | 4,2 | 2,6 | 1,28 | 1,08 | 1,6 |
| 22.00 | 676 | ფრიოლუნდა-ფერიესტადი | 2,1 | 4,2 | 2,3 | 1,39 | 1,09 | 1,48 |
| | | **21 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 677 | ლეკსანდი-ლინშიოპინგი | 1,8 | 4,2 | 2,7 | 1,25 | 1,08 | 1,64 |
| 22.00 | 678 | იურგორდენი-ფერიესტადი | 2,2 | 4,2 | 2,2 | 1,44 | 1,1 | 1,44 |
| 22.00 | 679 | მოდო-სოდერტელიე | 1,7 | 4,2 | 2,9 | 1,21 | 1,07 | 1,71 |
| 22.00 | 680 | ტიმრო-ლულეო | 1,65 | 4,2 | 3,1 | 1,18 | 1,07 | 1,78 |
| 22.00 | 681 | ჰვ 71-ფრიოლუნდა | 2,0 | 4,2 | 2,4 | 1,35 | 1,09 | 1,52 |
| 22.00 | 682 | მალმო-ბრიუნესი | 1,45 | 4,4 | 4,0 | 1,09 | 1,06 | 2,09 |
| | | **ჰოკეი. ფინეთი.** | | | | | | |
| | | **19 ნოემბერი** | | | | | | |
| 20.30 | 688 | ილვესი-ჰამეენლინა | 2,5 | 4,2 | 1,9 | 1,56 | 1,07 | 1,3 |
| 20.30 | 689 | იოკერიტი-ლუკო | 1,9 | 4,2 | 2,5 | 1,3 | 1,07 | 1,56 |
| 20.30 | 690 | კარპატი-პელიკანი | 1,75 | 4,2 | 2,8 | 1,23 | 1,07 | 1,67 |
| 20.30 | 691 | ესპოო-ქალპა | 2,4 | 4,2 | 2,0 | 1,52 | 1,09 | 1,35 |
| | | **ჰოკეი. NHL.** | | | | | | |
| | | **19 ნოემბერი** | | | | | | |
| 04.00 | 705 | რეინჯერსი-ანაჰაიმი | 2,0 | 4,0 | 2,45 | 1,33 | 1,1 | 1,51 |
| 04.00 | 706 | ვაშინგტონი-სან ხოსე | 1,85 | 4,0 | 2,7 | 1,26 | 1,09 | 1,61 |
| 04.00 | 707 | კაროლინა-ოტავა | 2,1 | 4,0 | 2,35 | 1,37 | 1,1 | 1,48 |
| 04.00 | 708 | ტამპა ბეი-ფილადელფია | 2,15 | 4,0 | 2,3 | 1,39 | 1,11 | 1,46 |
| 04.30 | 709 | ტორონტო-ბოსტონი | 2,35 | 4,0 | 2,1 | 1,48 | 1,1 | 1,37 |
| 04.30 | 710 | ნიუ ჯერსი-ბუფალო | 1,6 | 4,0 | 3,4 | 1,14 | 1,08 | 1,83 |
| 04.30 | 711 | ატლანტა-ფლორიდა | 2,2 | 4,0 | 2,25 | 1,41 | 1,11 | 1,44 |
| 05.00 | 712 | მინესოტა-ლოს ანჯელესი | 2,0 | 4,0 | 2,45 | 1,33 | 1,1 | 1,51 |
| 06.00 | 713 | კოლგარი-დეტროიტი | 2,45 | 4,0 | 2,0 | 1,51 | 1,1 | 1,33 |
| 06.00 | 714 | ედმონტონი-ჩიკაგო | 2,1 | 4,0 | 2,35 | 1,37 | 1,1 | 1,48 |
| | | **კალათბურთი** | | | | | | |
| | | **ევ შესარჩევი მატჩები** | | | | | | |
| | | **20 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.30 | 755 | ჩეხეთი-რუსეთი | 4,0 | 12,0 | 1,15 | | | |
| 20.00 | 756 | რუმინეთი-ესპანეთი | 7,5 | 12,0 | 1,02 | | | |
| 20.00 | 757 | ბულგარეთი-თურქეთი | 2,8 | 12,0 | 1,3 | | | |
| 21.00 | 758 | კვიპროსი-ბოსნია | 6,0 | 12,0 | 1,05 | | | |
| 21.00 | 759 | უნგრეთი-საფრანგეთი | 2,4 | 12,0 | 1,4 | | | |
| 21.00 | 760 | დანია-ისრაელი | 7,5 | 12,0 | 1,02 | | | |
| 21.30 | 761 | მაკედონია-ხორვატია | 2,5 | 12,0 | 1,35 | | | |
| 22.00 | 762 | შვეიცარია-უკრაინა | 2,3 | 12,0 | 1,45 | | | |
| 22.00 | 763 | ბელარუსი-ესტონეთი | 2,1 | 12,0 | 1,55 | | | |
| 23.00 | 764 | ჰოლანდია-ლიტვა | 6,0 | 12,0 | 1,05 | | | |
| 23.00 | 765 | პოლონეთი-ლატვია | 1,5 | 12,0 | 2,2 | | | |
| 23.00 | 766 | პორტუგალია-სლოვენია | 3,5 | 12,0 | 1,2 | | | |
| 23.00 | 767 | ირლანდია-გერმანია | 4,0 | 12,0 | 1,15 | | | |
| 23.00 | 768 | ინგლისი-იტალია | 5,0 | 12,0 | 1,1 | | | |
| 23.30 | 769 | ბელგია-საბერძნეთი | 6,0 | 12,0 | 1,05 | | | |
| | | **კალათბურთი. NBA** | | | | | | |
| | | **19 ნოემბერი** | | | | | | |
| 05.00 | 785 | მინესოტა-მემფისი | 1,1 | 12,0 | 5,0 | | | |
| 05.00 | 786 | მილუოკი-მაიამი | 1,15 | 12,0 | 4,0 | | | |
| 05.00 | 787 | იუტა-ფინიქსი | 1,6 | 12,0 | 2,0 | | | |
| 05.30 | 788 | ნიუ ორლეანი-ფილადელფია | 1,55 | 12,0 | 2,1 | | | |
| 05.30 | 789 | ჰიუსტონი-კლივლენდი | 1,15 | 12,0 | 4,0 | | | |
| 05.30 | 790 | დალასი-დენვერი | 1,15 | 12,0 | 3,5 | | | |
| 07.00 | 791 | საკრამენტო-ჩიკაგო | 1,1 | 12,0 | 1,5 | | | |
| 07.00 | 792 | სიეტლი-ორლანდო | 1,4 | 12,0 | 2,3 | | | |

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

| Date / time | No. | Championship | Under | Over |
|---|---|---|---|---|
| 23.11 18.30 | 2601 | გერმანია ბლ. (XIV ტური) | 25 ან ნაკლები – 1,9 | 27 ან მეტი – 1,9 |
| 23.11 16.15 | 2602 | ინგლისი პლ. (XV ტური) | 25 ან ნაკლები – 1,9 | 27 ან მეტი – 1,9 |
| 23.11 21.00 | 2603 | იტალია "A" (XI ტური) | 23 ან ნაკლები – 1,9 | 25 ან მეტი – 1,9 |
| 23.11 21.00 | 2604 | ესპანეთი Iდ. (XI ტური) | 26 ან ნაკლები – 1,9 | 28 ან მეტი – 1,9 |
| 22.11 23.45 | 2605 | საფრანგეთი Iდ. (XVI ტური) | 22 ან ნაკლები – 1,9 | 24 ან მეტი – 1,9 |
| 22.11 23.00 | 2606 | ჰოლანდია Iდ. (XIII ტური) | 25 ან ნაკლები – 1,9 | 27 ან მეტი – 1,9 |
| 22.11 23.30 | 2607 | ბელგია Iდ. (XIII ტური) | 26 ან ნაკლები – 1,9 | 28 ან მეტი – 1,9 |
| 23.11 15.30 | 2608 | თურქეთი. (XIV ტური) | 26 ან ნაკლები – 1,9 | 28 ან მეტი – 1,9 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

სამ თბილისურ ბიუროში
კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;
ვაჟა ფშაველას გამზირი №46 (მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");
დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, P კორპუსი
ბროკომ უქმეებზე სამუშაო დრო გაახანგრძლივა
შაბათი 12.00–21.30
კვირა 12.00–20.30

MASTERS CUP შანხაი. საპრიზო 3.7 მილიონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლეიტონ დიდი



REUTERS შანხაიდან







## ნახევარფინალი

**ლეიტონ ჰიუიტი (1, ავსტრალია) — როჯერ ფედერერი (6, შვეიცარია) 7:5, 5:7, 7:5; ხუან კარლოს ფერერო (4, ესპანეთი) — კარლოს მოია (5, ესპანეთი) 6:7 (6:8), 6:4, 6:4**

ასეთი გაუბზარავი, გაუტეხელი და შეუმდრკალი დიდი ხნის განმავლობაში არამცთუ ლეიტონ ჰიუიტი, არამედ ვინგინდავინ მეჩოგნეც არ გვინახავს. უნიჭიერესმა და უცეცხლოვანესმა ავსტრალიელმა ჭაბუკმა წლეულს ალბათ ყველაზე მეტად სწორედ ამ ტურნირზე ცხადყო, რომ კაცთა საჩოგნეთის საუსტაბაშო აზარფეშა მას დასტურ დამსახურებულად უპყრია.

როჯერ ფედერერი მთელი სამი საათის განმავლობაში ცდილობდა, მასსა და ჰიუიტს შორის ამ შეხვედრამდე არსებული (მისთვის უარყოფითი) პირადი ბალანსი (2:5) ერთი გამარჯვებით მაინც გამოესწორებინა. დარბაისელმა და მძლავრად მოგლაჯუნე 22 წლის ალპელმა ჯგუფურ მატჩებში ერთობ შთამბეჭდავად იჩოგნავა და ყველას — ქომაგებსა თუ სპეციალისტებს — თავი პიტ სამპრასთან შეადარებინა. ჰიუიტთან მის შეხლაში მართლაც იყო მომენტები, როცა ლონიერი მოწოდების შემდეგ ბადესთან წარმატებით მივარდნილი ფედერერი მაცქერალში პიტ სამპრასის ასოციაციებს იწვევდა. მაგრამ თვალს არც ის გამოპარვია, რომ 22 (!) ბრეიკპოინტიდან მან მხოლოდ ხუთის გარდასახვა შეძლო — ციბრუტივით მობზრიალე და კუთხიდან კუთხემდე შლეგად მორბენალი ჰიუიტი უმძიმესი გათამაშებების დროსაც საჩემპიონო აუღელვებლობით ირჯებოდა.

თუმცა აქვე არც იმის უთქმელობა იქნება, რომ თავად ფედერერმა მეტოქეს სამი მატჩბურთი გაუცუდა. პირველად ეს მეორე სეტში მოხდა, როცა ჰიუიტი 5:4 იგებდა და სამატჩოდ აწოდებდა. ალპელმა მაშინ მატჩბურთის მოგერიებაც მოახერხა, ჰიუიტს მისი გეიმიც წაჰგვარა და მომდევნო ორის მითვლის მერე სასეტო ანგარიშიც გაათანაბრა — 1:1. მეორე მატჩბურთი ჰიუიტს გადამწყვეტ სეტში, ისევ 5:4-ზე ჰქონდა, მაგრამ ფედერერმა თავის გადარჩენა ამჯერადაც მოახერხა. ოღონდ უმალვე საკუთარ გეიმში ჩაიფლავა და წართმეული უპირატესობა ისევ ჰიუიტს დაუბრუნა — 6:5. მესამე მატჩბურთი მან მე-12 გეიმში გააუვნებლა, მაგრამ მეტისთვის აღარც ილაჯი ეყო და აღარც ფსიქიკური სიმყარე. ჰიუიტმა ფინალისკენ გაივაკა...

მისი მეფინალე მეტოქე 26 წლის კარლოს მოიასა და 22 წლის ხუან კარლოს ფერეროს შიდაესპანურ შეხლას უნდა გაერკვია. კოლოდ წოდებულ და უბასრესად მოჩოგნავე ფერეროს ნატიფ, მრავალფეროვან და უფრო მძლავრ მოიასთან აქამდე რვაჯერ ეთამაშა და ექვსჯერ ეძლია. თავად მოიას აღიარებით, 4 წლით უმცროსი თვისტომის წინააღმდეგ მან დღემდე ვერანაირი საშუალება ვერ შეიმუშავა და მასთან პაექრობას ყოველთვის გამორჩევით უსიამოდ მოელის.

მოიას ამ უსიამო მოლოდინმა პირველი ნაყოფი მეექვსე გეიმში გამოიღო, როცა კოლობიჭი 4:2 დაწინაურდა. მართალია, მეცხრეში ფერერომ საკუთარ გეიმში წაიბორძიკა და პირველი სეტი წასაგებ ტაიბრეიკამდე მიიყვანა, მაგრამ დაღარაჯებული თვალისთვის მაინც საჩინო იყო, უფრო ნაირგვარად მობურთალ მოიას უფრო სტაბილურად და უფრო ბასრად მოთამაშე ფერერო რომ შეიწირავდა. ასეც მოხდა — მომდევნო სეტებში უმცროსმა ესპანელმა უფროსს თითო-თითო გეიმი გაუტეხა და სულ პირველი მოწოდებიდან ორსაათნახევრის თავზე საფინალო საგზურიც მიიღო.

ავად მობილიზებული, მართლაც მკვლელი კოლოს ნილაბი ფერეროს ჭაბუკ სახეს მხოლოდ მაშინ ჩამოშორდა, როცა მზერა კორტიდან სევდიანად გამავალ მოიას გააყოლა — ამ დროს მის თვალებში სითბოც იყო და ერთგვარი სინდისის ქენჯნაც იმის გამო, ასე ეშხიანად მოჩოგნავე, მისთვის სამაგალითო თვისტომს ასე დამამცირებლად რომ გაუსწორდა...

ოდნავ მოგვიანებით კარლოს მოიას ამ მარცხით გამოწვეული წყენა გადაუვლიდა და ისიც უმალ იმას გაიხსენებდა, რომ წლეულს თუმც 21-ჯერ იძლია, მაგრამ სანაცვლოდ კარიერის სარეკორდო, 59 გამარჯვების მონაგვრაც შეძლო. მის ოთხ საწლევანდლო ტიტულზე დიდი ნადავლი კი ამ სეზონში მხოლოდ ორმა — ანდრე აგასიმა და ლეიტონ ჰიუიტმა (5-5) დაითრია. მხოლოდ ჰიუიტმავე მოიხვეჭა მასზე მეტი გამარჯვება — 15 მატჩის დამთმობმა ოზბიჭმა სხვებს ჯამში 61 დაათმობინა. 61-ეზე საუბარი — სხვათა შორის — ამ აბზაცის ქვემოთ მოგვიწევს.

## ფინალი

**ჰიუიტი — ფერერო 7:5, 7:5, 2:6, 2:6, 6:4**

ძალიან მშრალად რომ დავიწყოთ, ამ ხუთსეტიანმა დაულურმა ოთხ საათს გასტანა და ჰიუიტს ზედიზედ მეორე მასტერსთასის გარდა ფერეროსთან ნათამაშებ მეხუთე შეხვედრაში მესამე გამარჯვებაც მოუტანა. ჰიუიტი და ფერერო მასტერსთასზე ერთმანეთს ადრეც შეხვედროდნენ — ეს შარშან, სიდნეის ნახევარფინალში მოხდა, სადაც — ახლანდელი ფინალისა არ იყოს — ჰიუიტმა იმარჯვა.

უფრო წვნიანი დასაწყისისთვის კი ალბათ ჩვენი როიტერელი კოლეგის ერთი ეშხიანი ფრაზის მოქართულება ივარგებდა: მან კიდევ ერთხელ უარყო ბედთან შერიგება, თავისი 68-კილოგრამიანი სიფრიფანა სხეულით კიდევ ერთხელ გადაფარა ლურჯი მასტერსკორტი და მისი მეტოქე კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ ის ჩინეთის დიდი კედელივით შეუმუსრავია.

არც მეტი, არც ნაკლები!

მეხუთე სეტში ჰიუიტმა ორი თავისი გეიმი წააგო, მაგრამ ფერეროს უმალვე მისი მოწოდებები წაჰგვარა და, როცა უკვე ყველას ეგონა, რომ მოსაგებად მას აღარც ილაჯი უნდა შერჩენოდა, აღარც სულისკვეთება, სწორედ მაშინ შეძლო, მეტოქეს სამატჩო გეიმისთვისაც გადაქცბოდა...

ჰიუიტი: „ნევე-სეი-დაი — არასოდეს თქვა — მორჩა! დღეს ისევ ამ დევიზმა გამაძლებინა. მე ყველაფერი გავეცი, რაც მქონდა. ხუან კარლოსის ძალა კარგად ვიცოდი და იმის მიუხედავად, რომ შაბათს ისედაც მძიმე მატჩი გადამხდა, შევძელი, ხანგრძლივი, მომქანცველი ბრძოლისთვის გაწყობილიყავი. ამან, თავადაც ხედავთ, გაამართლა... ჯანი და ჯიგარი არ დამიზოგავს ამ ტურნირის მოსაგებად. არადა, ამის გაკეთება უძნელესია, თუკი იმას გაითვალისწინებთ, რომ აქ მსოფლიოს შვიდ საუკეთესო მოთამაშესთან გიწევს პაექრობა... ამ გამარჯვებამ წლეულს ყველაზე დიდი კმაყოფილება მომგვარა. ადრესეზონში ფორმიდან ჩუტყვავილამ ამომაგდო და ამით ძალიან იმედგაცრუებული ვიყავი. ალბათ ამიტომაც იყო, მთელი წლის განმავლობაში გაშმაგებული რომ ვცდილობდი, ჩემთვისაც დამემტკიცებინა და სხვებისთვისაც, ჩემი ადგილი ღირსეულად რომ მიკავია... ყოველ ქულას ისე ვთამაშობ, როგორც მატჩპოინტს, თუკი ვახერხებ მოვიგო გეიმი, რომელსაც 0:40 ვაგებ, ეს მშრალი ანგარიშით გეიმის მოგებაზე მეტ სიამოვნებას მანიჭებს... ამ კვირაში ყოველი მატჩი კალოსავით იყო. ერთი იოლი ბურთაობაც არა მქონია. ამიტომაც ამ გამარჯვებამ წარმოუდგენლად დამამშვიდა და მომადუნა. ერთი სული მაქვს, სადმე პლაჟზე გავიშხლართო და კაცურად დავისვენო".

ფერერო: „ეს ძალიან მტკივნეული მარცხია. ასეთი მწარე დღეები ცხოვრებაში ალბათ ბევრი არ არის... ამ მომენტში თავს საოცრად უბედურად ვგრძნობ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ტკივილი რომ გამინელდება, მივხვდები, ცუდი წელი სულაც არ მქონია. სეზონი ტრავმების გამო ცუდად დავიწყე, მაგრამ მერე და მერე რიგიანად ავთამაშდი... მონტეკარლოური და ჰონგკონგური ტიტულების გარდა საამაყოდ როლან გაროსის ფინალში თამაშიც მეყოფა. ალბათ, ამ ფინალითაც ვიამაყებ, თუმცა ახლა ამ მატჩის გახსენება მხოლოდ ტკივილს მაყენებს".

სხვაფრივ — პირველ სეტში ჰიუიტი 3:5 აგებდა და ფედერერთან ნათამაშები პირველი სეტისა არ იყოს, აქაც ზედიზედ ოთხი გეიმის მოგება შეძლო. მეორეში ის უკვე 3:0 იგებდა, მერე ფერეროს გაათანაბრებინა, მაგრამ მე-12 გეიმში კიდევ ერთხელ გატეხა და — 2:0. მომდევნო სეტებში ფერერომ მატჩის სადავეები მთლიანად უკუიპყრო და, რაკილა ჰიუიტმაც უნებლიე შეცდომებს უმატა, სასეტო წონასწორობის დამყარება მაინცდამაინც არც გასჭირვებია. მეხუთე სეტზე კი ზემოთვე მოგახსენეთ. სხვათა შორის, ჰიუიტს არასოდეს წაუგია ის შეხვედრა, რომელშიც პირველი სეტების სათავისოდ მითვლა მოუხერხებია.

მეტოქეები თვითეული ბურთისთვის გახელებულნი იბრძოდნენ და შანხაის ექსპოცენტრში შეკრებილ 10 ათასამდე ქომაგსაც ალბათ დიდხანს არ დაავიწყდება ამ დასტურ ისტორიაში შესასვლელი მატჩის პერიპეტიები...

ნამატჩევს ჰიუიტი ჯერ მშობლებსა და მწვრთნელს, ყოფილ ოზმჩოგნე ჯეისონ სტოლტენბერგს ჩაეხუტა, მერე კი ბელგიელ ნანდაურს, წინა კვირაში WTA-ს ჩემპიონატის გამარჯვებულ კიმ კლაისტერსს შეეხმიანა. ჰო-ჰო-ჰო, რამდენი ჰქონდათ სათქმელი კაცთა და ქალთა საერთეულო სეზონების გამარჯვებით გამსრულებელ შეყვარებულებს!

და კიდევ — კაცთა ამქრის უსტაბაშმა მასტერსთასზე ჯამში 1,4 მილიონი დოლარი მოირეწა, ხუან კარლოს ფერერო კი სერხი ბრუგერას შემდეგ (1993-94) პირველი ესპანელი გახდა, ვინაც ზედიზედ ორი სეზონი ხეხუთეულში მოითავა.

**ლევან ძილაურაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



AP

„დეტროიტისა" და „დენვერის" შეხვედრაში ამგვარი ჯაჯგური ხშირი იყო

# ყველაზე ბევრის ყველაზე ცოტა

## ცქიტიშვილმა ხუთეული ორიანით დაასრულა

15 ნოემბერი

**მაიამი 84:93 ნიუ ჯერსი**

მაიამი: კარტერი (4), ჯონსი (18), კ. ბატლერი (18), ალენი (6), გრანტი (6 ქულა, 15 მოხსნა); ბესტი (16), რ. ბატლერი (7), ელისი (6), მაუსი (3), სტეფანია (9 წუთი, 1 პასი)

ნიუ ჯერსი: კიდი (33), კიტლზი (11), ჯეფერსონი (12), მარტინი (5), მუტომბო (5); მარისი (14), ჯონსონი (6), როჯერსი (5), უილიამსი (2), სკალაბრინი

16 ნოემბერი

**ვაშინგტონი 95:65 მაიამი**

ვაშინგტონი: ჰიუზი (14), სტეკჰაუზი (16 ქულა, 10 პასი), რასელი (12), ბრაუნი (15 ქულა, 12 მოხსნა), ჰეივუდი (8); ლუ (9), ჯორდანი (8), ჯეფრისი (7), დიქსონი (4), ტომასი (2), ოკლი

მაიამი: კარტერი, ჯონსი (5), კ. ბატლერი (5), ალენი (14), გრანტი (8); ჯეიმსი (13), რ. ბატლერი (10), ელისი (6), მაუსი (4), ბესტი (2), ჯონსონი, სტეფანია (17 წუთი, 2 მოხსნა)

15 ნოემბერი

**ტორონტო 84:79 დენვერი**

ტორონტო: ე. უილიამსი (12), ლენარდი (19), პეტერსონი (12), ჯ. უილიამსი (13), დევისი (18); ბრედლი (4), ფოსტერი (4), პანტერი (2), ჯეფერისი

დენვერი: ჰარინგტონი, ჰოუზი (24 ქლა, 12 მოხსნა), ჰარვი (3), ჰოვარდი (8), ბლუნტი (14); ილარიო (12), სატერფილდი (10), ბოუენი (4), ანდერსონი (4), ვაიტი, ცქიტიშვილი (3 წუთი)

16 ნოემბერი

**დეტროიტი 74:53 დენვერი**

დეტროიტი: ბილაფსი (3), რ. ჰამილტონი (15), კარი (2), ვოლესი (2 ქულა, 13 მოხსნა), რებრაჩა (8); რობინსონი (19), უილიამსონი (12), ეტკინსი (8), ბერი (4), ოქური (3), პრინსი

დენვერი: სატერფილდი (11), ჰოუზი (2), ცქიტიშვილი (24 წუთი, 2 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი), ჰოვარდი (12), ბლუნტი (11); ვაიტი (6), ჰარვი (4), ანდერსონი (3), ილარიო (2), ლ. ჰარინგტონი

ჩვენებურთა გუნდებმა ვერაფრით გაგვაკვირვეს, ორ-ორი თამაში წააგეს და ცხრილების ქვედა უბნებში ადგილი გაიმყარეს. „მაიამისგანაც" და მეტადრე „დენვერისგან" წლეულს დიდი მარცხიანობაა მოსალოდნელი. ამას ვერ გაექცევიან ვერც პატ რაილი და ვერც მისი ნამოწაფარი ჯეფ ბზდელიკი. ეს უკანასკნელი იმაზე თუ იზრუნებს, რომ დეტროიტში მომხდარი წლეულს აღარ განმეორდეს.

19-22 წლის ბიჭებისგან შეკოწიწებულ „დენვერს" კარგი არაფერი მოელოდა დეტროიტში. იქაურმა „პისტონზმა" ერთი კვირის წინ დენვერშივე 89:63 შეარცხვინა „ნაგიტსი" და დეტროიტშიც შესაწირი ცხვარივით ელოდა.

ნიკა ცქიტიშვილმა ეს შეხვედრა სასტარტო ხუთეულში დაიწყო და ბზდელიკის მითითებით მთლიანად ჩაინთქა დაცვით თამაშში, ისევე როგორც მისიანები და შეხვედრა 2 ქულით დაამთავრა. „დენვერის" დარად „დეტროიტიც" დაცვიდან მოთამაშე გუნდია, ასე რომ, იმ დღეს ორივე მოწინააღმდეგის შემტევები კრიზისში იყვნენ და ნბა-ს რამდენიმე ანტირეკორდიც დაამყარეს. მაგალითად, 29:28 დამთავრებული პირველი ტაიმი, რომელიც სხვათა შორის, „დენვერმა" მოიგო, ნბა-ს ისტორიაში ყველაზე მწირქულიანია.

მეორე ტაიმი ბევრით ჰგავდა პირველს, აქაც ისევე ჭირდა ბურთის ჩაგდება, მაგრამ თუ მასპინძლებმა ამ მხრივ მცირედით გამოასწორეს საქმე, „დენვერს" ვერაფერი ეშველა, რაკი შემსრულებლების ნაკლებობას განიცდის. „დეტროიტს" თავიანთი ვარსკვლავები წამოეშველნენ. მესამე მეოთხედში რიჩარდ ჰამილტონმა 9 ქულა ჩააგდო, მეოთხეში კლიფ რობინსონმა 17 გაჩარხა. შედეგად „პისტონზი" მოსწყდა მეტოქეს და „დენვერი" საკუთარ ანტირეკორდთან დატოვა, „ნაგიტსს" არასდროს ჩაუგდია ასე ცოტა ბურთი. სხვათა შორის, აღვნიშნოთ, რომ ნბა-ს ისტორიაში ყველაზე უხვქულიანი შედეგი ამ გუნდების თამაშში დაფიქსირდა: 1983 წლის 13 დეკემბერს „დეტროიტმა" სამმაგოვერტაიმიან შეხვედრაში 186:184 დაამარცხა „დენვერი".

უკეთ არც ვლადიმერ სტეფანიას „მაიამის" ჰქონდა საქმე. „ნიუ ჯერსისთან" ღირსეული წაგების შემდეგ პატ რაილის გაწვრთნილები „ვაშინგტონთან" განადგურდნენ. ეს მათთვის ზედიზედ მეხუთე მარცხი იყო. სტეფანიას თავი არაფრით გამოუჩენია, ორი 31 შეხვედრაში ჯამში ნათამაშები 26 წუთი მას თუნდაც კინკილა ქულის გასაკეთებლად ვერ ეყო.

# ასიანი დალასი

15 ნოემბერი

**ინდიანა 103:100 მილუოკი**

ძირითადი დრო 92:92

ინდიანა: ონილი (23), არტესტი (22)

მილუოკი: ალენი (24), კასელი (20)

**პორტლენდი 112:88 კლიპერსი**

პორტლენდი: ანდერსონი (28)

კლიპერსი: მილერი (19)

**დეტროიტი 86:75 იუტა**

დეტროიტი: ჰამილტონი (25)

იუტა: ოსტერტაგი (11)

**ბოსტონი 86:97 დალასი**

ბოსტონი: უოლკერი (22), დელკი (19)

დალასი: ნოვიცკი (32)

**მემფისი 95:99 მინესოტა**

მემფისი: გირიჩეკი (25), გუდენი (18)

მინესოტა: გარნეტი (28), შჩერბიაკი (22)

**ნიუ ორლეანი 105:87 ჩიკაგო**

ნიუ ორლეანი: დევისი (22), ვესლი (22)

ჩიკაგო: როუზი (23)

**ლეიკერსი 96:89 გოლდენ სტეიტი**

ძირითადი დრო 85:85

ლეიკერსი: ბრაიანტი (45)

გოლდენ სტეიტი: ჯეიმისონი (25), დამპიე (19 ქულა, 16 მოხსნა)

**სიეტლი 111:97 საკრამენტო**

სიეტლი: პეიტონი (24), მეისონი (20), დრობნიაკი (16), რადმანოვიჩი (16)

საკრამენტო: ვებერი (24), ჯექსონი (19)

**ფინიქსი 88:87 ჰიუსტონი**

ფინიქსი: მარიონი (27), მარბერი (20)

ჰიუსტონი: ფრენსისი (16)

16 ნოემბერი

**ნიუ ჯერსი 88:96 დალასი**

ნიუ ჯერსი: კიდი (22 ქულა, 13 პასი, 9 მოხსნა), კიტლზი (21)

დალასი: ნეში (30), ფინლი (20 ქულა, 13 მოხსნა), ნოვიცკი (18)

**ნიუ იორკი 92:93 ფილადელფია**

ნიუ იორკი: სპრიუელი (16), ეისლი (16)

ფილადელფია: აივერსონი (17)

**ატლანტა 89:82 ნიუ ორლეანი**

ატლანტა: აბდულ-რაჰიმი (27), რობინსონი (24)

ნიუ ორლეანი: მაშბურნი (19), ვესლი (18)

**კლივლენდი 77:90 სან ანტონიო**

კლივლენდი: დევისი (22)

სან ანტონიო: ბოუენი (14)

**მილუოკი 104:85 ბოსტონი**

მილუოკი: ალენი (31), კასელი (25)

ბოსტონი: პირსი (28), უოლკერი (28)

**მინესოტა 101:107 ინდიანა**

მინესოტა: გარნეტი (27), შჩერბიაკი (19)

ინდიანა: მერსერი (22), ონილი (20), ტინსლი (17), არტესტი (17)

**გოლდენ სტეიტი 135:92 ორლანდო**

გოლდენ სტეიტი: მერფი (24), ჯეიმისონი (22), არენასი (23), რიჩარდსონი (18)

ორლანდო: მაკგრეიდი (33)

**ჩიკაგო 111:93 მემფისი**

ჩიკაგო: მარშალი (31), როუზი (31)

მემფისი: უილიამსი (18)

17 ნოემბერი

**საკრამენტო 101:99 ორლანდო**

საკრამენტო: ვებერი (29), ჯექსონი (22), სტოიაკოვიჩი (17)

ორლანდო: მაკგრეიდი (36 ქულა, 14 მოხსნა, 7 პასი), არმსტრონგი (20)

**ლეიკერსი 89:93 ჰიუსტონი**

ლეიკერსი: ბრაიანტი (46)

ჰიუსტონი: ფრენსისი (27), მინგი (20)

**კლიპერსი 78:84 სიეტლი**

კლიპერსი: ბრენდი (19)

სიეტლი: პეიტონი (22), მეისონი (18)

**ფილადელფია 100:84 ვაშინგტონი**

ფილადელფია: აივერსონი (28)

ვაშინგტონი: სტეკჰაუზი (29), ჯორდანი (19)

**ტორონტო 78:82 იუტა**

ტორონტო: ე. უილიამსი (20), დევისი (18)

იუტა: მარშრინგი (23), მელოუნი (15), სტოქტონი (15)

დალასელებს, როგორც ჩანს, მობეზრდათ ნახევარი საქმის კეთება და გუნდის სათამაშო სქემაში სერიოზული ძვრების მოხდენის შემდეგ სრულიად ლიგის შეძვრას აპირებენ. უწინ მხოლოდ შეტევაზე გადაგებული ტეხასელები, ახლა დაცვაზეც ზრუნავენ, შემსრულებლები მათ არ აკლიათ და შედეგიც თვალსაჩინოა, 10 თამაშიდან 10 მოგება. „დალასს" სეზონი ასე არასდროს დაუწყია.

„ერთს გეტყვით: კაცმა შეიძლება მრავალი წელი გაატაროს ნბა-ში და 10:0-ით ვერასდროს დაიწყოს სეზონი" — ამბობს „მავერიკსის" წონოლა ცენტრი შონ ბრედლი. ამ უქმეებზე მისმა გუნდმა ზედიზედ იმსხვერპლა ორი აღმოსავლელი ბობოლა. ჯერ ბოსტონში იმარჯვა, შემდეგ კი ნიუ იორკის გარეუბანში აღმოსავლეთის შარშანდელი ჩემპიონი „ნიუ ჯერსი" გადაყლაპა. „ჩვენ შესანიშნავი გუნდი ვართ" — თქვა ნამატჩევს „დალასის" მექსიკელმა ფორვარდმა ედუარდო ნაჯერამ.

ასევე ფხიზელ ეიფორიაში არიან ინდიანელებიც. მათაც ამ უქმეებზე ორი ძლიერი შემხვედრი წამოაქციეს, თან გადამწყვეტ ეპიზოდებში სულის სიმტკიცე გამოავლინეს და საკუთარი ძლიერება ირწმუნეს.

„არასდროს ვყოფილვარ ამგვარ სიტუაციაში. ადრე ფულს მიხდიდნენ და მეც ვთამაშობდი ყოველგვარი მიზნის გარეშე, ახლა კი მე მაქვს ეს მიზანი, გამარჯვება მინდა" — „ინდიანას" ყმაწვილი ფორვარდი რონ არტესტი ძალიან გაახარა „მილუოკი ბაქსის" ძლევამ, მით უმეტეს, რომ მან ამ შეხვედრის ბედის გადამწყვეტი სამქულიანი ჩააგდო. „ჩიკაგოში" თამაშისას მას იშვიათად ეძლეოდა გადამწყვეტ ეპიზოდებში თავის გამოჩენის საშუალება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ „ჩიკაგო" თამაშს ძირითადად თამაშამდე აგებდა. „ინდიანა" კი სულ სხვაა, აქაურ ბიჭებს რწმენა დღითი დღე ემატებათ. „მგონი, ახლა უკვე საუკეთესო გუნდებში ვურევივართ" — ამბობს არტესტის თანაგუნდელი ჯერმენ ონილი. მიმდინარე შედეგები სხვა რამის თქმის საფუძველს არ იძლევა — „ინდიანამ" ზედიზედ შვიდი თამაში მოიგო.

ამასობაში უფსკრულისკენ მიექანება „მემფის გრიზლიზი", რომელმაც ამ უქმეებზე წყვილად წააგო. მემფისელებს ვერც ახალმა მწვრთნელმა, 69 წლის ჰერბი ბრაუნმა უშველა. მან საწყისი რვა მარცხის გამო „დათვების" „მომთვინიერებლის", სიდნი ლავისაგან განთავისუფლებული თანამდებობა ჩაიბარა და წინამორბედზე არანაკლები „წარმატებით" შეუნარჩუნა შეგირდებს ერთადერთი გაუხარელი გუნდის სტატუსი.

**ირაკლი ფირაშვილი**

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკის დივიზიონი** | | | |
| ნიუ ჯერსი | 7 | 3 | 70,0 |
| ფილადელფია | 7 | 3 | 70,0 |
| ბოსტონი | 6 | 4 | 60,0 |
| ორლანდო | 6 | 5 | 54,5 |
| ვაშინგტონი | 6 | 5 | 54,5 |
| მაიამი | 1 | 7 | 12,5 |
| ნიუ იორკი | 1 | 8 | 11,1 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ინდიანა | 8 | 1 | 88,7 |
| დეტროიტი | 8 | 2 | 80,0 |
| ნიუ ორლეანი | 7 | 3 | 70,0 |
| ატლანტა | 5 | 4 | 55,6 |
| მილოუკი | 5 | 4 | 55,6 |
| ტორონტო | 4 | 5 | 44,4 |
| ჩიკაგო | 4 | 6 | 40,0 |
| კლივლენდი | 2 | 8 | 20,0 |
| **დასავლეთის კონფერენცია** | | | |
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| დალასი | 10 | 0 | 100,0 |
| ჰიუსტონი | 5 | 3 | 62,5 |
| სან ანტონიო | 6 | 4 | 60,0 |
| მინესოტა | 5 | 6 | 45,5 |
| იუტა | 4 | 7 | 36,4 |
| დენვერი | 2 | 7 | 22,2 |
| მემფისი | 0 | 10 | 00,0 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| სიეტლი | 8 | 2 | 80,0 |
| საკრამენტო | 7 | 4 | 63,6 |
| ფინიქსი | 5 | 3 | 62,5 |
| პორტლენდი | 4 | 6 | 40,0 |
| კლიპერსი | 3 | 7 | 30,0 |
| ლეიკერსი | 3 | 7 | 30,0 |
| გოლდენ სტეიტი | 3 | 8 | 27,3 |



REUTERS

ლეიკერსელი რიკ ფოქსი (ბურთით) პატარა კაცი არ გეგონოთ, ორ მეტრზე მეტია, მაგრამ ამ ქვეყნად ყველაფერი შედარებითი რომაა, ეს მისმა იაო მინგთან დაზომებამაც გვიჩვენა

## რაგბი



REUTERS

ავსტრალიელი მეტ კოკბეინი და ინგლისელი ბენ კეი ერთმანეთს ბურთის დერეფანში ეცილებიან

### ტესტ-მატჩები 16 ნოემბერი

**საფრანგეთი 20:20 ახალი ზელანდია**
საფრანგეთი: 2ლ: მანე, ბრუსკი; 2გ: ჟელიზი; 2ს: ჟელიზი
ახალი ზელანდია: 2ლ: მეუეზი, უმაგა; 2გ: მერთენსი; 2ს: მერთენსი

**ინგლისი 32:31 ავსტრალია**
ინგლისი: 2ლ: კოენი; 2გ: უილკინსონი; 6ს: უილკინსონი
ავსტრალია: 3ლ: ფლეტლი (2), სეილორი; 2გ: ბურქი; 4ს: ბერქი

**უელსი 32:21 კანადა**

**შოტლანდია 21:6 სამხრეთ აფრიკა**
შოტლანდია: 2ლ: პაუნტნი, უოლვორკი; 1გ: ლეინი; 3ს: ლეინი
სამხრეთ აფრიკა: 2ს: ჯეიმსი

**იტალია 6:36 არგენტინა**
იტალია: 2ს: დომინგესი
არგენტინა: 5ლ: ორენგო, კორლეტო, მარტინი, ალბანეზე, დიურანი; 4გ: კონტეპომი (2), ფერნანდესი (2); 1ს: კონტეპომი

**ირლანდია 64:17 ფიჯი**

### საქართველოს ჩემპიონატი
### მე-7 ტური

ბათუმი. ანგისა

**დათვები 60:7 თსუ**

ქუთაისი. „დინამო". 16 ნოემბერი

**აია 9:25 ლოკომოტივი**

აია: ზვიადაძე, ლ. მოდებაძე (ქავთარაძე), ნამჩევაძე, ლილუაშვილი (თედორაძე), სულამანიძე, ბრეგაძე, სორდია (მშვილდაძე), მ. გაბუნია, თ. ბალამწიფაძე (ქევანიშვილი), მონაძე, ნემსაძე, ქეიშვილი (ორმოცაძე), ბუხაიძე (ფრუიძე), ცნობილაძე, მაღლაკელიძე
3ს: ზვიადაძე
ლოკომოტივი: აბაშიძე, სარიშვილი, გიგაური, ხიჩიკაშვილი, ძიძიაშვილი, ხაჩირაშვილი, სამხარაძე, მაისურაძე, აფაქიძე, ჯოხია, ბერძენიშვილი, ვალიშვილი, გასვიანი, ქაფიანი (კერესელიძე), მაჭუტაძე
2ლ: აბაშიძე, 5ს: ხაჩირაშვილი
მსაჯი: ნ. რობიტაშვილი
მეთვალყურე: ზ. ხარშილაძე

## ჰოკეი

### რეგულარული ჩემპიონატი

15 ნოემბერი

**ტამპა 4:2 სან ხოსე 1:1 1:0 2:1**
1:0 ანდრეიჩუკი (10), 1:1 მარლო (11), 2:1 ვიტოვი (36), 2:2 მარლო (48), 3:2 ფედოტენკო (52), 4:2 სენტ ლუისი (59)

**ედმონტონი 5:0 სენტ ლუისი 3:0 1:0 1:0**
1:0 კომრი (4), 2:0 კარტერი (11), 3:0 რიზონერი (19), 4:0 კარტერი (29), 5:0 რიზონერი (46)

**ატლანტა 1:5 ფინიქსი 0:1 1:4 0:0**
0:1 კ. ლემიე (18), 0:2 ამონტე (22), 0:3 მ. ჯონსონი (23), 1:3 პიტლი (28), 1:4 უილსონი (39), 1:5 ბრირი (39)

**ნიუჯერსი 5:1 მონრეალი 2:1 2:0 1:0**
1:0 ლანგენბრუნერი (3), 1:1 კოივუ (12), 2:1 ლონგენბრუნერი (15), 3:1 ჯიონტა (24), 4:1 ბრილინი (32), 5:1 ელიაში (58)

**ჩიკაგო 2:2 ვაშინგტონი 0:1 1:1 1:0 0:0**
0:1 იაგრი (4), 1:1 პაულსი (37), 1:2 ლანგი (39), 2:2 საიმონი (59)

**დალასი 4:2 კოლორადო 2:2 1:0 1:0**
0:1 ვრბატა (3), 1:1 გერინი (5), 2:1 დალინი (11), 2:2 საკიკი (20), 3:2 ტარჯონი (22), 4:2 კაპანენი (57)

**კაროლინა 1:1 ფილადელფია 1:1 0:0 0:0 0:0**
1:0 რენიკი (3), 1:1 ბულერაისი (6)

**ბუფალო 2:3 ტორონტო 1:0 0:3 1:0**
1:0 ბარნსი (16), 1:1 რენბერგი (36), 1:2 მოგილნი (37), 1:3 მოგილნი (40), 2:3 კონოლი (59)

**დეტროიტი 2:1 ანაჰაიმი 0:0 0:1 1:0 1:0**
0:1 სიკორა (31), 1:1 შალი (46), 2:1 ფიოდოროვი (65)

16 ნოემბერი

**ოტავა 4:1 ბუფალო 0:1 2:0 2:0**
0:1 გრეტონი (18), 1:1 ფიშერი (23), 2:1 სტუაიტი (32), 3:1 შოსა (48), 4:1 სტუაიტი (50)

**ტორონტო 1:2 დეტროიტი 0:0 0:0 1:2**
0:1 მოლტბი (47), 0:2 ზეტერბერგი (52), 1:2 დომი (57)

**მონრეალი 3:1 ნიუჯერსი 1:0 1:0 1:1**
1:0 ოდეტი (5), 2:0 პერო (40), 3:0 პერო (44), 3:1 გ. უაიტი (47)

**ფილადელფია 2:2 ბოსტონი 1:0 0:2 1:0 0:0**
1:0 მ. მიური (11), 1:1 აქსელსონი (26), 1:2 ტორნტონი (29), 2:2 ლეკლერი (58)

**ფლორიდა 3:7 სანხოსე 1:2 1:2 1:3**
1:0 ნოვოსელცევი (7), 1:1 სტიუარტი (8), 1:2 ტორნტონი (11), 1:3 ტორნტონი (31), 1:4 სელიანე (33), 2:4 იოკინენი (36), 3:4 უორდი (41), 3:5 რიჩი (43), 3:6 მარლო (45), 3:7 შტურმი (46)

**პიტსბურგი 2:3 აილენდერსი 1:2 0:0 1:1**
0:1 კვაშა (8), 1:1 კოვალიოვი (11), 1:2 ოკუანი (18), 1:3 უიმერი (46), 2:3 მ. ლემიე (56)

**ედმონტონი 1:4 ლოსანჯელესი 1:1 0:1 0:2**
1:0 ნიინიმაა (5), 1:1 ლაპერიე (9), 1:2 კამალერი (39), 1:3 მოდრი (45), 1:4 პალფი (60)

**მინესოტა 1:0 ვაშინგტონი 0:0 1:0 0:0**
1:0 დიუპუი (27)

**ნეშვილი 1:1 კოლუმბუსი 1:1 0:0 0:0 0:0**
0:1 სენდერსონი (1), 1:1 ლეგვანდი (8)

**კალგარი 0:1 სენტ ლუისი 0:0 0:1 0:0**
0:1 ბოგუნიცკი (22)

**ვანკუვერი 3:1 რეინჯერსი 0:0 1:0 2:1**
1:0 მორისონი (37), 2:0 მორისონი (42), 2:1 მესიე (54), 3:1 ბერტუცი (60)

17 ნოემბერი

**კაროლინა 1:2 ტამპა 0:0 1:0 0:1 0:1**
1:0 ფრენსისი (35), 1:1 კუბინა (52), 1:2 სარიჩი (64)

**ატლანტა 1:5 ანაჰაიმი 1:1 0:3 0:1**
1:0 კოზლოვი (5), 1:1 ჩისტოვი (18), 1:2 ჩელბერგი (21), 1:3 სოიერი (27), 1:4 პავლიდი (37), 1:5 სიკორა (50)

**ფინიქსი 4:4 კოლორადო 1:0 1:3 2:1 0:0**
1:0 ქუინტი (11), 2:0 ნადი (22), 2:1 შეიდუკი (26), 2:2 ობენი (36), 2:3 შეიდუკი (40), 2:4 საკიკი (42), 3:4 ნადი (44), 4:4 მ. ჯონსონი (53)

**დალასი 3:2 კოლუმბუსი 0:1 0:1 2:0 1:0**
0:1 სენდერსონი (11), 0:2 უიტნი (34), 1:2 გერინი (54), 2:2 იანგი (59), 3:2 ტარჯონი (64)

**ჩიკაგო 4:2 ნეშვილი 2:0 1:1 1:1**
1:0 სალივანი (6), 2:0 მირონოვი (9), 2:1 ფიდლერი (28), 3:1 ჟამნოვი (29), 4:1 სალივანი (52), 4:2 უოლში (52)

## ავტორბოლა





REUTERS

პეტერ სოლბერგი პირველ ვიცე-ჩემპიონობას ხარობს

# რა მარკუსის ბრალია, როცა რალია

**რალის** სეზონი ტრადიციულად ბრიტანეთში, უელსის მოხრეშილ გზებზე რბოლით დასრულდა. გეხსომებათ, წლევანდელი, რიგით 24-ე ჩემპიონატის ტრიუმფატორის ვინაობა ვადამდე სამი ეტაპით ადრე გაირკვა — ფრანგულ „პეჟოს" ფინურმა ეკიპაჟმა 34 წლის მძღოლ მარკუს გრონჰოლმისა და შტურმან ტიმო რაუტიაინენის შემადგენლობით ათთვიან მარათონში დამსახურებულად მოიპოვა უძლიერესის ტიტული თოთხმეტიდან ხუთი დიდი პრიზის მოხვეჭის შედეგად.

დასკვნითი რბოლის წინ ექვსი ეკიპაჟი ინარჩუნებდა სამეორეადგილო შანსს, ყველაზე რეალურს — მასპინძელი ექსჩემპიონები რიჩარდ ბარნსი და კოლინ მაკრეი, მაგრამ ორივე პილოტმა ისეთი შეცდომები დაუშვა, რაც „ვერცხლის" დაკარგვად დაუჯდათ.

შეეშალა უკვე ორგზის ჩემპიონ გრონჰოლმსაც — არცთუ რთულ უბანზე საჭე ვერ შეაკავა და სამჯერ ამოყირავებული საჩემპიონო „პეჟო" ჯართად აქცია.

კარდიფის შემოგარენში გამარჯვებით ვიცე-ჩემპიონობა ნორვეგიელმა პეტერ სოლბერგმა იზეიმა. 28 წლის მძღოლს შტურმანად ინგლისელი ფილიპ მილსი ჰყავს, მესამე ადგილზე კი 40 წლის ორგზის ექსჩემპიონი ესპანელი კარლოს საინსი გავიდა თანამემამულე ლუის მოიასთან ერთად.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მოტორბოლაში ბოლო წლების აბსოლუტურ ჩემპიონ ვალენტინო როსის ავტოგაჯირითება. იტალიელმა „მოტოშუმახერმა", რაკი ორბორბლიანი მანქანებით ყველაფერი მოიხვეჭა, ახლა რალიში მოსინჯა ძალა, ერთ-ორ წელიწადში კი იქნებ ფორმულა 1-შიც ვიხილოთ. სამწუხაროდ, ვალენტინოს დებიუტშივე მოეცარა ხელი — გამოუცდელობის მიზეზით თავიდანვე, მეორე ჩქაროსნულ მონაკვეთზე შეცდა და ასპარეზობას გამოეთიშა.

სადღეისოდ უკვე ორგზის ჩემპიონი გრონჰოლმი რალის ისტორიაში მე-13 ტრიუმფატორია. ყველაზე ტიტულოვანნი კი არიან მისი ოთხგზის გამარჯვებული თანამემამულეები იუჰა კანკუნენი და ტომი მაკინენი. მათ გარდა კიდევ სამ სუომელს მოუპოვებია უძლიერესის წოდება

**გია ახალაძე**

| მეთოთხმეტე ეტაპი. დიდი ბრიტანეთი (15-17 ნოემბერი) | |
|---|---|
| 1. პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, სუბარუ) | 3სთ; 14.30,3 |
| 2. მარკო მარტინი (ესტონეთი, ფორდი) | ჩამორჩა 21,3 |
| 3. კარლოს საინსი (ესპანეთი, ფორდი) | 1.19,6 |
| 4. ტომი მაკინენი (ფინეთი, სუბარუ) | 2.32,0 |
| 5. კოლინ მაკრეი (დიდი ბრიტანეთი, ფორდი) | 2.50,0 |
| 6. მარკ ჰიგინსი (დიდი ბრიტანეთი, ფორდი) | 4.32,4 |

**საბოლოო ვითარება**

1.მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, პეჟო) 77 ქულა; 2.პეტერ სოლბერგი 37; 3.კარლოს საინსი 36; 4.კოლინ მაკრეი 35; 5.რიჩარდ ბარნსი (დიდი ბრიტანეთი, პეჟო) 34; 6.ჟილ პანიზი (საფრანგეთი, პეჟო) 31; 7.ჰარი როვანპერა (ფინეთი, პეჟო) 30; 8.ტომი მაკინენი 22; 9.მარკო მარტინი 20; 10.სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, სიტროენი) 18

**მუნდური**

პეჟო 165; ფორდი 104; სუბარუ 67; ჰიუნდაი 10; მიცუბიში და შკოდა 9-9


**სარბიელი**
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბაღრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge